


სსსსსსსს

1. ~~9(47.922)~~  
ქ-238

# ს ა ი ნ ბ ი ლ ი

60554  
K 21496  
2



თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრო-მბეჭ. ს. შ. ლოსაბერიძისა. საკუთ. სახ. მოსკოვის ქ. № 5.  
1910

ამოღებულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო კრებულის  
„ძველი საქართველო“-ს მე-II ტომიდან.

საზოგადო განხილვა<sup>1)</sup>.

ადგილ-მდებარეობა. ჰავა. მცენარეულობა. პირუტყვი. ფრინველი. მდინარეები. სამკურნალო წყლები. მადნეულობა. გზები. მცხოვრებნი. წმ. ნინო. თომა მოციქულის მოწაფის ელისეს მოსვლა გიშს. შაკიხ (შაკი=ნუხი)—წუქეთ-ელისენის სამწყსო. ქრისტიანობა მირიანის დროს. წმ. არჩილ მეფე. კახთა მთავრები და მეფეები. ლეკების ჩამოსახლება და ბატონობა. ქარის რესპუბლიკა და მისი წეს-წყობილება. ელისოს სასულთნო. ანტონ კათალიკოზის ნაამბობი ამ ძირობის შესახებ. წამებულნი. თათრობა. ქართველთა კულტურა. ძველი ნაშთები. ცხოვრება—ბრძოლა. ქრისტიანობის აშკარათ აღვიარება. კვლავ გადადგომა. ინგილოთა რიცხვი და სოფლები. უმთავრესი დაბა-ქალაქები. მოღვაწენი. ელისოს სულთნების შთამომავლობა. ზოგიერთ სახელის განმარტება.

საინგილო შიგნით-კახეთის ნაწილია და, მაშასადამე, მდებარეებს მდინ. ალაზნის ხეობაში. დღეს მას შეადგენს სიდნადისა და ნუხის მაზრების და აგრეთვე დადისტნის მომიჯნავე ზაქათალის მაზრა, რომელსაც ჩრდ.-აღმ. მხრით აჭყუდებია კავკასიონი, დას.-სამხ. მხრით კი შემორტყემიან ალაზანი და შავი-მთა, ნაწევრები სიდნადზე

1) ზაქათალის მაზრის (საინგილოს საზოგადოდ) შესასწავლად საკმაო მასალა მოიპოვება სხვა და სხვა თხზულებებში, რომელთაგან აქ, დიმიტრი ჯანაშვილისა, ი. ს. ელიაშვილისა, ზ. გულისაშვილისა და ზ. ედილაშვილის ფასიან ნაწერებს გარდა, დედასახელებთ კიდევ ზოგიერთს. ესენია: დ. ბაქრაძის „Замѣтки о Закавказскомъ округѣ“ (ადგილობრივს. გეოგრ. საზ. მე-XIV წ., გამოც. 1), წერილები ფონპლოტისი (Сборн. свѣд. о кавк. горахъ, VI გამოც.), ი. ლინევიჩისა (იქვე, მე-VII გამოც.), პასერბსკისა, ზისსერმანისა „Двадцать пять лѣтъ на Кавказѣ“ (ორი წიგნი), აგრეთვე თხზ. ბროსესი, ბუტკოვისა, ბატონიშვილის დავითისა, ანტონი კათალიკოზის მემუარები (ჯერ დაუბეჭდავი სრულად), მასალები არქეოგრ. კომ. ოქმებში, ქართლ. ცხ., ვახუშტის გეოგრაფია და სხ.

მომავალ ცივი-გომბორის კვერნაქისა. სივრცე მისი უდრის 73.78 ოთხკუთხ მილს ანუ 3571.34 ოთხკ. ვერსს. აღაზნიდამ კავკასიონის ძირობამდე ველი ხან იძლება, ფართოვდება და ხან ვიწროვდება, ასე რომ ამ მდინართგან ხსენებულ მთის ძირობამდე ზოგან 30—40-ოდე და ზოგან 20—25-ოდე ვერსი ძლივს იქნება. სიმაღლე და სიდაბლე ადგილისა განსაცვიფრებელია; ერთის მხრით, აღაზნის ჩავარდნილ ხრამამდე დაქანებული ველი და, მეორეს მხრით, კავკასიონის წყალთა გაშეთვი უმაღლესი მწვერვალი! ამისთანა ადგილ-მდებარეობის გამო ხაირ-ხაირია ჰავაც: იგი ცხელია და ხაშიანი აღაზნის ხრამის მიდამოს, ხოლო გრილი, ცივი და სადი ადმართ-ადმართ კავკასიონის მწვერვალამდე.

ადგილისა და ჰავის მიხედვით ირჩევა მცენარეულობაც, ზირუტევეულობაც და ფრინველიც. ატამი, ლეღვი, ბროწეული, წაბლი, ურქენი და მათებრი თბილი ქვეყნის მცენარეულობა ზეგანებს და აღმართებზე ვერ ხარობენ და უფრო მაღლა, მწვერვალებზე ხომ სხვა მცენარეულობაც ვერ უძლებს ზამთრის სუსხს, აქაურ მიმდემ აუღებულს ოთვლას და ეინვას. ამგვარადვე კამეჩეულობა, ხოხობი, ფუტკარი, ზარკის ჭია და სხ., რაც აღაზნის ჰუმორდება, ილევა; სწუდება.

აღაზნისა და კავკასიონის შორისი მთელი ველი, — სიგანით 20—40 და სიგრძით 80-მდე ვერსი, — წარმოადგენს ერთს განუწყვეტელს მუხისა, რცხილისა, წიფლისა, ნაკენილისა, წაბლ-თხილ-სხალ ნარევეტეუსა და ჭაღებს, რომელთა შორის აქა-იქ მხოლოდ მოჩანს სოფლები; სათესი მიწდგრები და აგრეთვე რიეები კავკასიონიდან აღაზანში ჩამოდინარე ხეებისა.

უდიდესი მდინარეებია ქურმუხი, მუხახის-წყალი, ჭარის-წყალი, მაწენ-კატენის წყალი, ბელაქნის წყალი და მაწის-წყალი (მაზიმ-ჩაი). ეველა ამ წყლების უჭერთ დიდი და ღრმა ღელეები: კავკასიონისა, დაქანებულად დაბლა მორბიან, მოშხუვიან, გაზავსულს და, სსოგადოდ, დიდი წვიმების დროს მეტად ღელდებიან, მოხუვიან სსარლად, მოაგორებენ უხარმზარ ქვებს, ანგრევენ არე-მარეს, აფუტებენ სოფლებს და, ხშირად, რიედ აქცევენ ნათესებსა და მობიბინე ნათუძგრებს. ამ მხრივ მეტად დიდი ზარალი მოაქვს ქურმუხს — კავში, ჭარის-წყალს — თაღასა და ჭარში და კატენის-წყალს — მაწენ-კა-

ტენში. ვერც გოდორ-ყურემ და ვერც სხვა ღონისძიებამ ამ წყლუ-  
ბის ლაღი ზვირთები ვერ შეიკავა და ყოველ წლივ მათი ისევ უშვე-  
ლებულად ვრცელი რიყე იზრდება, კანიერდება, ფართოვდება. მაგიუ-  
რად, უამწყვლბოდ აქაური მთის ძირთბის მოსახლეობა გზას ვერ წა-  
ვიდოდა, რადგან სხვა წყაროების უქონლობისა გამო ვერც არას მო-  
იწყავდა და ვერც არას დალეუდა. აღაზნის ზირებისკენ კი ბევრია  
წყაროები, მაგრამ მათი წყალი მოდის ჭაობებიდან, დამზალ ადგილე-  
ბიდან, ჩვეულებრივ—თბილია, ჭიანი, მოშავო ფერი დაჭკრავს, რის  
გამო შავ-წყალს ეძახიან. წყლის ამგვარ თვისების გამო მთელს  
აღაზნის-პირა ადგილებსაც ეძახიან ყარასავს (=შავს). ყარასავლები  
ზაფხულობით სასმელად რჩებენ მთიდგან მომდინარე ხეუების წყალს  
და არა ყაფი-ჩაისს, რომელშიაც წყალი გროვდება ჭაობებიდან გამო-  
ხაყონ წყაროებით.

სამკურნალო წყლებიც არ აკლია მაზრას. ქერმუხის ხეობაში ჭა-  
მამ-ღერას (აბანოს ხეობაში), ელისოდგან 10 ვერსის მანძილზე არის  
თბილი წყალი—ჭამამი (აბანო). მის ახლოს მოხ-ბულადი, ალიბე-  
ლოს ქვემო ცივი სამკ. აბანო ყაინათმა. აქვე იზოვება აკრეთვე მად-  
ნები სწიღენძის (ბელაქანში), რკინის (იქვე), ტუვიის (მუხახში),  
ვერცხლის (იქვე). ამ და სხვა მადნუელობათ უჩვენებენ აკრეთვე  
ელისოს, უუმს და სხ.

მაზრას ამ პირით (მაზიმ-ჩაი ლაგოდესსა და ბელაქანს შორის)  
იმ ზირამდის (ყანი-უობი კაკსა და ნუხს შორის) გადასჭრის ფართო  
გზატკეცილი, ორივე მხრით შემორგული კაკლის ხეებით. მეტად  
საამურია მგზავრობა ამ გზაზე, მეტადრე ზაფხულის ზაზანაქებში, რო-  
დესაც გზის მთელი მანძილი ერთ უზარმაზარ საჩრდილობედს წარ-  
მოადგენს. ეს შვენიერი გზა გაიყვანეს თვით მცხოვრებლებმა 1870  
წლებში მაზრის უფროსის ბ. მ. შელაკოვნიკოვის ხელმძღვანელობით.  
უწინ საიოსტო გზას სულ სხვა მიმართულება ჰქონდა: ნუკრიანიდან  
(სიღნაღის უბანი) მოდიოდა დედოფლის-წყაროს (თუქერმისს), იქი-  
დან ჩამოდიოდა აღაზნის მარჯვენა კიდეზე, გადიოდა ალიალოს ხიდზე  
და მიდიოდა ქალაქ ნუხს. ახლა კი ფოსტა სიღნაღის მაზრის სადგურ  
წინორ-ჭიარ-ლაგოდენიდან შემოდის საინგილოში და აქ ხვდება მას  
სადგურები ბელაქანი, ზაქაიალა, გულუგი (=ვარდიანი) ჭკაკი (=კახი).

1886 წელს მანრაში იყო 74.449 მცხოვრები. მათგან 39.948 მამაკაცი (53.60<sup>0</sup>) და 34.501 დედა-კაცი (46.40<sup>0</sup>); გვარტომობით: 40.225 ლეკი, 21,090 თათარი (მუღალი), 12.430 ქართველი, 521 სომეხი, 167 რუსი, 8 ზოლთელი და 8 ურია.

უწინ მთელი ეს ძირთბა, მთელი ეს კუთხე ეჭირა ქართველობას. გზა აქეთ ჰქონდა წმ. ნინოს, ვიდრე შეუბრუნდებოდა ქცელდაბას და მიიძინებდა ბოდბეში. წმ. გიორგი, ვით საქართველოს დაწესილნი ვინ ადგილების წმ. გიორგი, ნინოს დროებითგანვე შეიქმნა საერო გმირად, მაგალითად უშიშარ რაინდობისა და ბრძოლისა საერთო თავისუფლებისათვის. აქური ეკლესია წმ. ნინოს უნდა დაეშენებინოს ელისეს მიერ განთესილ თესვებზე და, ვივიქრობთ, რომ ამ მონტიქელის სახელი დღევანდლამდე შერჩენია აქურ ელისენს (ელისენი—აღიბათის სამოურავო) და ელისოს (ერთხანს სამთავრო დაბად იყო).

ელისე, როგორც მოწმობს კალანთკატვანი, იყო თომა მონტიქელის მოწაფე. შევე სანატრუკმა რომ აწამა თომა, ელისე დაბრუნდა იერუსალიმს; აქ იგი ეპისკოპოსად აკურთხა უფლის ძამ იაკობმა, რომელიც იყო ზირველი ეპისკოპოსი იერუსალიმისა. იგი სპარსეთით, სომხეთის მიუკარებლათ „ИЗНѢГАН Арменіи“<sup>1)</sup>, მივიდა მასკუტებში და დაიწყო ქადაგება ჩოღას ანუ ჩოღას=ჩურულს, ე. ი. დარუბანდის არქარეს, იქიდან ჩამოვიდა უდოს (საუდოს) სამის მოწაფით, რომელთაგან ერთი მოჰკლეს მისმავე ნათესავებმა და ორნი კი თვითონვე გაეცალნენ მოძღვარს. მარტოდ დარჩენილი ელისე მივიდა გიშს (სუხიდგან კავისკენ 8—10 ვერსის მანძილზეა), ააშენა ეკლესია, დასაბამი უველა აქურ ეკლესიათა. საუურადდებო კიდევ ის არის, რომ ამავე მასკუტების (მასკუტების) სახელი გვხვდება იმ მთიელების სიაში, რომელთა ქვეყანაშიც შევიდა წმ. ნინო და უქადაგაო ქრისტეს სჯული. მაგრამ ეს სჯული, როგორც წინათაც გვითქვამს, სამონტიქლო ხანაში განმტკიცებული ვერ იქნებოდა. ჭერისევი მირიანი უანდერძებდა თავისს შვილს: კერპობა და კერპ-თაყვანისმცემლობა კავკასიაში მალე არ გადავარდებოა, საცა ხანა ასეთა

<sup>1)</sup> კალანთკატვანი. Исторія Агванъ, გვ. 6.

კერპები, იგინი დასწვი, ნაცრათ აქციე და მათი ნაცარ-ტუტა შესავი იმათ, რომელნიც ამ კერპების დაშობას იგლოვებენო. შემდეგ მიუე არჩილი რომ მოვიდა წუქეთს (საინგილას), აქ საშენა კასრის საყდარი და აგრეთვე ქალაქი ხუნ-შატისი, აქაურები მაშინ იყვხენ წარმართნი და მსეცის ბუნებისანი და არჩილმა იძულებითი მონათლა იგინი. და ამ დროითგან აქ დაწესდა კათედრა გიშელისა, რომელიც მწესიდა შავისხ (შაქს=ნუხს), წუქეთს და ელისენს. ქალგიდონის მსოფლიო კრების დადგენილება გიშელეზმაც არ მიიღეს და ერი მართლმადიდებლად მთაქცია მხოლოდ დინარ დედოფალმა მეთე საუკუნეში.

ესე იყო მეშვიდე საუკუნის გასულს და ამ დროს წუქეთი, ხუნ-ძახი და თუშეთი ებარა ერთს მმართველს—აბუხვასროს, რომელსაც მიუე არჩილმა წინანდელი თანამდებობა („ერისთაობა თუშთა, ხუნძთა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა“) დაუმტკიცა.

მაგრამ არაბების შემოსევამ დაასუსტა საქართველოს მიუის ძალა და აფხაზეთის ერისთავის განდგომის (788 წ.) წლის ააფხე განდგა კახეთის ერისთავი გრიგოლიც და მის შემდეგ 1800 წლამდე მხოლოდ დრო-გამოშვებით მოსწობილა დამოუკიდებელი არსებობა კახეთისა, რომლის აღმოსავლეთი მიჯნა ებჭინებოდა საუდარს მთებს (ნუხის მარა), საცა იყო სამოსამზღვრე ციხე ყაბალა, მაგარი და ძლიერი. ალასან გაღმა მხრის (საინგილას საზოგადოდ) სამმართველო ადგილებად შეიქმნენ ბელაქანი, მაჭი (მაწეხი, ჭარი), კაკი (შემდეგ ელისენი (აწ აღიაბათი) და გიში (აწ ქიში და ნუხი). აქაურ მიუეებს ზოგჯერ დიდი ძლიერებაც შეუძენიათ, მეტადრე ვვირიკეებს და ახსართანებს. ერთ ახსართაგანის ციხე დღესაც არსებობს მაწის-წელის ხეობაში ლაგადენის ააფს, თოლას, და მის ამაფს გადმოგვტემს ციხისავე ქვა-სვეტის ასომთავრული გრძელი წარწერა, სამწუხაროდ, საკმაოდ დაზიანებული.

1117 წელს წუქეთს მთავრობდენ ასამ და მთას გრიგოლისძენი. ამავე წელს დავით აღმაშენებელი მოვიდა გიშს და განუხს, დაიჭირა ყაბალა. მე-XIII ს. აქ მთავრობდა შოთა კუპერი.

გიორგი ბრწყინვალის (1318—1346) და მის მომდევნო მიუეების დროს აქ ქართველობა და ქრისტიანობა ძლიერი იყო. თეო-

მურაზ ბატონიშვილის ცნობით, ლანგაუშურამდე (გამოჩნდა 1384 წ.) მახლობელი ლეკები ისევე ქრისტიანები იყვნენ და სცვიდნენ ენასა ქართულსა. მხოლოდ მან დაუდგინა მოღანი და არაბული წერა შემოიღო, ქართული ენა და წერა კი აღკრძალა. მაგრამ მაინც ენა ქართული კიდევ დამთავრდა ანწუხელ ლეკებში და ამ ენაზე დღესაც ლაშარაკობენო. ლეკებში ძველად ნაშენი საუდრები და მონასტრები არიანო, ზოგი თლილის ქვისა. ბევრი მათგან მეჩითებად გადააკეთესო და სხვები თხრად შეთხილანო. მეფე ალექსანდრემ (1414.—1442) მოღანი გარეკაო და ლეკნი ჰირველსავე წესს დაუბრუნაო. ლეკან მეფემ (1520—1574) დადისტნის შამსლის ქალი შეირთო ცოლად და ლეკები დასახლა ჭარის უბან ფიფინეთში 1549 წელს (ქ. ცხ., 107). გიორგი მეფემ გაღამხარში წინანდელ საერისთავების მაგიერ დაადგინა მთურავები ელისენს, წუქეთს და ჭიაურს. ლეკები მოვალენი იყვნენ კახეთის მეფეებისთვის ზაფხულობით უინული ეზიდნათ. ეს იყო მათზე გაკვეთილი ხარკი.

გარემოება იცვალა: საქართველოს დაუძინებელ მტერმა შაჰ-აბაზმა 1587 წელს კახეთის მეფე ალექსანდრეს ჩამოართო კაკულისენი, წინანდელი მთურავი ვახანიშვილი<sup>1)</sup> განამჰმადიანა, სახელად უწოდა ალიბეგი და ეს ალიბეგი დაადგინა აქ სულტანად. ამიტომაც მას ეწოდა აგრეთვე ალისულტანი. ასეა ეს ვახუშტის სიტყვით, მაგრამ იმავე 1587 წელს. კახეთის ბრძანებაში სწერია: კაკის ბატონის ქართველის გურამოდლის შვილების მამული მიფუბოძე საქართველოს მეფე სვიმონს (1558—1600), ხოლო აწ ამავე მამულს ვუბრუნებ გურამოდლის შვილებს. მისი ფირმანი 1520 წლითგან: „ძველი დროითგანვე გურამოდლის კუთვნილ მამულს ამიერითგან ვუბოძებ გურამოდლის შვილებს ზააღბეკს და კისუბეკს. ამით სხაბატონოს გლეხნი, საცა უნდა იყვნენ იგინი, ისევე დაბრუნდნენ თავიანთ მამულებში, ემსახურონ მათ და დაემორჩილნენ, ვითარცა ემორჩილებოდნენ თავით გურამიშვილს“.

ქართველთა მშობლებობას დადისტნელთა თვალში სახელი გაუტეხა აგრეთვე იმანაც, რომ განამჰმადიანებულ კოსტანტინე ბატონი-

<sup>1)</sup> 1674 წელს დავით ვახანიშვილს მეფე არჩილმა დაუმტკიცა სოფ. შალაური (ფურცელაძე. Груз дворян. грамоты, გვ. 8).



შვიდმა, მოსულმა საინგილოს სოფელ ბახარს შაჰ-ახაზის ჯარით, მოიწვია აქ თავისი მამა და ძმა, დალატით დახოცა ივინი (1605 წ.) და თავისი რძლის ქეთევანის შერთვა ცოლად მოინდომა.

ლეკები ცხადად ხუდავდნენ საქართველოს სიძაბუნეს, ქურდულად ჩამოდიოდნენ და იკლებდნენ კახეთს. მათ დასაძინებლად შეფე თეიმურაზმა დაღისტანში შეგზავნა (1612 წ.) თავისი სარდალი ქაიხოსრო ომანიშვილი. ლეკებმა, დაინახეს რა ქართველი დაშქარი თავიანთ მთებში, შეშინდნენ და დაშოშმინდნენ.

მაგრამ შაჰ-ახაზს არ ეძინა. 1615—1616 წ. მან ლეკებს შეუთვალა: მოგვიყარ საქართველოს ასაკლებად და თქვენც გიბრძანებთ დაჭკარით მანდეღჯანო.

მარალაყ უყენი მოვიდა. აიკლო და ააფორიაქა კახეთი, ხალხი ზოგი გაჟლიტა, ზოგი აჭყარა და დედაბუღინად სძარსეთს გადაასახლა; ქართველობა მთელს გადამხარს ლაგოდეს იქით სოფელ ვართაშენამდე დარჩა მხოლოდ კაკ-ელისენს და თითო-ოროფაყ აქაი კიდეც.

დაცარიელებული ქვეყანა გაივსო ლეკობით. ბელაქანი და ჭარი იქცა დედაბუდედ დაღისტნელთა ბელადებისა და ავასაკებისა. მათ შველოდნენ უარაჯის ხანებიც, რომელთაც უყენი ნიშნავდა კახეთის უწინდელ შეფეების მაგიერ. ქართველებმა ვედარ მოითმინეს მათი ავასაკობა, და განიზრახეს (1688 წ.) დაბეჭა ჭარისა. ეს დაწყობილობა ჩაიშალა თამაზ სძანბეტის დალატით და დუშია მოურავის უკუდგომით. მაგრამ მეტი გზა აღარ იყო, კახელებმა იერიში მიიტანეს ჭარზე (1695 წ.), აიღეს, დაიმორჩილეს, აღაოთა აიუსნენ, გამარჯვებით კი ვერ ისარგებლეს: იქ გამაგრების მაგიერ ნაწილ-ნაწილ დაბრუნება იწყეს. დანარჩენებს ლეკები მოულოდნელად დაეცნენ, დაამარცხეს და ნატეგენავიც დააქრევიეს. (ინგილო ხუციშვილის ხელნაწერის წარწერა ამ დამარცხებას მიაკუთვნებს 1698 წ.).

ინგილოებისთვის მეტად უბედური იყო 1701 წელიწადი. უარაჯში განცხრებოდა კახეთის შეფე იმანუელიხანი და საინგილოს კი არბევდნენ ჭარელები. შერე თვით აღასან გულმა ქიხიყსაც რომ დაუწვეს რბევა, იმანუელიმ მოიყვანა კახ-თუშუშავ-ჩევისურნი, დადგა ვარდიანს (აწ გულუგი) და ჯარი შეუსია ჩარდახს და ააოხრებინა გა-

რემო ვიდრე კავკასიონის მწვერვალამდე. ვიდრე ჯარი დაუბრუნდებოდა, თვით მეფე იდგა ვარდიანის ბანაკში და ერთობლად ქოს-დაბდაბოუკის დაუფრებოთ. უღარდელ მეფე იმანუელის მიუხედავად ჭარულთა რაზმში და შეება. მეფის ამაღლა შეშინდა და განიქცა. თუშებმა თვით მეფეც გამოიტაცეს და ძლივს მთაბრძანეს ყარაღაჯში. ამისთანა მარცხმა მეფის დანარჩენ ჯარსაც თავზარი დასცა. იგინიც იფლტენ და გამახსწყის ქარიდამ. გამარჯვებამ აფთრთფანს ლეკობა. იგინი მკვიდრად გაბატონდნენ საინგილოში. მათ შიშით იმანუელიხანი ყარაღაჯს ველარ დადგა, აიყარა და აქლავს წავიდა (იხ: ჩვენი „საქარ. ისტ.“, გვ. 382).

1739 წელს ჭარი მოსწვა და ათხრა თეიმურაზ მეფემ, მაგრამ ესეთი მიხდომ-მოხდომა უფრო აბრაზებდა ლეკობას.

1750 წ. ჭარელებმა გამოგზავნეს ტფილისში თავისი ქეთხუდები და აგრეთვე ელისოს სულტანი მაჰმად-ხანი და ითხოვეს ერეკლე-თეიმურაზისაგან შერიკება. დათანხმდნენ. მეფეებმა მზევლად დაიტოვეს მაჰმად-ხანი. ქეთხუდები რომ დაბრუნდნენ, ჭარ-ბელებმა უგუგდეს თავისივე თხიფისა და დიდის ლაშქრით შემოეპროლენ ქიზიუს. მეფეები წავიდნენ, ეტნენ. ლეკები აღაზანს გავიდნენ და გერბე გამაგრდნენ. ერეკლემ გადავიდა და შეებროლა. გაიმარჯვა მეფემ. 700 ლეკი დახტა და დატყვევა და 1500 ცხენიც გამოირეკა. თავზარი დაეცათ ლეკებს, მაგრამ ამ მარცხის მაგიერი მიაგეს ერეკლეს ჭარელებმა მეორე წელიწადსვე. ერეკლემ განიზრახა თვით ჭარში შესვლა. ნუნის ხანი აჯიხალაბი თავის შვილის ალაქიშის ზირით ერთგულებას უცხადებდა. ერეკლემ აღაზანზე ხიდის გაღება რომ იწყეა, აჯიხალაბმა შემოუთავალა მეც ჭარელებთანა და კაკის სულტანთან ერთად დაგიხვდებოთ. ერეკლემ იწყინა და აჯიხალაბისკენ წავიდა და გერბე შეება ჭარ-კაკ-ნუნის კავშირს. ერეკლეს ძლიან გაემარჯვა. მაგრამ აჯიხალაბის დამალული ჯარი რომ მოესია, მოკავშირე ხანებმა უღალატეს ერეკლეს. ქარაველები გამოიქცნენ და ძლივს გამთასწრეს აღაზანს. ბევრი დაიღუპა წუალსა თუ ბრძოლაში. ლეკებს უფრო შეესხათ ფრთები. ამის შემდეგ 10 და 20 ათასობით ილაშქრებდნენ და ახრებდნენ ჩვენს ქვეყანას. ყველა ამას ზედ მოჰყვა აღამაჰმად-

ხანის შემოსევა და ტფილისის ახრება. ჭარ-ბელაქანი სრულიად განმტკიცდა.

საქართველოს ცარცვა-ბევამ ჭარელ ლეკების მიერ 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>, სუ-კუნეს გასტანა დაახლოებით. 1803 წელს რუსის ჯარი ციციანოვმა შეუსია ჭარელებს. მაშინ კაცის სულთანად იყო აღი-სულტანი. 17 ახ-რილს იმავე წელს ჭარის რესპუბლიკამ და აღი-სულტანმა რუსის ქვე-შევრდომობა მიიღეს და დაიხარკეს თავი: ჰირობისაშებრ, 1-ლ ავვი-სტოდამ 1 ნოემბრამდის ეოველ წლივ ხარკად გაიკვეთეს 1100 ლი-ტრა აბრეშუმი (მაშინ ლიტრა აბრეშუმი ღირდა 12 მან.). ჰირობა დაუდეს ახალ მთავრობას, რომ დადისტრულ ბელადებსა და შემოკებს ბინას არ მისცემენ და აქედან არ გაატარებენ საქართველოს დასარ-ბევად და აღიბათის (ელისენის) ინგილოებს არ დაუშლიან თავისუფ-ლად დასრულონ თავისი საქრისტიანო წეს-ჩვეულებანი. მიუხედავად ამისა, იმავე წელიწადს რესპუბლიკამ თავისი ჰირობა დაარღვია. ცი-ციანოვმა გავზახნა ჯარი გულაიაკოვის წინამძღოლობით. ლეკები და-მარცხდნენ, თუმცა გულაიაკოვი კი მოკლეს ფიცხელ ბრძოლის დროს. (მისი საფლავი ზაქათალის ციხეშია, ეკლესიის გვერდით). 1830 წელს ლეკებმა კიდე სცადეს ურჩობა და ხარკის ძლევა აღკვეთეს. ლევა იმავე წელს დაცხრო მთავარ-მართებელ ზასკევიჩმა და შერე შეუდგა ციხის ავბას და უწოდა მას ახალი ზაქათალა (აწინდელი ზა-ქათალა). იმავე წლის 24 ივნისის თარიღით გამოსულ უმაღლეს ბრძა-ნების თანახმად დაარსდა სალეკოს საკარდონო სამანი (ლეზგინსკაია კორდონნაია ლინია) და აგრეთვე ჭარ-ბელაქნის ოლქი; ამას მიეწერა აგრეთვე ელისოს სასულთნო. დაუტოვეს თავისი სამართალი—ზარია-თი, მაგრამ იმ ჰირობით, რომ მათი ამორჩეული კაცების გადაწყვე-ტილება დამტკიცებინა მთავრობის წარმომადგენელს. 1831 წ. ჭარელები კიდევ აჯახდნენ და ამის გამო მათ ჩამოართვეს მათი კუთვნილი რაიები (ინგილოები და მულალები) და ამ უკანასკნელების თანახმორად ივინიცი დასარკეს.

ელისოს სულტანი ჭარელების მოძრაობა-ამბოხებაში მონაწილე-ობას არ იღებდა და ამის გამო რუსები მის შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ, თუმცა, როგორც ვთქვით, მისი სასულთნო ჭარ-ბელაქნის საოლქოს მიაკუთვნეს. ამ დროს სულთანად იყო დანიელ-ბევი, რომ-

შელსაც გენერლის ჩინი მიებოძა. მან ითხოვა მთავრობისაგან თავადის ხარისხი. თხოვნა არ შეიწყინარეს. ამის გამო 1844 წელს ეს დანიელ სულტანი („ბატონი“ ინგილოურად) განუდგა რუსეთს და შამილს მიემხრო და მრავალ სხვა ბეგებიერთვით მასთან გაიქცა და აღსიტანს. მთავრობამ სასულთნო გააუქმა და შეუერთა იგი ჭარბულაქნის ოქლს „ელისოს ნაწილი“-ს ზედ წოდებით. სასულთნარის უფლებებში მუთუი ყველა მიწები და აგრეთვე მასთან ერთად გაქცეულ ბეგების მამულები სახაზინოდ გამოაცხადეს. შემდეგში ზოგმა შეინახა და ამისთანებს მამულები ისევ დაუბრუნეს. ზოგი რამ ეწეალობათ აგრეთვე დანიელ ბეგის შთამომავლებს ელისოსა, ჯათემურსა და სხ. დღეს სულტანის წარმომადგენლად ითვლება ხალილ-ბეგი, რომელსაც ღამაზი სასახლე აქვს ელისოს და ბლომა შეიღები ჭუაფს. ელისოს სულთნების სრულს სიას მათდამი ბოძებულ ფირმანებითურთ ვებეჭდვით ქვემოთ, ამ თავის დასასრულს.

1526 წ. კონცეპტუ ჭარის შესახებ გადმოგვცემს შემდეგ საუბრადღებო ცნობებს: „ჭუაფსა, რომელსაც ჭუაფის ჭარი, ეკუთვნის 5 საზოგადოებას—კარისას, ბელოქნისას, თალიას, მუხახისას და ჯინიხისას. ესენა მფლობელი საზოგადოებანია და სხვანი—ამათ ქვეშევრდომნი. მფლობელნი სულ ლეკანია—მურობელნი, ხოლო ქვეშევრდომნი—დაპურობილი სოფლები ინგილოებისა და მუღალებისა. ქვეშევრდომი სოფლები ხარკს აძლევენ იმ საზოგადოებას, რომელსაც ეკუთვნიან. ჭარი, ზაქათალა და გოჯამი ერთი მფლობელი საზოგადოება და მასში 1200 კომლი მოსახლეა, ხოლო მას ეკუთვნის 20 სოფელი. კატეხი და მაწეხი არც ერთ საზოგადოებას არ ეკუთვნიან და ამათ თვითონ არა ჭუაფთ ქვეშევრდომი სოფლები. მთის ძირობაზე მოსახლე მფლობელ ლეკებმა, დაიპურეს—რა ღამაზის-პირა მიწები, დაარსეს ფედერატორულ რესპუბლიკისებრი მმართველობა, რომელშიაც მამასხლისის ღირსებას საკმაო მნიშვნელობა მიენიჭა: ფოჯელ სოფელში ეოჯელ წლივ ირჩევენ ერთს მამასხლისის იმ გვარადამ, რომელსაც მეშვედროებით ამის უფლება აქვს. საქმი, რომელიც შეეხება ეველა საზოგადოებათ, ირჩევა საერთო კრებაზე ცნის ქვეშ აღდამს, რომელიც მუხახის ახლოა. ფოჯელ არჩეულ მამასხლისის ეადევა 30 ცხენოსანი (იასაელი) და ესენი მის განკარგულებას ახარე-

ბუნ დანიშნულებისაშებრ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ზოლიტიკურ უფლების მინიჭებას მამასახლისთათვის დროებითი მნიშვნელობა აქვს და დამოკიდებულია ხალხისაგან. მამასახლისთა უოველ წლიურ არჩევით ცხდათ ჩანს. ხალხის მშერთბელობის სიბრწყინვალე. უმაღლესს სამართალში ერთის წლით არჩეული მამასახლისები თანამდებობის აღსრულებას შეუდგებიან ხოლმე ისე არა, თუ არა ხალხის დასტურით.

ინგილოებს და მუდალებს არავითარი მონაწილეობა არა აქვთ თავისუფალ საზოგადოებათა საქმეებში.

ხუთ საზოგადოებათაგან ეველასზე ძლიერი და გავლენიანია ქარისა. მის დაუდასტურებლად ელისოს სულთნებიც მათდა შემკვიდრებოთ კუთვნილ სასულთანოს მართვა-გამგეობას ხელს ვერ მოჰკვიდებენ ხოლმე. და თვით ნუხის ხანებიც, ხშირად, თავიანთ დამტკიცებას მოკლიან ქარიდან.

ქარელთ თავგასულობა იქამდე მისულიყო, რომ მათ ელისოს სულთნებს წაართვეს მათი კუთვნილი სოფლები ეორაღანი, შოთავარი და ბაბალოა“.

ჟერ ხნობით ვკმყოფილდებით ამ მოკლე ცნობებით. უფრო დაწვრილებითი მოთხრობა ცალკე გამოკვლევის საქმეა და მოითხოვს დიდს დროს, ადგილობრივ არქივებისა და სხვ. წყაროების გულდასმით გამოკვლევას. მხოლოდ არ შემოძლია აქ არ ჩავუერთო ანტონი კათალიკოსის მიერ 1757 წ. შეკრებილი ცნობები შესახებ კავკალიზენისა, ნუხისა, ქარ-ბელაქნისა, ხუნისხისა და თუშ-თშავ-ხევსურეთისა.

ანტონი II-ის ნაამბობი 1757 წელს<sup>1)</sup>.

აღწერა შაქისა.

შაქის ხანი, რომლისა ზაზას ჭაჭი ჩალაბი ერქვა, და ამ ჭაჭი ჩალაბის მამა სომხის ხუცესი იყო, და თვითონ ჭაჭი ჩალაბი გარდაქ-

1) ხელნაწერი „საქართველოს მეფეთა შთამოება“ გადმოგვცა დიდად პატივცემულმა ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავმა. მასში მრავალი საინტერესო ცნობაა არა თუ საქართველოს. არამედ მაშინდელ ყველა სახანოების და სამელიქოების შესახებაც. იგი დაუწერია ავტორს ყიზლარის კამენდანტის ივან ფროუნდორფის ბრძანებით. მისი პირველი ნაწილი (საქართ. მეფეების შესახებ) დაბეჭდილია „ივერიაში“ (1880 წ., № 111).

ცუფდ იყო მკვამდიანობას ზედ და ვერკობითა რომელითამე დაიჭირა ადგილი იგი ჰუჯი ჩაღბმან. ძველადგან ადგილი ესე კახეთის სამეფოს ნაწილი უოფილას და ძლით წართმევიათ მკვამდიანთაგან დროთა შუახანს ზირველისა სზარსეთის კელმწიფისათა. ამას შინა მისხლობელნი არიან მრავალნი ქრისტიანენი: სომეხნი—ცხადად და ქართულენი—ფარულად მკვამდიანთა შიშითა. ეს ქვეყანა ესე შირვანისა შემოდევნებით იაღბუზის კალთის ქვეშე და კახეთის დასწორებით მიდევნებითა. მთად იაღბუზი აქვს და ბარიცა აქვს, რომელიცა კახეთზედ აღმოსავლით კერძო ძეს. შემძლეებელი არის თავისაჲ ქვეყანაში სამის ათასის მეომრის კაცის გამოყვანისა. დღევანდლამდის ჩვენსა და იმათში დიდი მტრობა იყო, ხანდახან და ოდესმე მშჯლობა და შერიგება იყო.

აღწერა აღოსუღტნისა, ჭარელთი და იმ ძირობისა.

აღოსუღტანი, რომელიც ძველად კახეთის მეფის ერთი მთავარი არის და კახის სუღტნად სხელდებულნი და დროთა ჟამთა შუახანს ზირველისათა გამკვამდიანებულნი და გამდგარი კახეთის სამეფოსაგან. და ესეც აღმოსავლით ძეს კახეთსე. ჯინიხის ხეობა, თაღის ხეობა, ჭარის ხეობა, ბელაქნის ხეობა—ესენი უბატონნი არიან და ამით ხალხი კაკის რაიათი თარაქამა, რომელშიაც იბრებინ მცირენი ქრისტიანენი: ზოგნი მართლმადიდებელნი ფარულათ და ზოგნი სომეხნი არიან განცხადებულად. ძველად ეს ადგილები სულ კახეთის სამეფოს ნაწილები არიან და ამ მხლობელს ჟამებში მრავალჯერ უმისხურნიათ კახეთის მეხატონეთათვის; და ესე ადგილები, ახრებულნი შუახანს ზირველის დროთ და ამ ახრებულს ადგილებზედ ზოგი თათარი თუთონ დაუსახლებია შუახანს და ზოგნი ლეკნი თუთონ გადმოსახლებულან და დაშენებულან. ამათ დადისტნის იაღბუზზედ უყუდათ სურგი და ძალაც იმათგან აქვსთ. შიგა და შიგ ის ქვეყნები ხან შემორიგებულნი არიან საქართველოს მეფესთან და ხან აძლიან. შამანიდამ ბელაქნამდის მრავალჯერ საქართველოს მტრობაზედ ერთნი უოფილან. დადისტნის ძლეს გარდა შეუძლიათ ამ ძირობას მეომრის კაცის გამოყვანა ხუთის-ექვსის ათასისა. ესენი სულ კახეთის მიწაში სხლობენ, და ქისიყისა ესრეთ ახლო მეზობელნი არიან, რომ

სოფლითი სოფელამდი ზოგი ოცდა ათი ვერსი არის და ზოგი ოცდა ხუთისა. და არს ქვეყანა ესე ძნელად შესასვლელი, ტყიანი, მრავალ წყლიანი და მაკარი.

### აღწერა ხუნძახისა.

კუნძახის მთავარი, რომელიც არის დადისტანში, და არს ქვეყანა ამისი მთის ადგილი. თავის ემა მეომარი გამოფა ათასხუთასი და როდესაც მოინდომებს, დადისტანში იშოვნის თხუთმეტს-თექვსმეტს ათასს კაცს. და არს კახეთზედ აღმოსავალსა და ჩრდილოს საშუალ. ძველად კახეთის მეფის ერისთავი ეყოფილა; ესთა ვითარებისაგან და მაჰმადიანთ ძალისაგან სხუა ადგილებიც მრავალი ჩამორთმევიათ კახეთსა და ესეც მიღებია. ესენი წინა ხანებში ხან შემორიგებულნი იყო საქართველოს მეფეს ირაკლისთან და ხან არა. მასუკან დიდი მტრობა მოინდომა ჩვენზედა, დადისტანის ჯარით მოვიდა უეცრათ და ქართლში ერთს ციხეს შემოადგა; შუგუბენით და დიდად დამარცხდა საქართველოს მეფის ირაკლი მეორისაგან ძალითა ღმრთისათა, და მრავალნი ამოწუნენ. მეორეს წელიწადზედ კიდევ შური იძის საქართველოზედ და მეფეს ირაკლიზედ, და მეორედ წამოვიდა კიდევ დადისტანის ოცდა ორი ათასი ლეკით და რაც კახეთის მეზობლები იყვნენ შირვანის ზეით ანუ განჯელნი, ამათაც ძალი მოსცეს, ჰჯი ჩალაბის შეილი და აღის-სულტანი თითონ იყვნენ, ჭარელნი, თალელნი და სრულიად იმ ძირობის კაცნი, — ესენიც იქნებოდნენ ათი ათასი კაცი. და კახეთის ერთს ციხეს<sup>1)</sup> შემოადგნენ სანამდის მეფე ირაკლი ჯარს

<sup>1)</sup> აქ დედანში (გვ. 45) ავტორი შენიშნავს: „ციხე ესე არს ალაზხანს მდინარეს გაღმა, რომელ არს სახელით ყვარელი“. — ყვარელის ბრძოლა ქართლის ცხოვრებით მოხდა 1755 წელს. ომში მონაწილეობას იღებდნენ დადისტანის მთავარი ომარ-ხანი, ნუხის ხანი ალაქიში, კაკის სულტანი მაჰმად-ხანი და პარ-ბელაქნელნი; მთელ ამ კავშირს 20.000 მებრძოლი ჰყვანდა. შემოერთებენ ციხეს. ერთ მუქა მეციხოვნეთ შემოაკლდათ სურსათი და ტყვია-წამალი. 130 ქართველ ვაშაკცმა თავს იღო მეციხოვნეთა მიშველება. ერეკლეს ნებართვით ესენი გმირულად მიუბრუნენ მტერს, გარღვიეს მისი რაზმები და საჭირო ტყვია-წამლით შეცვიდნენ ციხეში. ერეკლემაც უხერხა მოსულ მტრებს: გაგზავნა თავისი ლაშქარი ჭარს და გადააწვევინა იქაურობა. ბელაქნელ-ქარელნი გაბრუნდნენ თავიანთ სარჩო-საბადებელის საშველად. მათ მიჰყვნენ დანარჩენებიც.

შემოიყრება, მეფის მისვლამდის წინათვე უარი მიეშველა მეფის ირაკლისაგან, და ციხიდან მრავალი კაცი ამოუწყდათ და სიბრძნვილყოფნით გაბრუნდნენ. შემდგომად შემორიგება მინდომა მეფის ირაკლისაგან და შერიგება მოხდა და მცირე რაჟამე უმადგირი მიეტა მეფის ირაკლისაგან. კახეთის სამზღვრიდამ ოთხის დღის სავალი გზა არის. თუმცა თვითონ ეს ხუნძახის მთავარი შემორიგებულა არის, მაგრამ იმას რაც კაცი ჰქვავს, ისინი კი ქურდულად მტრობენ ქართლსა და კახეთსა.

### აღწერა დიღო, ქისტისა, ღლიღუისა, ზურზუკისა ფშავ-ხევსურისა და ხევისა.

კიდევ კახეთის სამეფოს ნაწილი, რომელნიც კახეთსუდ ჩრდილეს კერძო არიან—ოთხი თემი: დიდოეთი, ქისტო, ღლიღუი და ზურზუკი ღვეთაგან მიგვხმისან და გაუმჯამდინებიათ; ახლა ცდილობენ და სურსთ რომ თუშეთი და ხევსურ-ფშავი და ხევიც, რომელიც რუსეთის სახელმწიფოსა და საქართველოს შემოსავალ-გასავალი გზა არის, ესეც დაიპყრან და თავიანთ სარწმუნოებასუდ მიიზიდონ. და იმათი ჰმარიც ეს არის: რომელნიც ნათესავნი არიან ოსნი და ანუ სხუა გვარნი ამ მთებში იმყოფებიან, ესენი ყირიმადის გამახმადინან, და ამ მთას შინა არა მცირედნი არიან ახლად მიქცეულნი იმათს სარწმუნოებასუდ და ნიადაცა აქცევენ; და ეს გზა რომ დაგვიწერია, ეკების რუსეთის სახელმწიფოში ასე განცხადებული იყოს, რომ ასეთი რამ იყოს რომ გაკეთებასუდ ბევრი სასჯელი მოუნდეს; ამისი გაკეთება ჩვენგან ადრულად შეიძლება და ამ გზასუდ ჩიმი სოფელი არის, რომელიც საზღვარი არის. აქიღამ მთავრებული რაც მთა არის, ორმოცი ვერსი იქნება და ამ ორმოცს ვერსს იქით და აქეთ სულ ვაკე არის და ამ ორმოცის ვერსის მთის გზასუდ შიგა და შიგ ვაკე უფრო ბევრი არის<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> აქ მოყვანილი აღწერილობა შაქისა, ალიულტნისა, ხუნძახისა, დიღო-ქისტისა და სხვა თემცა ზოგიერთ ხელნაწერებში მისდევს შემოკლებულ ისტორიას ანტონ I-ის კათალიკოსისას, მაგრამ ანტონ I-ს არ ეკუთვნის, არამედ დავით რექტორს მესხიშვილს, როგორც მოწმობენ მრავალნი ხელნაწერები. რედაქტორი.



დასასრულ კიდევ ორიოდე შოგანება. საქართველოსკან მოწვეუ-  
ტილ ერთ მუქა ქართველობის ეოფა საინგილოში ფრად მძიმე იყო:  
ახალი ბატონები ბუნებით ღად და თავისუფლების მოყვარე ქართვე-  
ლობისკან მითხროდნენ სიტყვა-შეუბრუნებელს მორჩილებას, წარ-  
ბებში შეჭერეტი იმის გამტნობას, რაც ესამოგნებოდა გუშინდელ  
მისს მონას, ემას. და ვაზ მას, ვინც ღროთ ვერ გამოცნობდა და  
დაიგვიანებდა აესრულების მტარვალის მითხრობას: წამება, ხერეცა  
და სხნობელა მზათ იყო ამისთანაებისთვის. აწამებდნენ იმისთვისაც,  
თუ ქართველთ, რომელთა საუდრები უკვე გაუქმებულ იყო და ღვდლე-  
ბიც ამოწვეტილი, გამოჩინათ თვისი ქრისტიანობა (ფარულად  
ქრისტიანობდნენ და ცხადლივ მკვამადანობდნენ), მარხვის შენახვას  
თუ სანთლის დანთებაში მოესწროთ. წამებულთკან ინგილოებს ახ-  
სოვთ ხუციშვილების წინაზარი და აგრეთვე ზილივი ჟანაშვილი, რა-  
მელიც, ლეკების მიერ დატყვევებული, შამიურებით დახვრიტეს ჭ-  
რელ დედაკაცებმა; მოწამეთა შორის შეირაცხნენ აგრეთვე ჭარულები-  
სკან დასოცილი აბელ მოურავი და სხლთხუცილი ზურაბ ჩოლაყა-  
შვილი (იხ. ჩუენი საქ. ისტ., გვ. 380).

21496  
2

ლეკები უდიერად ეხერობდნენ არა თუ მარტო აქაურ ქართვე-  
ლობას, არამედ აქაურ თათრობასაც. ეს თათრები (მონგოლები) მაც-  
რაში დამკვიდრდნენ ჯერ ისევ 13—14 საუკ.ში. იგინი არიან საშ-  
თანი ბერქა-ყაენის, აღათემურის, ლანგთემურის და მონგოლთა სხვა  
მხერობელების ლაშქრისა. მათი სახელები დღესაც შერჩენიათ სოფ-  
ლებს აღათემურს, ემირ-ჯანლოს, მუდანლოს, იაღდარლოს, აღია-  
ბათს და სხ.

ქართველების მტრებმა ზირქვე დასცეს მათი მფლობელობა, მა-  
თი საუდრები, მაგრამ მათი სახელი ვერ ამოაგდეს, მათს კულტურას  
თვითვე დაემორჩილნენ მწირ დაღისტნიდგან ჩამოცვივებული „წუნკა-  
ლა ბურკადლები“. ლეკების სოფლებში დღეს ქართველობა აღარ არის,  
მაგრამ მათს წყლებს, მიწებს, მთებს, სოფლებს, სახნავ იარაღებს  
და სხ. უწინდელივე სახელები ჰქვიათ. გუთანი—ქოთანი, ხევი—ხი,  
არხი—არხ, წერეთლის-ტახტი (მთა), წერეთლის-წყალი, გურჯი-  
დად, წილობანი, ჭარი, წინდა—წინდა, წაბლი—წაბულ, მუხა—მუც და  
სხ.,—უკელა ეს ქართულია და ქართველებისკან შეთვისებული ლეკების

მიერ. ქართველების სისხლის გაგუნჯაც კი ცხადად დასტუობია აქაურ ლეკობას: მათი ბუნებრივ ულახათო სახე გამოფაქიხებულა, ცალადებულა. ეს, რასკვირველია, შედეგია ქართველ ქალებისა და ვაჟების მოტაცებისა და კალეკებისა.

სიტყვით, უოველ ფეხის გადადგმაზე გხვდებათ აქ ქართველობის უწინდელ დიდებულების საშთი: ციხეები, საყდრები, ნიშები, სასაფლაოები, ნასოფლარები და სხ. უდრანს ტყეში ნახვით დიდებულს საყდარს; შეღინარ ვითომ დაბურულს ტყეში და იქ კი აქეთ-იქითობამდე სამაროვანი გხვდებათ.

გულსაკლავია ვეკლა ამის სიღვა არა იმიტომ მარტო, რომ ქართველის ნაშთია, არამედ უფრო იმიტომ, რომ მტარვალს მის კარშემო მიქეფარე თავისუფალი სული მოუხზია, ცხორება დაუესია. თათქო ჭაერი და მიწა ცოტა იყო, რომ შეშურებია ქართველობისათვის მისი ოფლით მიწაგარი, მისი წილი და გუთვნილი ჭაერი, წყალი და ქვეყანა! მაგრამ... ცხორება ბრძოლაა და ვამ მას, ვინც დროით გამჭრიახობას ვერ გამოიჩენსო, ამბობენ ინგილოები. და მართლნიც არიან: მთელს 3—4 საუკუნის ვამ-უშუკელებულს მათ თავი გმირულათ გამოახწიეს და დაიცვეს არა თუ თავისი ვინაობა, არამედ ქართველობის სახსენებელიც აქაურ ძირობაზე.

ცოტა მოეფრანათ თუ არა, ინგილოებმა გამოგზავნეს ქალაქს (1849 წ.) თვისი წინამძღოლები (ივან-ბაბა ბულუღაშვილი, გიორგი ჭანაშვილი, კოტე ბულუღაშვილი და კიდევ 4 სხვა) და გამოუცხადეს მთავარ-მართებელ ვარანცოვს — ჩვენ ქრისტიანები ვართო და გამოგვიგზავნეთ ქართველი დედალები, რომ „მოუნათლავი ქრისტიანები“ მოგვნათლანო. რაღა თქმა უნდა, იმ შამილობის დროს მთავრობას ძლიერ ესამოვანა ინგილოთა მოხსენება, ქართველობა ხომ მეტად გახარებული იყო დიდის ხნის დაკარგულ ძმების ჰოვნის გამო. მოსულები მამინათვე მონათლეს სიონის ტაძარში (გ. ჭანაშვილის მიმრქმულად იყო თვით ვარანცოვი, ხოლო ი. ბულუღაშვილისა — მისი მეუღლე). მეორე წელიწადს ამავე ინგილოებმა ქალაქში ჩამოიყვანეს კიდევ 70 კაცი (მათ შორის 9 წლის დიმიტრი ჭანაშვილიც), ესენიც მონათლეს და ქართველ სამეფელოებით დაბრუნდნენ და გააქრისტიანეს ვეკლა ქართველობა. გაისმა ისევ სარის ხმა. ერის

სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ მალე ისევ მოხდა ლეკების ლეღვა (აჯი-მურთუხას ამბოხი 1862 წ.), ინგილოებს ემუქრებოდნენ, გაგწვევებოდა, აუ არ გამაჰმადიანდითო. მუქარამ ბევრი შეარყია: ალიაბათი, მოსული, ჰენგინი და სხ. გადადგნენ. ქრისტიანობა დარჩა მხოლოდ კაქს, ურადანს, ალიბეგლას, ქეთუქლას, მეშაბაშ და თითო-ორთლაც ზოგიერთ სხვა სოფლებში. მაჰმადიანად დარჩენილები დღეს თითქმის უარჰყოფენ თავიანთ ქართველობას, ირთავენ თათრისა და ლეკის ქალებს, რომ რა არის, ენაც მალე დაივიწყონ. მხოლოდ ასეთი უარყოფა თავის-თავისა ცოტათი შეაჩერა ესლახან აჰარდიან მოსულმა ქართველმა მოლამ. მან უგუდას ჩააკანოა, იწერებთან, რომ ჩვენ ქართველები ვართ და მხოლოდ რჯულით მაჰმადიანებით, ჩვენ ჩვენის ქართველობით და ქართულ ენით კიდევ უნდა ვიამყოფეთო.

**ინგილოთა რიცხვი ზაქათალის მაზრასში.**

	1859 წ. კომ- მოლურ აღწერით.		1871 წლ. აღწერით.		1886 წლ. აღწერით.		1897 წ. მთ- ლიერ აღწერით.
	კომლი	კომ- ლი	რიცხვი	კომ- ლი	რიცხვი	რიცხვი საზოგად.	
ზაქათალა . . . . .				4	15 კ.	3009	
ითი-თალა . . . . .		36	154 კ. მ.	68	362 ინ.	538 მაჰმ	
ყანდაზი . . . . .	97 კ. მ.	127	599 კ. მ.	156	871 თ.	778 "	
ცენგინი . . . . .	57 თათ.	74	377 თათ.	94	414 ინ.		
კაპანახჩი . . . . .	37 კ. მ.	53	247 კ. მ.	65	358 თ.		
მოსული . . . . .	193 თათ.	239	1167 თ.	261	1255 ინ.	1330 "	
ალიაბათი (ელისენი) . . . . .	617 კ. მ.	688	3805 კ. მ.	790	4351 ინ.	4166 "	
ვერზინი . . . . .	185 თათ.	231	1558 თ.	280	1945 თ.	1808 "	
ზაგანი . . . . .	86 კ. მ.	94	605 კ. მ.	106	790 ინ.	774 "	
თასმალა . . . . .	85 "	92	460 "	85	553 "	610 "	
ლალაფაშა . . . . .	31 "	32	175 "	35	185 "		
მარსანი . . . . .	47 "	60	287 "	63	316 "		
სოსკანი . . . . .	20 "	26	110 "	7	34 "		
კაკი-კახი . . . . .	160 კ. კრ.	249	1944 კ. კ.	308	2148 .	2111 კრ.	
მეშაბაში . . . . .	16 "	22	113 "	23	129 "		
უორალანი . . . . .	69	115	626	125			
	35 კ. კ.		268 კ. კ.		320 კრ.		
	34 კ. მ.		358 კ. მ.		434 მაჰმ.	502 მაჰმ.	

	1859 წ. კომ- მუნალურ აღწერით.	1871 წლ. აღწერით.		1886 წლ. აღწერით.		1897 წ. ეთნო- გრაფიკული აღწერით.
	კომლი	კომ- ლი	რიცხვი	კომ- ლი	რიცხვი	რიცხვი სახოგად.
შოთაური . . . . .	35 ქ. მ.	56	305 ქ. მ.	56	350 <sup>ავ- მულ</sup>	
ალიბეგლო . . . . .	83 ქრ.	104	636 ქ. ქ.	118	357 ქარ.	888 ქრ. 202 მაჰმ.
ქოთუქლო ბელაქანი . . . . .	28 ქრ.	30	155 ქ. ქ.	38	227 ქარ. 12 ქრ.	7629 მაჰმ.
სულ . . . . .	1846:	2304	13331		15924	
ქართ. მაჰმად.	1089		7113		12750 (ქართვ.)	
ქართ. ქრისტ.	322		3116			
თათარი . . . . .	435		3102		3174(თ.)	

ამ ცხრილებით ცხადად ჩანს, თუ რა გვარად არეულია ეს თვლად რიცხვმა: უანდასში 1859 და 1871 წლ. ანგარიშით სულ ქართველობა, 1886 და 1897 წლ. ანგარიშით კი თათრობა, ამგვარადვე არეულია ტენგიანის თვლად რიცხვა, ალიბეგლოსი, ყორაღანისა, ვერხანისა, საცა არც ერთი ქართველი არ არის ჩანებული. ყორაღანში სულ ქართველობა და სტატისტიკოსებს კი ამათგან ქრისტიანები ჩათვლით ქართველებად (рузины) და მაჰმადიანები ტენგილოებად (енгилоиды), ამგვარადვე მოქცეულან სხვაგანაც, მაგ. კაკელი, ალიბეგლოელი, ქოთუქლოელი და სხ. ქრისტიანი ინგილოები ქართველებად დაუწერიათ, ხოლო ალიაბათისა, მოსულისა და სხ. ინგილოები აღუნიშნავთ ცენგილოებად. 1897 წლის აღწერით ზაქათალის მაზრაში ქართული ენა მშობლურ ენად ეთვლება 12,394 სულს: (6.602 მამაკაცს და 5987 დედაკაცს).

შესანიშნავი სოფლები და ქალაქები.

აკი (კულმუხი=ქურმუხი), რომელშიაც შეჭაბავმა 1602 წელს კახეთის შეუეს შეადგინა 7000 თუმანი, შეფენილია ქურმუხის ვიწრო ხეობაში, კავკასიონიდან ჩამოწოლილ სავაზად მადალ კალთებ შორის. ხეო-

ბა, რომელიც დასაწყისს (სოფლის ბოლო) ერთი მთიდან მეორემდე იქნება სულ 4.—5 ვერსი, თანდათან ვიწროვდება ისე, რომ ელისოს ბოლოს, სადამდე კავიანამ არის ათი ვერსის მანძილი, ორივე მთები ერთმანეთს უახლოვდებიან, მათ შორის რჩება მხოლოდ რაღაც 40—50 საყ. სიგრძე, საცა ორივე მხრით მაღალი კონცხებია და მათზე გადაკიდულია მაგარი ხიდი, რომლის ქვეშ დრიალით მიხუვის კავკასიონი დამ მორბენალი მდ. ქურმუხი. ხიდს ცოტა ზევით, ქურმუხის მარცხენა მხრის ფერდობი იზნიქება მარცხნივ, ჩნდება მთმრგვალო ტაფობი, საცა გაშენებულია სოფელი ელისო, სატაქტო დაბა სასულთნოს უკანასკნელ მთავრების (სულთნების). დაბა დასახლებულია დუკებით, რომელნიც თათრულად ლაზარაკობენ. ადგილი ფრიად შვირია და მოსახლეობა ღარიბი. მათ ცხოვრება საინგილოდამ აქვთ. უკანასკნელ სულთნის დანიულებების მთამომავალს ხალიფებს ბლომა შვილები ჰყავს, ერთი მათგანი (ჯაფარი) ამ წინაზედ სწავლობდა ტფილ. სათავად-აზნაურო სასწავლებელში, შეენიერად შეთვის ქართული ენა, მაგრამ უდროვოდ დაბრუნეს შინ: გააქრისტიანებენო. მათ ელისოში აქვთ მშვენიერი სასახლე. ელისოს ზევით, ვიწრო დეღეში არის ფრიად ცხელი წყლის აბანო, რომელიც ზაფხულობით იზიდავს მრავალს ავადმყოფს. აბანო თუმცა მოუწყობელია, მაგრამ მაინც ბევრს ჰკურნებს მრავალგვარ სენისაგან.

დაბა კაკის სიგრძე 5—6 ვერსია, ხოლო სიგანე 2—3. მარცხნით მთის ძირბაზე ჩამოდის ქურმუხი, რომლის რივე ელისოს ხიდს ქვემო თანდათან ფართოვდება და 1—2 ვერსის სიგანეზე იშლება. მისგან სოფელში შემოდის ორი ხევი—ემირჯანლოსი და თათრისა. მარჯვნივ მთის ძირში ჩამობის ხევი კობალა<sup>1)</sup>, რომელსაც სათავე აქვს ახჩის ვიწრო ხეობაში. ამ ხევების წყალი არა თუ რწყავს მთელის სოფლის მიწებს, არამედ აბრუნებს მრავალ წისქვილებსაც და ჩაღუთქის საცეხვავ დინგებს. ბოლოდამ თავადის დაბას ჰყოფს ორ ნაწილად სწორე შარ, რომელსაც საყდრის ზემო ეურება აგრეთვე

<sup>1)</sup> მზგაესი სახელები ყველგან არის საქართველოში: კობლიანთკარი, კობლიანთ-ხევი (მესხეთში), კობალთა (აჭარაში), კობლიანთქე, კაბალი (ჭიათურის ახლოს), კაბალა (საუღლოში).

ბაზრის გზა და ბაზრის ბოლოში სახელმწიფო გზა-ტკეცილი, გადაჭიმული ზაქათალასა და ნუხს შორის. სოფლის შუაგულში არის საკმაოდ დიდი ბაზარი, საცა ვაჭრობენ სომხები, მაჭმადიანები და თითო-ორთლას ინგილოები. კაკელისენში ასრეთი ბაზარი არსად არ არსებობს, ასე რომ აჭური ვაჭრობა აკმაყოფილებს მთელის ამ კუთხის საჭიროებას. ბაზარს გარდა, დანაშთენი ადგილი უკაფია მკვიდრთა სახლ-კარს. მთელი დაბა, საზოგადოდ, კაცს შორიდან ერთ შვენეირ წაგლოტად ეჩვენება: აჭურობა იფლობა ბალ-ვენახებში. დაბას აქვს ორი სასწავლებელი, ორი საუდარი, სანაიბო, სასამართლო და საფოსტო დაწესებულებანი. ამას გარდა აჭურ თათრებს (მულალებს) აქვთ კიდევ თავიანთი მეხითები, ხოლო ვაჭარ-სომხებსაც თავისი საუდარი. გადმოცემით, უწინ ჰქონდა 1000 კომლოვანი ქადაქი, რომელსაც ჰქმევია თორაღამ. ეს გადმოცემა მტკიცდება ისტორიულ ცნობითაც: თორაღას (თორღას) დიდი ციხეები ჰქონია კიდევ ლაგო-დეხის და კახეთის სხვა მთებში და ზოგი მათგანი დღეს იწოდება თორაღად, თორღად. თამარ მეფის უამს თორღაისძენი იყვნენ „თავნი კახეთისანი“ (ქ. ცხ., 217).

დაბა საგსუა ძველის ნაშთებით, რომელთა შორის შესანიშნავია კასრის-საუდარი, ქურმუხის-საუდარი, ბარბარეს-საუდარი, ჭანდარა-საუდარი და სხ.

კასრის-საუდარი, რომორც უკვე ვთქვამ, ააშენა მეფე არჩილმა († 718 წ.). ქართლის-ცხოვრება იტყვის: „და დაჟდა არჩილ მეფე წუქეთს და აღაშენა კასრი, და ზოგნა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოდა ვახტანგ გორგასანს წუქეთი; და იყო მასინ, — რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა (=ხუნძხი) ზედა და ყოველთა წარმართთა მთისათა, — სახელით აბუნვასრო და არა ინება მისკან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ქადაქი ნუხპატის (ნუხი). ნუხპატელი იყვნენ წარმართნი და მხეცის ბუნებისანი და იძულებით მონათლნა არჩილ იგონი“. კასრის საუდარი იყო მცირე, მაგრამ დაინგრა. მის ეზოში არის უზარმაზარი ქვევრი, რომელსაც გვერდიდან მღვიმე აქვს გაკეთებული. მთელი ეს ეზო წარმოადგენს მცირე ტაფობს საყარეულ-კასრის საუდრის იერადობზე. დაზერეული ეკლესია განახლდა ადგილობრივ მღვდელმა მიხეილ ეულთშვილმა. ეკლესია დიდებულიად გადმოჭურებეს

არს თუ შთაქმნილი სოფელს, არამედ შთაქმნილი მის წინ მდებარე სანგი-  
ლოსაც აღაზნებდა და მასაც იქით ჰგვმთამდა და დედოფლის-წყარომ-  
და. განახლებულ ეკლესიის გვერდით გამოჩნდა დიდი აკლდამა, სე-  
სე აღაზნების ძეგლებით. იქვე იმავე დამსახურებულ მღ. უფლოშვილმა  
იხოვა ქვა ასომთავრულ დაწიანებულ წარწერით, რომელიც გადმოგვი-  
ცემს ამას: „ესე . თავლისშვილ ქრისტესამ შესანდოთ შვილთა და-  
ვით და იოანესი და ვინც შენდობა ბრძანოთ, თქუენც მოგიხსენოს  
დმერთმან სასუფეველსა შინა. მოიკისნოს უფალმან სასუფეველსა შვი-  
როდან-მზე, სასუფეველსა შეუნდეს“. ეს საფლავის ქვის წარწერა,  
და საფლავები კი იქ სხვადა ბევრია. თვით სოფლის სასაფლაო კი  
მთის ძირშია და ჰქვია „სახების სამარვანი“ (სახება = სამება, რად-  
გან კასრი სამების საუღარი ყოფილა). კასრის-საუღრის ეზოში ყოფი-  
ქვევრის შესახებ ადგილობრივი გადმოცემა ამბობს ამას: ქვევრში  
1000 ჩათვი ღვინო იხმობდაო ყოველ წელი, ე. ი. კომლზე თითო  
ჩათვი. შემოდგომაზე მოიტანდნენ, გაავსებდნენ და დაკრძალავდნენ.  
ვერისძობას (=ვერისძობას) კი ეველანი მოვიდოდნენ სალოცა-  
ვად სანოვაციით, ახდიდნენ და იხიარებდნენ ერთად ძმურად.

ქურმუხის საყდარი დაბა კაკის იქით ვაკასიონის გამოშვერილს  
ფერდობზეა და დაჭურვებს თვალ-უწვდენელ სივრცეს. იგი ერთი  
უზარმაზარი მთლიანი კლდეა, საყდრის სახით შემოკვევრებული. მის  
თავზე რაღაც ნაშენობის ნაშთიც არის: ამბობენ, ზედ კიდევ ნაში  
იქნებოდაო. ქურმუხის-საყდარი ანუ ქურმუხის წმ. გიორგი მეტად  
სწამს აქაურ ხალხს, თვით მაჭმადიანებიც კი ხანდახან მოდიან მის სა-  
ლოცავად. მისი ჰატვი ისე ძლიერაა აქ, რომ ისცილო საკლავს ისე  
არ დაჭკავს, რომ დმერთის შემდეგ არ ახსენოს ქურმუხის-საყდარი:  
„დმერთო ჭ ქურმუხის საყდარო, შენ შეკუწალა“, — წარმოსთქვამს ისცი-  
ლო ჭ დასას გამოყსოშს ქურმუხის საყდრისკენ ჰირმოქვეულად წამოქცეულ  
„სამიტოს“ ანუ თუნდ საკარტეს, ჭათამს და სხ. საკლავს. ქურმუხის  
საყდრისკენ მიდის მთა-მთა ფართო ბილიკი. მის შესახებ არსებობს  
მრავალი თქმულება. შიგ საყდარში (კლდეში) არისო მღვიმე, რომ-  
ელშია იმყოფებოა ოქროს მამალი; ის რომ დაიყოფებეს, მაშინ  
სხვა მამლებიც გაიკებენ შუაღამეა და ყივილს მორთავენო. მის კა-  
რიზირილამ თუთია (წმ. მიწა) რომ იქნისო და წყალში ხალხის და-

ლით, გარკვევით და სხვა და სხვა სწულებს ვერ შეგაწუხებთ. ბი-  
ლიკის ქვემო ფერდობზე ჰერია დიდრონი კონცხები; ეს აქლები არია-  
ნო: ურწმუნო შეაქლებს გაუქვადნენო. დღეობს (10 გიორგ.) დი-  
დესულებად გადაბინ ხოლმე უკვლას სოფლებიდან სამხტო-საკლავებით  
მოსული ინგილოები.

ბარბარეს საყდარი, ჭანდარა საყდარი (კეპენს მთაზე) და სხ.  
მთლად დანგრეულებია. ზირველი აბრია ქიტაშვილებს:

მეტის-მეტ სათაყვანოდ ითვლება აგრეთვე ხუციშვილების ოჯახ-  
ში შენახული საეკლესიო და სამღვდელთ სიწმინდენი „ხუციანთ-ოახ-  
თავი“ და სხ. ნივთები.

როდესაც ამ მშვენიერ ქვეყანაში უფლობდნენ ლეკნი და მტარ-  
ვალობდნენ ელისოს სუფთაანი, „ხუციანთ ოთხთავი“ იყო ეთად-ერ-  
თი ნავთ-საყუდელი აქაურ ქრისტიანებისა, იგი იყო მათი ნუგეშის  
მცემელი, მათი სასიკეთო და სულიერი მკურნალი. მის თაყვანის-სა-  
ცემლად ინგილონი დიდის კრძალვით იკრიბებოდნენ ხუციანთ ოჯახ-  
ში, აქ ანთებდნენ სანთელს, აკმევენდნენ საგმეველს და ღმობიერებით  
ითხოვდნენ შეკლას და შემწეობას. დირსია ვურადლებისა, რომ ამ  
„ხუციანთ ოთხთავის“ წინაშე დასაკლავად უკვლასად უკეთეს მსხვერ-  
ვლად ხალხის თვალში ითვლებოდა ოთხ რქიანი ვერძი, ანუ ოთხ  
რქიანი ვადი. ამგვარ „სამხტოს“ შესაძენად ინგილო არ იშურებდა  
თავის ქნებას, რადგან იგი დამიღებულ იყო, რომ ასრეთ მსხვერვლს  
შეიწინავდა უფალი. „ხუციანთ ოთხთავის“ ბრალთა უმთავრესად, რომ  
ეს განაპირა გუთსე სრულად არ მოსწუდა საქართველოს და დაცვა  
თავისი ხალხისნობა - ქართველობა, თვისი ენა და რჯული; მისივე  
ბრალთა, რომ ლეკთა ძალ-მომრეობამ ვერ დაჩაგრეს ეს ერთი მუჭა  
ხალხი, და ინგილო ისევე დაშთა ქართველად.

ამგვარი დიდი დამსახურება აქვს „ხუციანთ ოთხთავის“ ქართვე-  
ლობის წინაშე და ამიტომაც იგი დირსია ვურადლებისა.

გადმოცემის მიხედვით, ხუციშვილების წინაპარი ყოფილა მღვდელ-  
დი, რომლის შთამომავალნი არიან დღევანდელნი ხუციშვილნი, მცხო-  
ვრების სოფ. კაკში. ლეკთა მტარვალობის დროს, როგორც უკვლას  
ინგილოებს, ისე ხუციშვილებსაც გარეგნულად მიუღიანო მსჯობდინობა.  
მიუხედავად ამისა ინგილოთ ქრისტეს სარწმუნოება არ დაუტოვებიათ



და ფარულად უსრულებისა ყოველი ქრისტიანებრივი წეს-რიგი და ულტონათ ქერმუნის წმ. გიორგი და „ხუციანთ ოჯახი“, რომელშიაც კრძალვით შეუნახავთ ყოველი სამღვდელთ ნიუთი. აი რა და რა და ცუდი ხუციშვილების ოჯახში.

1. სახარება ვახტანგ მეფის დროისა და მის მიერ დაბეჭდილი ტფილისში. სახარებას აწერია: „საღთო და სწავლად სსხარება, აწ ახალი და ზირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედ ჟამსა ამაღლებულისა და სსხელოვნისა საქართველოს მეფისა უფლის უფლისა გიორგისა იესიან-დავითიან-სოლომონიანისა შრომითა ფრადითა და წარკებითა სავანეთათა მართლ-მადიდებელისა და განთავებულისა საქართველოს გამგებელისა ბატონიშვილისა და თვით უფალ ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა... ესე ხელითა ნიკოლოზ მღვდელ მონაზონისა ობედიშვილისათა. კელითა მესტამბე მიხეილ სტეფანეშვილის უნგრო ვლახელისა ქალაქსა ტფილისისსა, ქორთიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ცხრასა“.

2. კრებული, რომელიც შეიცავს: ლოცვანს, ჟამსს, წადიკს, სამოციქულოს. აშიაზე აქვს წარწერანი: „ღმერთო, შეიწყალე ფრად ცოდვილი იოსებ დაკონი, უღირსი“; „უფალო ღმერთო, შეიწყალე ყოვლად უღირსი ამ წიგნის მხსიბავი ლავრენტი მონაზონი, ჟვარის-მამას აღზრდილი ბერი“.

ბოლოში ჩამატებულია:

„იწიების ქორთიკონი ესე: ტოზ (=1689 წ.).

„ამავე ქორთიკონსა გამეფდა ერეკლე ქართლს.

„ამავე ქორთიკონსა კახნი ჭარს მოუხდნენ<sup>1)</sup> და გატყეს და მრავალი წიანი უყვეს; და ჩვენ მოგვიკლეს ენდრონიკაშვილი აბელ მო-

<sup>1)</sup> მეფის ერეკლეს ტფილისში შესვლას ვახუშტი უჩვენებს 1688 წელს. კახთა ჭარს მიხტომის შესახებ ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „შეიკრიბნენ სრულიად კახნი და მივიდნენ ელისენსა შინა. ევედრნენ ჭარელნი და აღუთქმიდნენ მორჩილებასა და ხარკსა, რათა არა მოსწყვიტონ. ესე არ ინებეს კახთა და შეუხტნენ. ვერ წინა-აღუდგნენ ჭარელნი და ამათ ამოსწყვიტნენ და შემუსრნეს სიმაგრენი მათნი და ნაალაფევენი დადგნენ ჭარსა შინა, რამეთუ განებრახათ სამ დღე მუნიდამ რბევა და ტყვენვა მარად-დღე. არამედ გლებთა რა იხილეს ალაფი დი-

ლიო, გარგებსო და სხვა და სხვა სწულებო ვერ შეგაწუხებო. ბი-  
ლიგის ქვემო ფერდობზე ჰერია დიდრონი კონცხები; ეს აქლეები არია-  
ნო: ურწმუნო მუქლეშენ გაუქვავდნენო. დღეობას (10 გიორგ.) დი-  
დებულად გადისდინ ხოლმე ვეკლა სოფლები დამ სამსტო-საკლავებით  
მოსული ინგილოები.

ბარბარეს საყდარი, ჭანდარა საყდარი (კეჭენს მთაზე) და სხ.  
მთლად დანგრეულებია. პირველი ახარია ქიტიაშვილებს.

მეტის-მეტ სთაყვანოდ ითვლება აგრეთვე სუციშვილების ოჯახ-  
ში შენახული საეკლესიო და სამღვდელო სიწმინდენი „ხუციანთა-ოთხ-  
თავი“ და სხ. ნივთები.

როდესაც ამ მშენიერ ქვეყანაში უფლობდნენ ლენი და მტარ-  
ვალობდნენ ელისოს სულთანნი, „ხუციანთა ოთხთავი“ იყო უთად-ერ-  
თი ნავთ-საუღელეი აქაურ ქრისტიანებისა, იგი იყო მათი ნუკეშინის  
მცემელი, მათი სასოება და სულიერი მკურნალი. მის თაყვანის-სა-  
ცემლად ინგილონი დიდის კრძალვით იკრიბებოდნენ ხუციანთა ოჯახ-  
ში, აქ ანათებდნენ სანთელს, აკმეგდნენ საკმეველს და ღმობიერებით  
ითხოვდნენ შევლასა და შემწეობას. დირსია უურადლები, რომ ამ  
„სუციანთა ოთხთავის“ წინაშე დასაკლავად ვეკლასად უკეთესს მსხვერ-  
ვლად ხალხის თვალში ითვლებოდა ოთხ რქიანი ვერძი, ანუ ოთხ  
რქიანი ვატი. ამგვარ „სამსტოს“ შესაძენად ინგილო არ იშურებდა  
თავისს ქანებას, რადგან იგი დაიმედებული იყო, რომ ასრეთ მსხვერვლს  
შეიწირავდა უფალი. „ხუციანთა ოთხთავის“ ბრალი უმთავრესად, რომ  
ეს განაპირა გუთხე სრულად არ მოსწედა საქართველოს და დაცვა  
თავისი ხალხისნობა - ქარაველობა, თვისი ენა და რჯული; მისივე  
ბრალია, რომ ლეკთა ძალ-მოხრებამ ვერ დახატა ეს ერთი მუჭა  
ხალხი, და ინგილო ისევ დამთა ქართველად.

ამგვარი დიდი დამსახურება აქვს „ხუციანთა ოთხთავის“ ქართვე-  
ლობის წინაშე და ამიტომაც იგი დირსია უურადლები.

კადმოცემის მიხედვით, სუციშვილების წინაპარი ყოფილა მღვდელ-  
დი, რომლის შთამომავალნი არიან დღევანდელნი ხუციშვილნი, მცხე-  
გრებნი სოფ. კაკში. ლეკთა მტარვალობის დროს, როგორც ვეკლა  
ინგილოებს, ისე სუციშვილებსაც გარეგნულად მიუღიანთ მჭამდინაობა.  
მიუხედავად ამისა ინგილოთ ქრისტეს სარწმუნოება არ დაუტოვებიათ

და ფარულად უსრულებიათ ყოველი ქრისტიანებრივი წეს-რიგი და ულტონიათ ქურმუხის წმ. გიორგი და „ხუციანთ ოჯახი“, რომელშიაც კრძალვით შეუნახავთ ყოველი სამღვდელთ ნიუთი. აი რა და რაა დაცული ხუციშვილების ოჯახში.

1. სახარება ვახტანგ მეფის დროისა და მის მიერ დაბეჭდილი ტფილისში. სახარებას აწერია: „საღთო და საღვდელთ სახარება, აწ ხაღლი და ზირველი დაბეჭდილი ქართულს ენასეჲდ ჟამსა ამაღლებუდისა და სასელთგანისა საქართველოს მეფისა უიუდის უფლისა გიორგისა იესიან-დავითიან-სლომონიანისა შრომითა ფრიაღითა და წარკებითა სავასეთათა მართლ-მადიდებელისა და განათლებუდისა საქართველოს გამკებუელისა ბატონიშვილისა და თვითა უფალ ვახტანგ ლუგანის ძისათა. გაიმართა... ესე ხელითა ნიკოლოზს მღვდელ მონაზონისა არბელისშვილისათა. კელთა მესტამბე მისეჲლ სტეფანეშვილის უნგრეთ ვლახელისა ქალაქსა ტფილისისასა, ქრონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ცხრასა“.

2. კრებული, რომელიც შეიცავს: ლაგვანს, ჟამნს, ზადიკს, სამოციქულოს. აშთასე აქვს წარწერანი: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იოსებ დიაკონი, უღირსი“; „უფალო ღმერთო, შეიწყალე ყოვლად უღირსი ამ წაგისი მისხიბავი ლავრენტო მონაზონი, ჟგარის-მამას აღსრდილი ბერი“.

ბოლოში ჩამატებულია:

„იწუების ქორთნიკონი ესე: ტრს (=1689 წ.).

„ამაჲე ქორთნიკონსა გამეფლა ერეკლე ქართლს.

„ამაჲე ქორთნიკონსა კახნი ჭარს მოუსდნენ<sup>1)</sup> და გატყეს და მრავალი ზიანი უუკეს; და ჩვენ მოგვიკლეს ქნდრონიკაშვილი აბელ მო-

<sup>1)</sup> მეფის ერეკლეს ტფილისში შესვლას ვახუშტი უჩვენებს 1688 წელს. კახთა ქარს მიხტომის შესახებ ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „შეიკრიბნენ სრულიად კახნი და მივიღნენ ელისენსა შინა. ვედრნენ ქარელნი და აღუთქმინდნენ მორჩილებასა და ხარკსა, რათა არა მოსწყვიტონ. ესე არ ინებეს კახთა და შეუხტნენ. ვერ წინა-აღუდგნენ ქარელნი და ამათ ამოსწყვიტნენ და შემუსრნეს სიმაგრენი მათნი და ნაალაფენი დადგნენ ქარსა შინა, რამეთუ განეხრახათ სამ დღე მუნიდამ რბევა და ტყვენვა მარად-დღე. არამედ გლებთა რა იხილეს ალაფი დი-

ურავი, და ჩოლაყაშვილი ზურაბ სახლთხუცის შვილი და იქმნენ მო-  
წამეთა თანაზიარ თვეს მისისა 15, დღეს კვირიაკეს.

„ამავე ქორთნიკონსა დაჯდა ალექსანდრე... . . . ქორთნიკონსა ტბზ  
(1699 წ.) მეუთის ერეკლეს ჟამში.

„ქ: დმურთმა: ბუდნიერის: კელმწიფის: ჭირი: და: სტკივარი-  
მისცეს: აბრამ მღვდელს: ქ: ა: ბ: . . . დმურთმა: მიეტ გულის: უუ-  
რი: ისწავოს და გემსახუროს: ამინ: და კირიელეისონ“.

3. კონდაკი, 4. კურთხევანი, 5. კონდაკი, 6. დაუჯლო-  
მელი, 7. ფეშხუმი, 8. ბარძიმი მინანქრიანი, 9. ღრუბელი,  
10. სამირინეები ჩინური თიხისა, 11. სანაწილე, მსგავსი საათი-  
სა, 12. სეფისკვრის ბეჭედი მარმარილოს ქვისა, ზედწარწერით:  
„იესო ქრისტე ძლევა“, 13. ჯვარი ვერცხლის დროშაზე გასაკე-  
თებლად, ხუთის თვლით, 14. ჯვარი ზატარა ყვითელის თითბრისა,  
15. ჯვარი ზატარა, გულზედ სკიდი და 16. ბარძიმი ვერცხლი-  
სა, ზედწარწერით: „ქ: შემომიწირავს: მე: ნაცვალს: ბერუკას: ესე:  
ბარძიმი-თეშხუმი: ყოვლად წმიდის: ღვთის: მშობლისათვის: ჯიმი-  
ტას: სადღეგრძელოდ: და ცოდვათ: ჩვენთა: შესანდობლათ“.

ვინ არიან ბერუკა, ჯიმიტი, აბრამ მღვდელი, ლავრენტი მო-  
ნაზონი, დიაკონი იოსები, ქართლის ტხოვრებიდამ არა სჩანს. არც  
ზეპირ გადმოცემას შეუნახავს მათ შესახებ ცნობა.

ამ ნივთების შენახვისათვის ერთი ხუციშვილთაგანი ელისოს  
სულთანს უწამებია: შრა გზაზე ჩამოუკიდნია.

ბევრია კიდევ აქ ძველი ნაშთები, მაგ. ალავერდის წმ. გიორგი,  
რომელიც სოფელმა ნგრეულობითგან აღადგინა ამ რამდენიმე წლის  
წინად. იდღესასწაულებას კახეთის განთქმულ ალავერდობა დღეს—  
14 სექტემბერს.

კაკის უხნად ითვლება სოფ. ახსნური (იქვე ქურმუხის იქით სა-  
ზირას) და ბინებად კი უარამემა, ალათმური, ქეშხუთანი და ბასთა-  
ლა, საცა შვენიერად შენახულა ძველი სუყარი.

დი, აღიტვირთნენ და წამოვიღნენ. აღუძნდათ ესე მთავართა ფრიად, გა-  
რნა არღარა უსმინეს. ამის მხილველთა ქარელთა უწყეს თვითთველმან  
ცემა თოფთა, მოკლეს ღუშია მოურავი და მრავალნი წარჩინებულნი და  
„ოვლტოდნენ კახნი“. ეს ამბავი ქართლის ცხოვრებით მომხდარა 1695 წ.

ყუმი დიდი სოფელის კაკიდან 5—6 ვერსის მანძილზე ყუმის-წელის ხეობაში. ადგილი შვენიერია, მდიდარი მცენარეულობით. აქ არის ნანგრევი დიდებულის საუდრისა. დღეს მასში ლეკები მოსახლეობენ და იქიდან ცდილობენ ინგილოების ზატარა სოფ. სოსკანშიაც გაბატონდნენ. გადმოცემით, ყუმის ქვემო ნაწილი ყოფილა კუთვნილება ჯანაშვილებისს. შაჰბაზი რომ მოსულა, 7 ძმა ჯანაშვილი მას შებრძობებია ძლიერად. ექვსი დახრილა ბრძოლაში და მეშვიდე შერმაზანი კი ტუვედ ჩაფარდნია შაჰბაზს. იგი სიკვდილისკან გადურჩენია წახურელს კამაზ-აღლის. მოუხსენებია მტარველისთვის: მაგის მუტი ჯანაშვილი აღარ გადარჩა, ნუ მოჭკლავ. რა უნარი აქვსო, უკითხავს შაჰს. მთელს შენს ლაშქარს ლაფაშითა და თათლით დაადლობს, ისეთი შემძლებელიაო. მართლაც გამაზნინდლებია. შაჰს აღარ მოუკლავს; მხოლოდ თავადობის ღირსება მოუშლია და უჩუქებია თავად კამაზაშვილისთვის. შერმაზანის ჩამომავლებს აუშენებიათ კაში ციხე მათეს-ყალაფანჯურის მიდამოს. ციხე დღეს აღარ არის, ხოლო მთელს ველს ისევ მათეს-ყალა ჰქვია. აქედან აურილან ზოგი ჯანაშვილები, წასულან მოსულს და იქ დღესაც მოსახლეობენ მათეშვილების სახელწოდებით (იხ. დ. ჯანაშვილის „ქვერეთის აღწერა“, მოგზაური 1901 წ. № XII, გვ. 1130).

სოსკანი, სცა ცხოვრობენ გამაზნადინებული ჯანაშვილები და სხ. ინგილოები, წინად ყოფილა ბინა კაკისა, რომელსაც შორაფს ნ ვერსით. 1850 წელს ამ სოფელს თავს დაესხა 500 ავარელი და ყუმიელი ლეკი. მშინ ნაიბად კაში იყო ზისსერმანი. ეს მღვწად გავიდა, მაგრამ სახარა, რომ ლეკები ტუვითა და ნდავლით უკვე მიდიან ყუმისკენ და ძლიერ შეიარაღებულ არიან, უკანვე დაბრუნდა<sup>1)</sup>. ტუვეები და მათ შორის ერთი ჯანაშვილი დედაბერიც შემდეგ გამოისყიდეს მათ გადარჩენილ ჭირისუფლებმა. სოსკანი კი მთლათ გადაეწოთ და მაშინვე გადაიწვაო, ამბობს გადმოცემა, ჯანაშვილების უწინდელი სავარეულო სიგელი.

ყორალანი ორზინად გაშენებული სოფელის კაკა-ალიბეგლოს გზაზედ. მასში 756 მცხოვრებია, მათგან 322 ქრისტიანი ინგილო

<sup>1)</sup> А. Зиссерманъ. Двадцать пять лѣтъ на Кавказѣ, в. 1, გვ. 313.

და 434 მკჷმადიანი ინგილო. სძოფრები აქეთ ბლომად, სსსმელი წყალი უგარკისი და ციბუ-ცხელეა გახშირებულაა ზაფხულობით. ყო-რანელეებს აქეთ ეკლესია და სკოლა.

ნაწილს ასწანს, გაათანასწორებს და ეველას ჩაბარებს ზვედრს. თუ რომელიმე წვერი უცოლოა, იმის ნაწილს აიღებს თვითონ დიასახლისი, როგორც მზრუნველი და მომვლელი იმ უცოლო წვერისაც, ან ჩაბარებს იმ დიასახლისს, რომელსაც უკისრნია აღნიშნულის პირის მზრუნველობა: საცმელ-საცვეთის შეკერ-დაკერვა, სუფთად შენახვა. კაჟ ქალ კაცს დაამშენებს, არვარგ — გაათავისუფლებსო.

✓

## შინაური ყოფა-ცხოვრება

(დაბადებიდან სიკვდილამდე).

### 1. შობა და აღზრდა.

შობა. მშობიარე. ორმოცის გაყვანა. ბებუის სარგო. ნანა. მარილის შემოვლება. აკვანი და ლალუა. ბერობა. „ზეთი ქნა“. სახელი. გვაბები. სავაზირო. საგარეო მუშაობის დაწყობა.

— გამარჯობა!

— გაგმარჯოს.

— შენ ცოლ დაწოდიღავ ჭუჭუ?\*)

— ჭოჯი.

— შუღ ჭუჭუვავ, მართალია?

— მართალი.

— მაშ მოგილოცავ, ღმერთმა გაზარდოს...

ამ სიტყვებით მიეგებებიან ხოლმე ცოლ-ამხანაგები ვაჟის მამას. შუღს (შვილს) საინგილოში მხოლოდ ვაჟს უწოდებენ და ქალიშვილს კი ქალს. ცოლი რომ ღოგინად დაწვება, ქმარი იმ დროს შინ არ უნდა დაესწროს. თუ როგორმე შინ მოჭხდა, უნდა წავიდეს სხვაგან, გაეცალოს ოჯახს. ადამი და ჩვეულება ნების არ აძლევს,

\*) შენს ცოლს მოულოცინათო, ჰო?

რომ დედ-მამას დაენახოს: სირცხვილიაო. ახლგაზღა კაცს შირველად რომ დაუწევს ცოლი ღოგინად, უფრო მამის უნდა მოერიდოს დედ-მამას, იმორცხვოს, და თუ როგორმე დაესწრო ოჯახში ახალ დაბადებულზე ლაზარკას, ან უნდა ადგეს, გაეცალოს იქაურობას, ან თავი ჩაჭლუნოს, შუბლი შეიკრას და უფრო მთარიდოს ამგვარ საუბარს. უწინ ცოლისა და შვილის ნახვა ხომ დღიდან მშობიარობის „ორმოც კასვლამდე“ არ შეიძლებოდა. ორმოცის გასვლის შემდეგაც შვილსა და ცოლს მხოლოდ დამ-დამობით შეიძლებოდა მამა, დღისით-კი, დედ-მამასა და უფროს და-ძმასთან, მამა ვერ გამოელაზარებოდა და ვერ შეიძლებოდა თავის ახლგაზღა ცოლსა და ნორჩ შვილს.

ფეხშიძე დედა-კაცს მუცელი რომ წამოსტკივა, ცალკე ქონში დაბინავებენ, „დიდს სახლს“ (ოჯახის სცხოვრებელს) გააძორებენ. ვისაც ქონი არ აქვს და მართო „დიდი სახლი“ აქვს, ამ სახლის ერთ კუნტულში მთამშობიარებენ, ხოლო ამ დროს მამათ სქესი უნდა გავიდეს გარეთ, რაიმე საქმეზე წავიდ-წამოვიდეს. ქონში საქონელს ინახვენ. ერთი კუთხე ამ სახლისა ხარიხებიით გადაობილი და გაუთვლილია. ამ კუთხეში ორსული დედაკაცი მიწურს იატაკზე გაიშლის ჭკვიანს და მოაღოგინებს. მოსაღოგინებლად მოუწოდებენ ხოლმე ბებიას, რომელიც ყველა სოფელში მოიპოვება. მოღოგინების დღიდან ორმოცის გასვლამდე არც ოჯახის დიასახლისი, არც სხვა ვინმე სახლის წულთაგანი და არც ნაცნობი ქონში არ შევა, რომ არ გაუწმინდურდეს. თუ ვინიცობა დიასახლისი, ან სხვა ვინმე შევიდა მელოგინესთან, ვუდარც „ცომს მოზელავს“, ვუდარც „სამელს ჩაჭურის“, ვუდარც „სადრებს ინახულებს“. ამიტომ ტოლ-ამხანაგი და ნათესავი დედაკაცი, რომელიც და გასათხოვარი ქალები ვადმოყოფის სანახელა (სანახავად) რომ მოვლენ, ქონის კარზე ჩამოსხდებიან, მოტანილ ხორავს კარხედვე დასდებენ, რომ მელოგინემ თავის ჭამ-ჭურჭელში გადაიტანოს. მელოგინეს თავის სანძარი ერთი-ორი ჭურჭელი აქვს. სხვა ჭურჭლებს ქონში არ შეიტანენ: გაუწმინდურდებოთ. გაუწმინდურებულ ჭურჭელს სხვა ჭურჭელში ორმოც კასვლამდე ვერ შეურევენ და სურათთ კორთებზე (თაროზე) ვერ დააწყობენ. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუ მშობიარობა გაძნელდა და მშობიარე შეწყუნდა, დიასახლისი მოიწვევს მამაკაცს, მისცემს თათს და დაცლევით

ნებს: მოუშვებს მშობიარეს და გაუადვილებს შობასა. ემაწვილი რომ იშვება, იმავე წამს ნელ-თბილის წყლით აბანებენ, ჩვრებში შეახვევენ და იქვე ნაბადზე დააწვენენ. ახალ-დაბადებულს ხშირ-ხშირად აბანებენ. წყალი ემაწვილს ძალიან რგებსო და სწრაფად ზრდისო. ორ კვირამდე ბაღლი ჩვრებშია გახვეული, მერე აკვანში ჩააწვენენ ხოლმე.

მშობიარობიდან მოკიდებული ორმოცი დღე მშობიარემ ქონში უნდა გაატაროს. ღამ-ღამე ყარაულს უყენებენ მას. ეს ორმოცი დღე „ორმოცეულს“ შეადგენს და ამ დროს განმავლობაში ალი ფრიად მტრობსო მელოგინეს: სულ იმის ცდაშია, რომ ავნოს დედას, დაარჩოს, ან მოჰკლას. ყარაულისა კი, ვინც უნდა იუთს იგი, დიდი თუ ზატარა, ალს ძალიან უშინიან. ამიტომაც მელოგინეს ყარაულებად ხშირად ემაწვილი ქალები ან ვაჟები არიან. უყარაულოდ კი, რაც უნდა იუთს, მელოგინეს არ დასტოვებენ. ორმოცის გასვლამდე რაც კი რამ წესია საჭირო მელოგინესთვის: ქონის დაგვადწმენდა, რეცხვა-ბანვა და სხ., ეგულა თითონ უნდა გააკეთოს და შესარულოს. თუ დედაკაცი ოჯახში მარტოკაა, ხშირად ორმოცის გასვლამდე აღარ იცდის. თუ ავად არ არის და ღონე შესწევს, მესამე-მეოთხე დღესვე სტოვებს ქონს, გამოდის და სახლის ეოველეგვარ საქმეს თითონვე აკეთებს. ორმოცი კი ასე გაჭყავთ: მეორმოცე დღეს მელოგინე დარეცხავს თავის ეგულა სარეცხს, ღოგინს, აბანებს და საცმელს გამოიცვლის. მერე ტეფაში ორმოც კოვზს წყალს ჩასხამს, შემდეგ ბლომა თბილ წყალს მიუმატებს და ჩვილს აბანებს. ამის შემდეგ ადგება და ემაწვილიანად დიდს სახლში გადასასლდება. ამ დღიდან მისთვის ხსნილია ეოველი კუთხე სახლისა (აღმოსავლეთი კუთხე საოჯახო სახლისა წმინდად ითვლება და უწმინდური დედაკაცი ვერ მიეკარება), ცომის მოზეკა, ზურის გამოცხობა და სხვა ეოველივე შეუძლიან. ბებიას შრომისათვის ორი ბაკანი (შინა) ხორბალი, ან ერთი მანეთი ეძლევა. აჭური ბებები შინაურობაშივე გამოცდილნი არიან: ზოგი საკმაოდ დახელოვნებულია, ზოგი კი თუმცა ბებიაობს, მაგრამ ეოვლად უვიცია და არა-იშვიათად მშობიარეს წუთი-სოთხეულს ასაღმებს. ბოლო დროს ნასწავლი ბებიებიც გამოჩნდნენ და მათ იწვევენ.

ორსულს დედაკაცს საინგილოში არ ასვენებენ, საქმეს არ უმცირებენ, შირ-იქით, ბევრს აძუშავენ: ადვილად შობისო. ძუძუ-მარ-

ვნებელ დედაცაც კი უფრო ნაკლებ ამუშავებენ, საზოგადოდ ხელს უწყობენ, რომ შვილიც ადვილად გაზარდოს და საქმესაც არ მოსცდეს.

ჩვილის ეველა სხლის წულნი, ზაზა, ბებრა (დიდედა), ბიძები და სხ., ულთიანებენ, უაღერსებენ, ასე რომ ჩრვილი ხელით-ხელს საგოგმანებელი ჭხდება. გახვინებულსა და გახჩხლებულს ემაწვილს ხანდახან აშინებენ: დაეზინ, თუარ ტურამ მოე! (დაძინე, თარე ტურამ მოვა), ხშირად კი ხანას ეუბნებიან: აქაურ ხანას ფრიად გულ-მოსაკლავი და მწუხარებით სავსე კილო აქვს. ბევრჯელ მამისმეწიან ინგილოური ხანა და ეფიველთვის ამ ქვეყნის ბელაზვი წარსული თვალწინ წარმომდგომია: მამგონების დრო სიჭ-აბაზისა, მთელთბელობა და ბატონობა ჭარ-ბუღაქსელებისა, ელისოს სულთნისა, ლეკებისა და სხვა და სხ., ერთის სიტყვით, ის დრონი, როდესაც ძლიერსა და ხალხით სავსე ჭერეთს მტრები სისხლის წვიმას აწვიმებდნენ, ხალხს სტევენჯიღნენ და ელეტავდნენ. მართალია, აქაური ხანა სიტყვებითა და შინაარსით ფრიად მარტივი და ღარიბია, მაგრამ მაგიერად კილო-სა და ჭანგის მიხედვით კი თაფხარ დამცემია და, როგორც ვსთქვით, მწუხარებით სავსე. ამ მცირე ლექსის: ჭანგით კი ხალხს გამოუნატავს თავისი ბელაზვი ეთვა-მდგომარეობა, სიმძიმე, თავისის უღლისა. ამ თვით სიტყვები აქაურის ხანასი, რომელსაც უფრო ბებრები დამდე-რიან:

დაამ-დაამ, შულო, დამ!  
კობტა. ჩანი, დამ!  
ჩემო გულო, დამ!  
დაეზინ, შულო, დამ!  
დაამ ქენ, თოლო, დამ!  
შენამ შემგველებ,  
ტობილად დაეზინ, დამ!  
ჩანიჭ ჭირიშენ,

ვასკაც, გაკდ, დამ!  
დუშმან ბევრ გუავ, დამ!  
საქმეა ბოლ გოქ, დამ!  
შენ რუმ გაეზდებ, დამ!  
ხანაქლს მოცემე, დამ!  
მამულს მოუარ,  
შემამაგრ, დამ!  
დაამ-დაამ, დამ, დამ-დაამ!!!

თუ ბავშვი ხანამაც და დამინებამაც ვერ დაიხინა და ემაწვილმა ტირილს უფრო მოუმატა, ძუძუც აღარ მიიკარა, მაშინ იტყვიან: „თოლ მოჭხტომი“, თვალი სცემიაო და აიღებენ მცირეოდენს მარილს, ერმას თაფლს შემთავლებენ სიმჯერ და ცეცხლში ჩაჭყრიან. მარილი ძლიერს ტაცანს რომ მოიღებს, იტყვიან, სწორედ თვალ-ცეცხელი

ყოფილაო. მაგრამ უნდა შევნიშნათ, რომ სწამდებოდა ზე ცრუ-მორ-  
წმუნეობისა ბევრს აღარა სჯერა. ბავშვი რომ ცოტათი წამოიზრდებოდა,  
ბლუნვას (ჩოჩყას) დაიწყებს, იმის შემდეგ ცოტ-ცოტაობით უველ-  
ფერს აჭმევს. ღვინოსაც კი აკემებენ ხოლმე. ზაფხულში ემაწვილს  
ხანდახან აკვნის მაგიერ ლაღოში (ჭოჭინაში) აწვევენ. ჭაღეს რომ  
აწებენ და აქანებენ, დაა-დაა-ს მაგიერ იმავე სიტყვებით დაა-დაა-ს  
ღამდერინს ზედ. მობიდგან ორმოც დღემდე წვილს უოველ დღე თი-  
თოჯერ ახანებენ, შემდეგ კი წლის გასულამდე ორ დღეში ერთხელ.  
ემაწვილს რომ თვალი არ ეცეს, ზედ მალის მიერ დაწერდნ წიგნ-  
სა—ავგაროზს, მიივს და ღვინჭილას ჰკიდებენ. აკვნაში, ან ჭაღუ-  
სა და ფართალში (ლოგინში) ხაწვენილს ბავშვს, იუ მართო უნდა  
დასტოვონ ცოტა ხნით, თავით ხალს ან რუინის იარაღს დაუდებენ:  
მაგნე ვერ მიეკარებაო. თუ დედას შვილები არა რჩება და ეხოცება,  
ღმერთს შეუთქვამს შვილის ბერობას. ბერობა მდგომარეობს იმაში,  
რომ ბერად შეეყნებულს ვაჟსა თუ ქალს დაბადებულანვე თმას არ  
უკრტენ, აეთრას და კრძელ საცმელს აცმევენ 5—10 წლის შე-  
სრულებამდე. შეიძლება ბერად შეთქმული ბერად დარ-  
ჩეს. ეს დამოკიდებულია დედის სურვილსა და შეთქმულობაზე. ბერო-  
ბა აიხსნება საღმთთით. საღმთოდ სწირავენ ვერძის ანუ ელის. სდა-  
მოთს მიიყვანენ ქურმუხის წმინდა გიორგის (10 გიორგობისთვეს),  
შესწირვენ ღმერთს, ვაჟსა თუ ქალს თმებს გაუკრტენ, და ჩითიულ-  
სა თუ ფარსიულს საცმევენ. ამ დღიდგან ბერად შეეყნებული ბერო-  
ბიდგან გადამდგარიან. ბავშვს როგორც რომ რაიმე ავადმყოფობა ეწვე-  
ვა, ან დასუსტდება, ან თვალების ჰეეტასა და ხელების ფთაურს და-  
იწყებს, ინგილონი ამას ჭვთის ნებას მიაწერენ: „ემაწულ ზეღმთი  
(ზუნას ძალით) იქნაო“, „ზეღმთი დაკრულიაო“, ან ბასმა იქნაო.  
შირველ შემთხვევაში ღმერთს საღმთოს შეჰპირდებიან, ან მოლას მია-  
იყვანენ, რომ „დედა“ დაუწეროს (ავადმყოფობა შეკრას), ან „ფა-  
თხავს“ აკითხვინებენ. დედას დაწერა ერთი აბზიდგან ერთ-  
ორ-სამ მანათამდე ღირს, ხოლო მკინახავს კი ორ-სამ შურსა  
ანუ ერთ ბლუჯა ეტ-ღომივალს მინახმევენ ხოლმე. ბასმა ემაწვილს  
ბერის წამისა და სიცივისაკან მოუვა. ბასმა ის არის, რომ ემაწვი-  
ლი ტანში შეიკვრის, ფეხზე ვეღარ დადგება. მაშინ გულ-ადამა დაა-

წვენი, მოიწვევენ იმისთანა დედაკაცს, რომელსაც მარხბივად (ერთად-  
არი) უძობია, და იუხის სამჯერ სუბუქად დადგებუნიბენ შუცელზედ.  
დედაკაცი უოველ ფეხის დადგმასე მოუწრუწუნებს, კარგა განდებათ.  
ბავში თუ დიდხანს ავადმყოფობამ არ დაკლო, წაიყვანენ ხანჯლით  
მოკლულ კაცის სსმარეზედ, ახანებენ წყალში ზედ სამარეზედვე და  
იქვე წყლის ჭურჭელს კასტეხვენ: კარგა განდებათ. კიდევ ბევრ ტვა-  
რი თავისებური წამლობა იციან. რასაკვირველია, აქ ჩვენ ყველას ვერ  
ჩამოვთვლით.

რადა თქმა უნდა, ესლ ბავშვს ქრისტიანი ინგილოები ნათლა-  
ვენ და ქართულ სახელს არქმევენ. ამ რამდენიმე წლის წინად ქრი-  
სტიან ინგილოებში ისეთი ბაღდებიც იყო, რომ სმ-ათხს წელი-  
წადს გაუნათლავები იყვნენ. ემაწვილს რომ მონათლავენ, ქრისტიანებ-  
რივ სახელს დარქმევენ, მაგრამ შინაობაში, ხშირად, ნათლობის სა-  
ხელს ივიწეებენ და ლაყან სახელს უწოდებენ. მაგალითად ქალებს:  
სარა, ჩიხაქა, დარიჯანა, ჭავარა და სხ., ვაჟებს: რუსტამა, წიკრი,  
წუნკ, ყურა, ზორბა, სურბა და სხ. აქაური გვარები კი წმინდა ქარ-  
თულია: შიოშვილი, ხუციშვილი, ბეროშვილი, თაფლოშვილი, თთა-  
რაშვილი, თქროჯანაშვილი, როსტიაშვილი, საგულაშვილი და სხ.  
ფეხის ადგმა რომ გაუადვილდეს ბავშვს, სმთეხიან ურემს გაუკეთო-  
ბენ. უკან ურემს ხელით დასატერი მოკაკული ხე აქვს მომაგრებული.  
ურემთან ბაღლს დაყენებენ, ხეს დატყერინებენ და ურემი ხელს რთ-  
ნინს დაიწეებს, ბავშიც მისდევს და სიამოვნებით მიაგორებს. ამ  
სატორებელის შემწეობით ბავში მალე ფეხს იდგამს.

შვიდი-რვა წლისა რომ შეიქმნება შვილი, დედ-მამას უკვე საკ-  
მაოდ ჭეშელის. ჭერ ამ დრომდისც ხუთი-ექვსი წლის ბავში კარგ  
„სავაზიროდ“ ითვლება. სავაზირო ის არის, ვინც ნაბრძანებს აღა-  
სრულებს. საზოგადოდ, სახლში სავაზირონი ჰატარები, რძლები,  
უმცროსი ძმები არიან, დამავაზირებულნი კი დედ-მამა, უფროსი ძმე-  
ბი. მკვირცხლი, მალხაზი და დედ-მამის საყვარელი ბავში იცია,  
რომელიც სავაზირებს მსწრაფლ შესრულებს. ამისთანა ბავშვს არც  
ცუღს სიტყვას ეტყვიან, არც აწიქინებენ. ჩოლო „დავაზირებული“  
თუ სავაზირებს ხელს, უნდომლად ასრულებს, ან სრულიად არ მიდის  
ნაბრძანების შესასრულებლად, დედისაგან მკვავნ-მკვახე სიტყვისა, წიუ-

ვასა და ხშირად სიღუბესაც აიკიდებს ხოლმე. შვიდი-რვა წლის ვაჟს სწვრთინის მამა, ქალს კი — დედა. მამას შვილი ხშირად თან დაჭყავს ურემზედ, სხვა და სხვა სამუშაოზე, ან შინ ასწავლის საყაძვარე ხელობას. ბაღლი ბავშობიდანვე ენგევა ურმის, აჩუჩის და სხ. გაკეთებას. ქალს კი დედა ასწავლის ძაფის დართვას, წინდის ქსოვას, ნემსის ხმარებას და სხ. აქ, რასაკვირველია, მე იმას არ ვამბობ, რომ ვაჟი თუ ქალი შვიდი-რვა წლიდან მოკიდებული განუწყვეტლივ სავაზიროს ასრულებას უნდებიან, ან სამუშაოზე დადიან. არა, განუწყვეტლივ კი არა, არამედ ხანდახან და ხშირად მამის, თუ ბავშვი თითონ მოწადინებულია მუშაობას. ბევრჯერ უთვლიდა მკვლევარი, რომ რვა-ცხრა წლის ბავშვი „ზრთხის ნაბათზე“ წასულა და ასიოდე საქონელი დილით საღამომდე უმწყისა. „ზრთხის ნაბათი“, ანუ ნობათი ყოველ მეკომურს დრო-გამომშვებით შეხვდება ხოლმე. ისეთი სოფლები არის, რომ მენახირე-მეძროსე არა ჰყავს. ამ შემთხვევაში მთელის სოფლის, ან, თუ სოფელი დიდია, ერთის უბნის საქონელი ერთ ნახირად გადის საძვარზე და ამ შემთხვევაში ნახირის მწყესვა მეკომურთა შორის ჯერობით მოდის. ამ ჯერობას „ზრთხის ნაბათი“ ჰქვია. ძროხის ჯერს, თუ საქონელი ნახირში ბევრია, ორთარი მეკომური ხდილობს, ე. ი. ორის სახლიდან ათით ვაცი მიდის საქონლის სამწყსოდ, და თუ ნახირი მცირეა — თითო მეკომური, მენბათე მოვალეა ფიხიზლად იუოს, ნახირს კარგად მოუაროს და დაძღოს, მაგრამ თუ საქონელი დაკარგა, ან მოჭმარეს, მოვალე არ არის გადაიხადოს. „ზრთხის ნაბათის“ ხდილობის გარდა, ერმას „ულაყებიც“ (შესბმელი საქონელი) აბარია, მამა რომ ურემს მინდურიდან მოიტანს, ან სახნავიდან დაბრუნდება, მამის ერმამ ულაყები უნდა გალალოს (გარეკოს; საძვარზედ. მკასა, სახნავის ხუნასა და სხ. მძიმე საქმეს ვაჟს 13—15-ის წლიდან დაწყებული უნდა ხოლმე. ამ დროსვე გაჟსაცა და ქალსაც ნიშნავენ. იშვიათად მოჭნდება, რომ ამასე მცირე-წლოვანები, ამ ხანზედ გადაცილებულები დანიშნონ. ავგანშივე დანიშნულთა რიცხვი რომ თითო-ოროჯი ძლივს მოიხსება.



## 2. ნიშნობა და დაქორწინების საშუალები.

ნიშნობის წეს-ჩვეულება. მაქანკალი. მზითვეი და სხვა ხარჯები, რომელიც უნდა გადაიხადოს სანეფოს მამამ სასძლოს ოჯახის სასარგებლოდ. პატარა და დიდ ნიშნობის ხარჯები. ფარჩის ნიშანი. ქალის ქმარი. ნაუქის შემზადება და გამოცხობა. ალვა. ჯეჯიმების მოქსოვა. ძათის დართვა, დაფერადება-შენახვა. მატყლისა და აბრეშუმის ჯეჯიმები. ქრელები: კიკიკაჟ, კიდბანა ქრელი, სავალაჟ, ექეს-ქრელიანი და სხ. საქსოვის ნაწილები: ხმალი, ქუეო, ტარი და სხ.

ოციოდე წლის წინაჟ არც დასანიშნს ვაჟს და არც გასათხოვარს ქალს დანიშნის შესახებ დედ-მამა არას ჰკითხავდა. დედ-მამა თავის შვილების საბედოს თვითონვე ირჩევდა. ვაჟ-ქალნი წინაჟ, ხშირად, რამდენიმე ხნის განმავლობაში ვერც კი იტყობდნენ თავის დანიშნულის ამბავს. ხოლო ესლა და ესლა დედ-მამანი ქალისა და ვაჟის უცნობლად აღარ ჰნიშნავენ თავის შვილებს. თუ შვილის ნება არ იქნება, დედ-მამა ვერც ქალს გაათხოვებს და ვერც ვაჟს დანიშნავს. თუმცა იმის მაკალითებიც არის, რომ დედ-მამა ისევე ძველებურს წესს მისდევს და თავის უფლებას არა ჰკარგავს.

ქალის გათხოვება და ვაჟის დანიშვნა მსკეკლის (მსკანკლის) საქმეა. უმაკანკლოდ იშვიათად თუ საქმე გარიგდება. ქალის მსკანკლობა ეკუთვნის ოჯახის სიძეს. ვაჟის მამა და დედა დასანიშნავ ქალის ოჯახის სიძეს წარგზავნიან ქალის დედ-მამასთან და ქალს სთხოვენ. თუ ვაჟის ოჯახი ღარიბი არ არის, საქმე მალე რიგდება, მაგრამ ისე-თი შემთხვევაც არის, რომ მდიდარი მამა თავის ქალიშვილს ღარიბსაც მიათხოვებს ხოლმე. დანიშვნა ქალ-ვაჟისა დიდ ხარჯს არ ითხოვს. ვაჟის მამა ქალის მამას გაუგზავნის: ერთ მნაიო თუელს, ერთ კილმანდილს, ხუთ ჩაიუ ღვინოს, ერთ ყოჩს, ხილყულობას, ერთ „ვაბ ჭაღვას“ (ერთ ლანგარ ჭაღვას). ხანდახან კი დანიშვნა მარტო ხელსახოციითა და ერთი მნათით თავდება. დანიშვნა თუმცა ბევრ ხარჯს არ მოითხოვს, მაგრამ ამ დანიშვნას სხვა ხარჯები მოსდევს საქმროს მამის მხრივ. საქართველოს სხვა კუთხეებში ეველგან ქალის ოჯახს მოელის დიდი ხარჯი, ხოლო აქ კი ვაჟისას. ეოკელი მზითვეი ქალისა, ქრთამი (თუელად) და წვრილმანი ხარჯი ვაჟის მამამ უნდა გა-

დაინადოს და არა ქაღისამ, რადგან რძლის მოყვანით ოჯახს ემატება ახალი შვილავი—მუშა. ამ ხარჯს აქვე სამოვთველით და, როგორც შეითხვევლი დაინახავს, ფრიად საგრძნობელია და მისივე გლეხისათვის.

დანიშნას ნიშანი მოსდევს. ნიშნისათვის საქმროს მამამ უნდა დაამზადოს: ერთი კელმანდილი (ღირს 1—2—3 მანათი), ბეჭქედი (ღირს 1—2 მან.), 25 ნახუქი (ღირს 5—6 მან.), 25 შოთი (2—3 მან.), 1 ყოჩი (2—3 მან.), 2 მან. ფული, 20 კვერცხი წითლად შეღებილი (ორი შაური), 1 ხურჯინი გაშლი (1—2 აბაზი), 1 ბაკანი წაბლი (1 აბაზი), 1 ბაკანი (შინა) თხილი (20—30 კან.), 1 თაფტასი (2—3 მან.). ვაჟის ნათესავებისაგან დანიშნულის წილი: 20—50 კანკამდე ფული. უოკელსავე ამ სამზადისს ვაჟის მამა ქალის მამისას მაჰსნკალს წარატანს. იქ ქალის მამა მიიწვევს თავის ახლო ნათესავებს და კარგ ღრთს გაატარებენ, იმ ხურჯინში, რომელი-თაც მაჰსნკალმა ნიშნის ხორაკეული წაიღო, დაბრუნებისას საქმროს ყველა ნათესავებისათვის დანიშნულ ქალმა თითო წიკილი მატყლის წინდა უნდა ჩააწიოს და საქმროსას წარმოგზავნოს. ამით თავდება შირველი ნიშანი, რომელიც, უკანასკნელი რომ ვითქვამთ, ღირს 25—30 მან. ამ ზატარა ნიშნობას, რამდენისაზე თვის ან წილის შემდეგ, დიდი ნიშნობა მოსდევს.

სადიდ-ნიშნოდ ქალის მამისას ვაჟის მამა წარგზავნის: ორ ყაბ ალფას, 2 ყოჩს, 20 ჩაფე ღვინოს, 50 ნახუქს, 50 შოთს, ხურჯინ გაშლს, 1 ბაკან წაბლს და თხილს, 50 კვერცხს, 2 მან. ფულს, 1 თაფტას, 1 ყუნას (კისია), 1 თავ შაქარს, ცოტაოდენ კამფეტს და აგრეთვე ნათესავებისაგან ქალს სჩუქრად მისდის: ვისგან აბაზი, ვისგან ექვსი შაური, ვისგან ორი აბაზი და სხვ. დანიშნული ქალი კი იმავე ნიშნის ხურჯინში ჩააწიოს და გამოუგზავნის: საქმროს წინდაებსა და ქალამნის შესკრავ ბადებს (ბაწრებს), აგრეთვე თითო წიკილი წინდას ან ბადებს საქმროს სახლი-კაცებისთვის. დიდი ნიშანი ფულად რომ ჩავაჯდომთ, უკანასკნელი ეღირება 50—60 მან. სამწუხაროდ, ხარჯი ამით არ თავდება. დიდ ნიშნის შემდეგ, ქორწილბს წინა დღეებში, საქმროს მამეული ქალის მამას კიდევ უგზავნის ფარხის ნიშანს.

ფარხის ნიშანში იმის გარდა, რაც ჩამოთვლილია დიდ ნიშანში,

კიდევ იგზავნება: ჩარღათი, კელმანდილი, 7 ქუნაჟ (კისია), 5 ნაკურნი ფარჩა\*), ერთი წყვილი ბაშმაყი (მაღალ ქუსლიანი ქოშები), ვერცხლის ქაშარი, ჩაფრანტი, დილები, ილგა. უველა ამ ნივთებით დანიშნულს საცმელი და სამკაული უმზადდება. ამას გარდა იმავე ფარჩის ნიშანის ნაწილს ჩაჭბაჯანიც შეადგენს. ჩაჭბაჯანია: 25 ბაკანი (შინა) ხორბალი, 1 მსუქანი ხარი ან ფური, 25 ჩაფი დვინო. ჩაჭბაჯანით ქალის მამა თავის ქალს გათხოვებას დღეს მსუბუქ ქორწილს გადაუსდის.

აქედან ვხედავთ, რომ საინგილოში დიდს გავლენას იმის მარტო ვაჟის მამა; ქალის მამა, პირ-იქით, სრულიად უზრუნველ-უოფილია: იგი არა თუ ქალისთვის მზიიფისა და ქრთამის შესაძენად ჩალიშობს, არამედ ფოველივეს საქმროსაგან მოელის; თავის ქალის საქორწილო ხარჯსაც კი.

ზემოთ „ნიშნობის“ აღწერის დროს ჩვენ არ დავასახელებთ კიდევ მატულისა და ეაქას ძაფი, რომელიც დრო-გამოშვებით ეგზავნიის დანიშნულს თავისთვის ჯეჯიშებისა, საბნებისა, წინდებისა, ტოლადებისა, აბგებისა, ეოლანებისა (ცხენის გარ-საკრავი) და სხ. დასაქსოვად, ანუ დასწინავად ქალამნის ბაღებისა, მარაზისა (გრძელი და ფოჩებისანი თოკი, რომელსაც სახლში გაბამენ ხოლმე და ზედ ზოგი აბგებს ჭკიდებს, ზოგი რასა და ზოგი რას) და სხ. ქალს დანიშნის დღიდან უაველ წლივ ეგზავნება ხვედრი წილი: ეაქი, დომფალი, ხაიათი. ამ აბრეშუმულის ძაფიდან ქალი იქსოვს ვერდნებს (საბნებს) აბგებს, ქმრისთვის ჭქსოვს ტოლადებს, ჯეჯიშებს, მარაზს და სხ.

რაკი სიტუვამ მოიტანა, ურიგო არ იქნება ცოტა ხანს შევჩერდეთ და ავწეროთ ზოგიერთი დასახელებული საკანთაგანი, მაგალითად, დანიშნულისათვის წარგზავნილი ქაშარი, ჯეჯიშების სახეები, მათი ქსოვა, ნაზუქის ცხომა, ალვა და სხ. და სხ.

ქალის ქაშარი ფრად განიერთა, თითქმის ორი გოჯის სიგანისა. ქაშარს კარკად მოქნილ ტყავისას აკეთებენ. ტყავს ზემო ზირზე ორ რიგად ვერცხლის აბაზანებსა და ვერცხლისავე დუგშებს უკეთუ-

\*) ფარჩას ინგილოები სავრთოდ ჩითეულსა და ფარჩულს უწოდებენ.

ბენ. ხანდახან ვი ქამარზე აბაზიანების მაგიერ სუთმურიანებს ჩაარიტებენ სოღმე (უწინ ქართულს ფუელს ჭსმარობდნენ). ქამრის ოლოვებზე ხელის გულის სიგანე და სიშისხო ვერცხლისავე ეაშებს (შესაკრავებს) აკეთებენ. მდიდარი კაცი თავის რძლის ქამრის ეაშებს ოქროთი აფერი-ნებს. ასეთი ქამარი ადგილობრივ ფასობს 15 მან. მოვიდეთუელი ვა-დრე 60—80 მანეთამდე. ქალს ქამრის გარდა ეგზავნება კიდევ დი-ლეები, იღვა, უინჟირი (ძეწვევი), თუნგები, ჩაფრასტი, ეონ ბოფნუ-ში. ეველა ამ ვერცხლელულს აკეთებს ზარგარი (ოქრომჭედელი). ოქ-რომჭედლებად ლეკები არიან. თუ საჭირო ნივთები ბაზარში ვერ იშოვა საქმროს მამამ, მიიწვევს თავისას ზარგარს, გააკეთებინებს ეველაფერს და ქალს გაუგზავნის. ამ დროს, ვისაც შეძლება აქვს, ვა-საც გაუგეთებინებს აშურმას (ვერცხლის ქამარს). ჩაფრასტი, ქამარი, ჯინჯილი, აშურმა და მათებრ ფასიანი სამკაული გადის ხმარებიდამ, რადგან ხალხის შეძლებამ იკლო ბოლო ხანებში.

ნაზუქებისთვის მავარ ცომს მოჭხელენ. ოლომა ერობში ხახვს მოხრავავენ, მერე ცომს დაგუნდავენ, კერ-კერად დაბტუელებენ და ეოველ კეტს მოხრავულ ხახვიან ერობს ბლომად წაუსმენ. შემდეგ მკ-ვალ კეტებით შემდგარ გუნდას ასტამით დაბტუელებენ და იონეში ჩააკერენ. ნაზუქი (=ნასუქი) თონეში იბრაწება და შეენიერ სუნს უშეებს. საჭმელად ფრიად გემრიელია, ნოეიერი და კაცს გულს მა-ლე უსუეებს. შთათებს ისევე აცხობენ, როგორც ეველვან საქართე-ლოში. ამას გარდა აქ აცხობენ აგრეთვე თეთრსა და წითელ (კვერ-ცხის გულ წასმულ) ლავაშებს.

აღვა დაფქვილ ბრინჯისა იცინ. ბრინჯს ფეხის დინეში (სანა-ეაშა) დანაუვენ, მერე სუფთად გარეცხავენ, თიანში ჩაჭერინ, თაფლ-საც ჩასხმენ და მომუშვენ, მერე ერობსაც დასხმენ, ისე რომ მო-სუშული ბრინჯი გასქელდება, შემდეგ თიანს გადმიდებენ და აღვა მზად არის. დამზადებულ აღვას ლანგრებსა და სინებზე გადიდებენ, ზემოდგან დასტეკნიან, რომ სხე მიეცეს. ერთ სინს. ანუ ერთ ლან-გარ აღვას „ეაბი აღვა“ ჭქვიან.

ჭკვიმებსა და უაჭ-დომიფალ ძაფს უჭრახედ (ჭარახედ) და თი-თის-ტარხედ ართვენ (ასტვენ). ჯერ მატულს საჩეხელზე დასჩეჩენ, დაჩეჩილს მატულს ფაროებად დაწეობენ, მერე ამ ფაროებს ჭარახედ,

ანუ ტარზედ დართვენ, დართულ ძაფს ორსამართს წყვერად (ტოტად) ჯარაზედვე დაჭდახვენ, შერე დაჭხვეწენ, დაჭვიფვენ, შეჭლებვენ და ძაფი საქსოვად მომზადდება.

ძაფს თითონვე ღებვენ წითლად, მწვანედ, ყვითლად, შავად, ცისფერად და იისფერად.

წითლად ღებვა ძაფისა: ბლამა შეინდს მჭხარშავ და იმ წონის შახსაც დაატან შეინდს, რა წონისაც არის ძაფი. შერე ქვაბში ძაფს ჩაჭყრი და ბლამად ადუღებ. ძაფს ისევ ამოიღებ, მზეზედ დაჭთვენავ, გააშრობ, შემდეგ იმავე ქვაბში ბლამა ენდრთსაც დაუშატებ და წყალში გარეცხიდ ძაფს ისევ ქვაბში ჩააგდებ, ადუღებ შვიდ-რვა საათის განმავლობაშდე. შემდეგ ქვაბს გადმოიღებ, ძაფს ამოიღებ, გააშრობ და გარეცხავ, შერე ქვაბში ძროხის შარდს\*) ჩასხსამ და იმაში ძაფს დაჭტოტბავ (ჩაჭყრი და ადუღებ). ქვაბი რომ წამოადუღდება, ძაფს ამოიღებ, გარეცხავ, გააშრობ და მოიხმარ.

მწვანედ: მოიღებ „სამწონე ბლახს“ (ქართულად რა ჭჭვიან, არ უიცი. ამ ბლახის სახელი არც რ. ერისთავის საბოტნიკო ლექსიკონშია მოხსენებული და არც ქართულ სხვა ლექსიკონებში). სამწონეს ჩაჭყრი ქვაბში და ადუღებ. ჩაჭყრი აგრეთვე ძაფსაც. მთელი დღე უნდა იდუღოს. შორე დღეს ქვაბიდან ამოიღებ და ძროხის ადუღარს შარდში ამოაფლებ, შერე გაფოთლილ ანწლს გაჭმლი, შიგ ძაფს ჩააწვენ და ზემოდგანაც ბლამადვე ანწლს დააყრი. ასე უნდა მოიქცე სამის დღის განმავლობაში, ისე ვი, რომ ეოვეჯდღე ახალ-ახალი შარდი და ანწლი უნდა იყოს.

ყვითლად: თრიმლის დეროებს იმდენად გასთლია, რომ მარტო ყვითელი გული-და დარჩეს. ამ გულს წვრილად დასჭრი და დაახობ. რამდენსაც ბლამად დააშადაბ თრიმლის გულს, იმდენად კარგა შეიღებება ძაფი. დამზადებულ ჩხირებს კარგა მოჭხარშავ, შერე ძაფსა და ძაფის 1/3 წონა შახს ერთად თრიმლიან ქვაბში ჩაჭყრი, ცოტან ადუღებ, ისევ ძაფს ამოიღებ და ძროხის ადუღებულ შარდში დაჭტოტბავ. შემდეგ ძაფს ამოიღებ, ცივ წყალში გაჭრეცხავ და გააშრობ და ძაფი

\*) ამ შემთხვევისთვის ძროხის შარდი დილა ადრინან უნდა დაამზადონ, სხვა დროისა არ გამოდგება.

შეიღებება. ამნაირის ღებვისკან ძაფს სრული უვითელი ფერი არ ეძლევა, არამედ მოფითალო, ამიტომაც ინვილონი ამ ფერს უვითელს კი არ ეძახიან, არამედ კაპრაშს. სრული უვითელი ფერი ძაფს ეძლევა სვიისკან. ბლომა სვიას წყალში მოჭხარშავ, შაბსაც შეურევ, ძაფსაც ქვაბში ჩაჭერი და აღუღებ კარგა ხანს, მერე ძაფს ამოიღებ და ძრახის შარდში ერთ დღის განმავლობაში დაჭტიტბავ, შემდეგ დაჭრეცხავ და კარგი უვითელი ძაფი დადგება.

შეიღებება: თავშავს დაჭკლეჯავ ფესვიანად, ძირებს დაურეცხავ, მერე ქვაბში ბლომად აღუღებ ჟანგაროთანად, გაშავდებ სრულიად, შემდეგ ძაფებსაც იმავე ქვაბში ჩაჭერი და ბლომად აღუღებ, მერე წვეს ჟანგაროთანად ცალკე მენაში. ჩასხამ, შიგ ძაფსაც ჩაწვენი და ზე დაჭხურავ. ძაფს მთვარემ არ უნდა დაჭკრას ფერი წაუფარო. ორ კვირაზე ძაფი მენაში სრულიად გაშავდება. ამ ორის კვირის განმავლობაში ისე უნდა მოიქცე, რომ დღე-ღამეებით ძაფი მენაში ამოიღო, გასწურო, მზეზე გაშრო და ისევ მენაში ჩაწვინო. ასე იმიტომ შერებთან, რომ ძაფი არ დაღებეს; ორის კვირის შემდეგ იმავე მენაში მეოთხე წვეს აღუღებ, ძაფებსაც შიგ ცოტა ხანს ჩაჭერი, შემდეგ ამოიღებ, გაჭრეცხავ ცივ წყალში, კარგა გასწურავ და მზეზე გაშრობ. ამით დასრულდება ძაფის შავად შეღებვა.

იისფერად (ისფერად) შეიღებება: კაღის კაწახს ანუ კარწახს (წინკოს) ბლომად მოჭხარშავ და ძაფსაც შიგ ჩაჭერი. კარგა ხანს აღუღებ, მერე ქვაბს ძაფიანად ვადმოიღებ და ბლომად სუფთა ნაცარს შიგ ჩაჭერი და ჯობით დაუწებ რევას. ნაცარი იმდენი უნდა ჩაჭერო, რომ სულ მთლად ფაფად იქცეს. ბევრის რევის შემდეგ ძაფს შიგ ქვაბშივე მეორე დღემდის დასტოვებ, მეორე დღეს ძაფს ამოიღებ, ცივ წყალში გაჭრეცხავ, გაშრობ და ძაფი მზათავ.

ამნაირად, მომეტებულად მატყლის ძაფს (ბაწარს ჩვენებურად) ჭლებავენ და ფაჭ-დომფაღის ძაფსა და ხაიათის კი უფრო მეტად ბაწარში აღებინებენ.

სიტყვით, ძაფს სულ ექვს ფერად ღებვენ. შეღებულს მატყანკაღის სეღით დანიშნულს უკზავნიან და სახლში თითონაც ინარჩუნებენ შინაურ საჭირკობისათვის, შესაკერ-დასაკერად. მიტანილის ძაფით დანიშნული, როგორცა ვთქვით, ჯეჯიშებსა და საინებს იქნავს. სულ

უნდა მოქსოვოს 8—12 ჟეჯიმი, ყაჭის ორი ან სამი სახანი, 6—8 აბჯა, ერთი ან ორი მარაზი, რამდენიმე წყვილი ტოლადი, წინდა, ყოლანი, ჟეჯიმების სპირე (ყოფიმი-ზირ), ქალამნის ბადები და სხ.

ჟეჯიმებსა და საბნებს ჭრელ-ჭრელებს ჰქსოვენ. სიჭრელისა და ფერადის მიხედვით ჟეჯიმი არის: თორჭამიანი (ბადე-ბადე, ანუ უჯრა-უჯრა), ექვს ჭრელიანი, უირხ-უინჟირი (ორმოც ძეწკოვანი), ზარა-ბაბ-ჭამიანი, ალღუი, ბეშ-ყარდაში (ხეთ-ძმოვანი), ბუდა-ბოღნუზი, გქგ-ჭამიანი (ცის-ფერი), კიდბანა-ჭრელი, თექ-უინჟირი (ერთ-ძეწკოვანი), ალაყურთი, სავადაჲ, კიჭკიჭაჲ, წონე-თახტაჲ და თეთრ-თახტაჲ, სულ 14 საირი.

ჰქსოვენ კმლთსა. ძაფს ჯერ გააბმენ ჰალაქებსუ და ქუყოში გააძვრენენ, გასჭიმენ მაგრა და საქსოვის მხრით ქუყოს სამფესა ტატიკელაზე საბლით ჩამაბმენ. ქუყოს უკანიდგან ფრანგელა აქვს გატარებული; წინიდგან კი კმალი მუშაობს. იქვე ზედ გაბმულ ხანაზე (საქსოვზე) ზის მქსოველი და ჰქსოვს. მქსოველს იქვე უდევს ჩხირი ან თითის-ტარი, რომლის მოსმიათაც აწეწილი ძაფი ისევ იაფის ადგილას ჩადგება ხოლმე; აგრეთვე იქვეა ერთი გორგალი „ძიკ-სა-ვალაჲ“ ძაფი. მქსოველი რომ ჩაჭბუჭავს, მერე კმალს გაატარებს, უირაზე დააყენებს, რის გამო გაბმულ ხანას ზემო კეცი ძაფი მადლა წავა, ამ დროს „სავადა“ გორგალს გაატარებს, მაგრა გასწევს და ძაფი რომ გასწორდება, მერე კმალს გადააწევს და მაგრა ჩაჭკრავს. შემდეგ მეორედ და შესაძედაც. ასე მუშაობს მქსოველი და ერთის დღის განმავლობაში ჟეჯიმს ერთ ან ერთ-სახეეარ კმლის სიგრძისას ჰქსოვს (კმალი ერთის ადღის სიგრძისას არის), ვერღანსა და შაღს ორის კმლის სიგრძისას. ჟეჯიმსა, ვერღანსა და შაღს სიგანე ორ მტკა-ველზე მომეტებული არა აქვს, უფრო კი ნაკლებია. ყოველ ვერღინსა და ჟეჯიმის სიგრძე კაცზე გრძელი არ არის ხოლმე, ამიტომაც ხანას (საქსოვს) რვა „განის“ სიგრძისას აბმენ. ოთხის „განის“ ერთმანეთზე გადაყურებით ერთი ჟეჯიმი ანუ ერთი ვერღანი დგება. მაჩასადაჲ, 12 ჟეჯიმისათვის საქსოვი ხანა უნდა გააბან ექვსჯერ და ერთხელაც ვერღინისათვის. ჟეჯიმები რომ დაიქსოვება, ახლა მათი ნაბაღზე გადავკრა საჭირო. ნაბაღებს ფედაქრებს აკებინებენ. 12 ჟეჯიმისთვის საჭიროა 12 ნაბაღი და ამდენივე ცალკე დაქსოვილი „უი-

ჟიბი-ზირები“. ჯეჯიმებს საბღებზე რომ გადაავრენ, ახლა უიჟიმი-  
ზირებს ჯეჯიმისავე ნაზირებზე მიაკერებენ. შერე უოველს ჯეჯიმს ოთ-  
ხად გადაჭკეცვენ და ჭუქად (წუობად) ღამაზად დააწყობენ. ვერდანებ-  
საც სქელ ნაბღებს (ჩიგლამას) დაუდებენ, ჩიგლამას კიდეკვ ქვემოღვან  
მთლად ჩითის ზირებს მიაკერებენ.

### 3. ქ ო რ წ ი ლ ი :

ქორწილი და მისთვის მზადება. ქორწილში მოპატილება. მემზანა-  
გობა. შემემაზლები. საკლავები. ნეფის გამოყვანა. გატანებულები.  
გამოტანებულები. ფართლის მოტანა. მეკურტენე და მისი სარგო.  
პატარძლის მოყვანა და დახვედრა. თხილის თავზე გადაყრა. პატარ-  
ძლის სახლში შეყვანა და სამ-გზის კერიის გარშემო შემოტარება.  
დიდი ქორწილის დღე. „შახი“. ფეხზე-დგომელი. შაბაშის დღე.

ამგვარად, დანიშნულს ქალს მზითევი ორის-სამის წლის განმავ-  
ლობაში უმზადდება. მზითევი რომ დამზადდება, ვაჟის მამა მაცხან-  
კლის ზირით ხახალს (მძახალს) ეკითხება, წლეულს ქალს მადლევე,  
თუ არაო. მძახალიც ან ჭოს შემოუთვლის, ან არას. ხშირად ქალის  
მამა კიდეც ინახება, ქალს ადვილად არა სთმობს. იგი უურადღებსაც.  
არ აქტევს საქმროს მამის ხარჯ-ხაჯალათს. მკვახე უფარზედა დგება.  
რატომაც არა! საქმროდამ აშდენი საჭმელ-სასმელი მოსდის და უო-  
ველი მზითევი ქალისა, მოიძედა, რომ ბღობა ქრთამსაც აიღებს,  
ქალის საქორწინო ხარჯსაც გამოართმევს და ამას კარდა ერთის წლის  
განმავლობაში ქალს კიდეც თავის სახლში ამუშავებს თავის სასარგებ-  
ლოდ. ჩვენში ხომ კაციცა და ქალიც ძვირფას მუშად ითვლებიან.  
და მამა რომ უარზე დგება, უფრო ამ მუშა ხელის დათმობა ენახება.  
ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ გვარ უდმერთო დედ-მამას, ხშირად ქა-  
ლები სასტიკად სჯიან: ჩუმად გაიზარებიან საქმროსს და ჯვარს გა-  
დაიწერენ ხოლმე.

ასეა თუ ისე, ამასობაში ქორწინების დროც მოდის, დრო საე-  
სებისა და ღხინისა, ე. ი. შემოდგომა. როგველის შემდეგ აქ ქორ-  
წილები იმართება. ქორწილისთვის წინა დღითვე საქმროს ოჯახი დიდ  
ფაცა-ფუფს შეუდგება. ქორწილის ერთის, კვირის წინად სახლის მზა-



ტრინი შიფივეგს ორ-სამს ნათესავ დედაკაცების ჰურის სცხობად. ისინი შეუდგებიან თეთრის ღვაჭის ცხობას. ქორწილის დღემდის დღე-ში 5—6 ცომს აცხობენ: თითონ ოჯახის პატრონიც სხვა თავდარიც შეუდგება: ორსა-ან სამ საქონელს იფიდის ქორწილის ხაღხის სამსპინძლოდ, ექვსიოდუ ბათმან ეველს (ბათმანში 33 გირვანქა), დამზადებს  $\frac{1}{2}$  თადარ (15 ჩაფ) არაყს, ათიოდუ თადარ ღვინოს, ორმო ვაძლას (აქ ვაძლას ორმოში ინახვენ, ორმო ვაძლი ორ-სამ ფუტს იწონს), უურძენსა, თაფლსა და ერბოც უნდა ჰქონდეს შენახული.

ეველსაფერს რომ დამზადებს საქმროს მამა, წინ-დღითვე სოფელში სანდო კაცებს (ორს) გაჭვზავების ნაცნობთა და ნათესავთა ქორწილში დასამხებლად (მოსაწვევად). „დამზახნელები“ კარდაკარ დადიან, ეველს ეზოში შეველენ, ჰირდაჰირ სსხლისაკენ გაეშურებიან, ხმა-ამოუღებოდ სხლში შეველენ, ცუცხლა ჰირზე (კერას ჰირში) ნაბაღზე ჩამოსხდებიან და სხლის პატრონს მიჰმართავენ ამ-სიტყვებით:

„მავანმა (სხელი) გამოკვებავსა, ხუად ქორწილ აქოუ, უერ შენ გეხახით, სხლი პატრონო, შემდან შენ ზაღა (თუ სხლის-პატრონის ცოლი ძალუათ არ მოუხდება, მის სხელს იტყვიან-ხოლმე), აქენ ქუდფათს, ერ მინამ (არაფინ) შინ არ დარჩეს; მადამთ, თუ ეონად (სტუმარი) უვაუ, ისიც მაჟეონით“.

სხლის პატრონი „დამზახნელებს“ ჰასუხად ეტყვის:

„ჰუმარაჰ (ბედნიერი იქნეს, გეზი ადინ (თვალ-ბუდიან) იქნეს, თალაიან (იღბლიანი) იქნეს, დმერთმა კელ-მოგვიმართასუ“.

ამის შემდეგ დამზახნელები ახლა სხვისას გაემართებიან და იმავე სიტყვებით მიიწვევენ ეველს. ბოლო სხლში მისაწვევად რომ მივლენ, იქვე დარჩებიან ვახშად:

ქორწილის წინა დღეს, საღამოს, საქმროს სხლში ნათესავე ბისთვის იმართება „მემზახნაკეს-საღამო“ ანუ „მემზახნაკობა“. იერუბიან ნათესავნი და საუგარელი მეგობრები და საქმროს ტოლ-ამხანაგები, შუადამუდის ღვინობენ, ქეიფობენ და მერე თავიანთ სხლებში მიდიან. მემზახნაკობის მეორე დღიდან იწყება სამდგოლი ქორწილი. ამ 15—20-ის წლის წინად ქორწილი 4—5 დღე იტოვდნენ: დღეს კი ორიოდ-სამიოდ დღესაც ქორწილი აქ მხოლოდ აქა-იქ იმართ-

თება და უფრო ხშირად კი ერთ-ორ დღეს ღზინობენ და ამით ათავებენ ქორწილს. ჩვენ ისევე იმ ძველის დროის ქორწილს ავწერთ. ნამდვილს ქორწილს სამი სახელი ჰქვია: ჰატრა ქორწილ, დიდ ქორწილ და ფეგუზე-დგომელი ქორწილ. ჰატრა ქორწილი იციან პირველს დღეს, დიდი ქორწილი—მეორესა და მესამე დღეს, ხოლო ფეგუზე მდგომელია ქორწილი—მეოთხე დღეს.

ჰატრა ქორწილის დღეს დიდიდგანზე საქმრო ცალკე ჩაიკეტება თავის „შემკმაზავებით“ (მომრთველებით) და საცოლო აგრეთვე ცალკე დაბინავდება მამის რომელსავე სახლში, ან ოთახში. ვაჟის შემკმაზავად ერთს ან ორს კაცს ირჩევენ ტოლ-ამხანაგ-სათესავთაგან, ქალის შესაკმაზად კი ამ გვარადვე ქალებს ირჩევენ. ქალისა და ვაჟის შემკმაზავლებს ორ-ორ აბაჯს აძლევენ.

ნეფე-ჰატრასღს დილა-ადრინ წაიყვანენ ეკლესიაში და ჯვარს გადასწერენ. მაჰმადიანი ინგილოები კი რძალს სახლში მოიფუნენ და ნიქას გაუჭრიან. ჯვარ-დაწერილები თავ-თავიანთს სახლებშივე ბრუნდებიან: ნეფე მამის სახლში და დედოფალიც თავის მამისავე სახლში. წაფუნ სახლში და ისევე ცალკე ჩაიკეტებიან. ჰატრა ქორწილის საღამოსვე ერთ სახორცე საკლავს დაჰკლავენ და დილითვე სასწმლის მზადებას შეუდგებიან; ამზადებენ ხორცის წვეს საარაუე ქვებში, ცივად მოხარშულ ხორცს, კილანებში (თიხის ჰაწია ჯამია) უველს და სხ. ვინც მოვა სტუმარი, იმას არაუს დააღეფინებენ და ვაშლს, ან ყურძენს მიართმევენ. შემდეგ საღარა-სურნით ნეფეს ქობიდან გაშისაყვანად წაფუნ. კარი გაიღება და ნეფე, სულ მთლად ნაბადში გახეული, მორცხვობით და ნელ-სელა გამოვა. ნეფე ნაბადში ისეა გახეული, რომ თვლების მეტი აღარა უჩანს რა. რაწამს ნეფე კარეთ გამობრძანდება, მისი დედ-მამა მოვალეა შეიღას წინ იშუფროს (იცუკოს), გადაჰკოცნოს და კისერზედ კელ-მანდილი მოახვიოს. აქედან ნაღარა-სურნის გვრით ნეფეს დიდ სახლში მიიყვანენ, სუფრას გაშლიან, უველანი ჩამოსხდებიან და ღზინი განადდება. სტუმრებს მთარათმევენ ბლამა ხორცს, წვეს, ღვავს, ღვინოს კლავდებით და ორსამ კაცს ერთად თითო ნაჭერს სამწვადეს, რომელიც „ხორავის ამხანაგობაში“ თითონვე უნდა შეიწვას და შექქეს. მწვადის შესწვავად ხის შემფურება და მზადებული და კარეთ ცეცხლი ანთია. სახლ-

ში იმართებს დიდი ღაზარაკი, დიდი „მაშეულათი“, სიმღერა, უყანი, ღვინის სმა, თამაშობა და სხ. სახლის ჰატრონი იქვე ზის, ან სტუმრებს დასტრიალებს და ეველას აქეზებს, ეველას სთხოვს: „ზმებო, ღუნქე დაღვით, ნუ გშურსე, გაიხართ“. ამასობაში გარეთ „ჭენ-გებისთვის“ (მურჩინი ქალები) ცხენებს ამზადებენ ნეთეს ნათესავები. მურჩინში მონაწილეობას იღებს ოციოდე ქალი და შვიდი კაცი „გატანებულნი“. გატანებულებში ერთი მაჭანკალია და ერთი კაციც ვინმე წარჩინებულთაგანი. გატანებულებს მიაქვთ: ორი მონარული ქათამი, ერთი ჩაფი ღვინო, ორი სატუნქე (ბარკლის ხორციანი ძვლები), ერთი „კლაფი“ (მხარი), უხაჯი (ცხვრის ღორი). ამას გარდა მურჩინში მონაწილე დედაკაცებს სხვა კაცებიც მიჰყვებიან, (ყილაკდრები) ცხენების ჩამოსართმევად. მურჩინში ცხენოსანნი მხოლოდ ქალებია, კაცები კი ქვეითად მიდიან. მურჩინს მიუძღვება ნაღარა-ზურნა. მამაკაცი თოფი-იარაღით არიან. აი მურჩინმაც მათკანა და დედუფლის ეზოს კარებს მთადგა. კარები დაკეტილია და იქვე მთად ხეზე (ალატზე) მაშხალა გაკეთებული. გრძელი ალტი მიწაში დაურტვიათ და მის წვეკრზე ვაშლი გაუკეთებიათ. მურჩინს კარები გაუღება მხოლოდ მაშინ, როდესაც თოფით ვაშლს ჩამოაგდებენ. კარებს რომ გაუღებენ, ეველანი შეუღენ ეზოში, მიულოცვენ ქორწილს დედუფლის მამას, რომელიც ეველას მიიწვევს სუფრაზე და გამოტანებულებს „კაცის მარაქში“ დასხმს და ქალებს „ქალების მარაქში“ (სუფრაზე); მცირეოდე ხანს სჭამენ-სმენ, მერე აიძლებიან, ჰატარად ცხენზე შესმენ და წამოვლენ ნაღარა-ზურნის კვრით. ჰატარადის გამოსტუმრებამდე ნეთეონისას, ნეთეონის ურმიავე, მიაქვთ ქალის ფართალი (ჭეჭიშები, ვერდნები, კიდობანი და სხ.). ურქის მიჰყვება „მეკურტნი“, ქალის ნათესავი ერმა. იმისი მოვალეობა ის არის, რომ ნეთეონისას მატარადის ჰატარადის ფართალს, ქორწილის გათავებამდე, ხელი არავინ ახლოს. ამიტომაც იგი, სცა ფართალს დალაგებენ, იქ ახლოს უნდა იჯდეს და ყური უგდოს. გარჯისაყვის იმას ერთი აბაზი უნდა მისცენ ნეთეონის სახლიდამ. ჰატარადის მოსაყვანად ნეთეონის სახლიდგან იგზავნება კარგი ულაფი ცხენი, რომელსაც დედუფალმა უფრო მარაზი უნდა შეაბას. თითონ ჰატარადი შემოსილია ისე, რომ სრულიად ზირი არ უჩანს. იმას

აცვია ფარჩეულის ტანისამოსი, ახალთაზედ აკერია გერცხლის მოსართავები, არტყია ქამარი ილგაგი (ფართო და კანიერი ძეწკვი) გულზედ ჭკიდა და სხ. თავზედ ჭხურავს აბრეშუმის შავი კელმანდილი, გვე-გვეცად დაკვეცილი და შუბლისკენ ცხვირივით გრძლად გადმოშვერილი. ამგვარად მორთულ ზატარძლს სემოდგან ჩამოხურული აქვს აბრეშუმის დიდი ქალადა. მამა ან ბიძა მორთულ ზატარძლს შესვას ცხენზე და გამოისტუმრებს. ზატარძლის ცხენი მოჭყავს ჯილავდარს. ზატარძლს იმისივე ოჯახიდან მოჭყეკება მღადე (დად) და შვიდი გამოტანებული იმ გვარისავე სანოვაგით, რა გვართაც ნეფიონის კატანებულეები წავიდნენ; ზატარძლს მოიყვანენ ეოს კარებზე. აქც მამხალაა, ხოლო ვაშლი კი არა, არამედ ცეცხლი, რომელიც მღადე ზალოს წვერზე ანთა. გამოტანებულები ცეცხლს თოფს მიატუმრენ, კარები გაიღება და ეველანი შევლენ ეოსში და ცხენებიდამ ჩამოხტებიან. ზატარძლს კი ჯილავდარი საოჯახო სახლის კარებზე მიიყვანს. აქ სახლის სახურავზე კიბე აუღია, რომელზედაც ნეფა ასული. ზატარძლს რომ კიბის ძირში ჯილავდარი მიიყვანს, შეფე ერთ ჯამ თხილს თავზე გადმოაყრის. რას ნიშნავს თხილის გადმოყრა ზატარძლზე, არავინ იცის. შემდეგ მამამთილი მივა ცხენთან და ზატარძლს გადმოსვამს. ზატარძლს მხარში ამოუდგებიან მღადე ერთი მხრით და ნათესავი ქალი მეორეს მხრით და შინ შეიყვანენ. კარებზე დაუხვდებიან დედამთილი, აეწვეს ქალადას და ზირზე თავლს წასცხებს. მარჯვენა ხელშია ცომს ჩაუდებს და კარის თავზე მიაკვრევენებს. მერე წაიყვანს და ფეკილის კასრებში ხელს ჩაყოფინებს. ზირზედ თავლის წაცხება ქალის სიტკბილეს, სიტკბობით დროს კატარებას ჭნიშნავს, კასრებში ხელის ჩაყოფინება—ახალ-მოსულ ზატარძლის ხელის ბარაქას მოასწავებს. ფეკილის კასრში რომ ზატარძლი ხელს ჩაჭყოფს, შიგ ჩაუდებს „კაკოს“ (კვერს), რომელიც მამის სახლიდან გამოტანეს. შემდეგ ზატარძლს მიიყვანენ და კორთეში (სახლის ჩრდილოეთი კუთხე) დასმენ და მუხლებზე მტირე წლოვან ვაჟს ჩაუსმენ—ვაჟიშვილები მოგვეცით. რძლი ამ ემაწვილს ერთ წვეილ წინდას აჩუქებს. რძლის დასასვენებელი კორთე ჩარჩავით (ფარდით) გადობილია. რძლთან ახალგაზდა ქალები და მღადე სხდებიან. ფარდას ქვეშით, კერას მარცხნივ, დედაცხების მარჯაა გამწკრივებული, კერის

მარჯვნივ კი კაცებისა. ნეფე კაცების მარჯაში ზის. იმასთან ერთად მარჯვნივ და მარცხნივ იმისი შემკამახელები სხედან, ლხინი, ათამაში და სიმღერა კარგა შეაღამედის არა სწყუდება. შემდეგ კი მეზობლად მოსახლე ხალხი თავიანთ სახლებში მიდიან დასძინებლად, შორეულები კი იქვე რჩებიან. ჰატარძალი ჰირველ დამეს ქმართან არ იძინებს. ამ დამეს იგი სახლის სტუმარია და ცალკე უნდა მოისვენოს ქალებთან. ხოლო მეორე და მესამე დღე დიდი ქორწილის დღეებია.

ნამდვილი ქორწილი ამ დღეებში იმართება. დიდიდანვე ეზოში გრძელ სუფრას გაძლიან, სუფრის მიყოლებაზედ ორივე მხრივ ნეტებს დააღაგებენ. მამაკაცებისა და დედაკაცების მარჯისთვიის სუფრა ცალ-ცალკე იძლება. სუფრას რომ დამზადებენ, ჰატარძალს თამაშობითა და ნაღარა-ზურნით გამოიყვანენ და დედაკაცების მარჯაში ბალიშებზე დასმენ. შემდეგ ნეფესაც მამაკაცების მარჯაში დასმენ და უველა ხალხი დალაგდება. ნეფის წინ სამს ჩხირზედ სამეფხად, „შახს“ აკეთებენ. „შახის“ ჩხირებზე წითელი ვაძლებია ჩამორიკებულაი. „შახი“ სინზედ არის დაურდნობილი. იმავე სინზედ აწევიან: შაქრის ნატრებში, კვერცხში, შოთები, ლავაშები, სორცი, ქათამი და სხ. ნეფე ზის სუფრის შუა ადგილს. მენაღარე და მეზურნე სუფრის ბოლოში სხედან. წარჩინებული და ხანში შესული ხალხი სუფრის თავს მოქცევიან, ხოლო ახალგაზღობა და „ღარიბ-ღურბათნი“ კი სუფრის ბოლოს. ამგვარადვე სხდებიან დედაკაცები. მათი მარჯა კაცების მარჯაზე მოშორებით არის და იქ არც მენაღარე-მეზურნეა. ხალხს რომ დალაგდება, მართმევენ შაჭმულს. „ვარცლზე დგომელ“ ხალხს ჰურს „ჩამოურის“ (მიართმევს), „ქობებზე დგომელ“ კორცს, მწვანს, უველს, „ქვერზე დგომელ“ ჩაუბითა და კატოშებით ღვინოს. ქვერზე, ქობზე, ვარცლზე დგომელებს ბევრი თანამეშენი ჰყავთ. იგინი სტუმრებთან დგანან, ზოგი ხალხს ღვინოს ასმევს, ზოგი ჰურს ასღევს, ზოგი ურს უტდება, ვის რა აკვია, ან ვინ რას მოითხოვს, რომ მიუტანოს. სტუმრები შეეჭტევიან ნელ-ნელა. დრო-გამოშვებით ნაღარა-ზურნას აკვრევიან და ხალხს ნეფის წინ ათამაშებენ. დრო-გამოშვებითვე ვაჟის ნათესავი ქალები მოდიან და ნეფის წინ შუთრობენ. ნეფე ამ დროს ფეხზე ადგება. ქადა შუთრობას რომ მორჩება, მივა ნეფესთან და კისერზე ორ-სამ შურთან ხელსახოცს შემოაკრავს,

აკოცებს შუბლში და ისევ ქალების მარჯაში წავა. ამნაირად ნიუეკს მრავალი ხელსახოცი უგრძობდება. სტუმრების გასართობად კარგ მომღერლებს მოიწვევენ ხოლმე და ერთს ვისმე ხუმარად (ოინხიდ) ამოიჩნიებენ. ხუმარას საქმე, როგორც იმის სასიკეთოდ დასმევი სხანს, სტუმრების კართობა და გამხიარულება არის. ამიტომაც ხუმარა გიგოეებს სხვა და სხვა ცხოველების სახეს, დათვისას, ტურასას და სს., და დაჯდება სუფრის ბოლოზე. დაიწვიებს ოსუნჯობას, დმეჭვა-გრეხვას, თამაშობს და ასე ერთობს ხალხს, ხშირად კი იტყვის რასმე მახვილავ სიტყვას და მიიტყვეს მთელის ხალხის ყურადღებას. თუ ვინმემ გამოჯავრება დაუწყო, ადგება და „დაჭსრქმავს“ (წაქცევს და ბლუჯავს). ამ სეირის მყოფრებელი ხალხი იტინის, იტინის, კვდება სიცილითა. ხუმარას გამოტანებულად ჭმეველის. ვინმე ნიუეკს ნათესავთაგანს რაზედმე შარს აუტეხავს და დაჯარიმებს ერთის ჩათვის ღვინითა, ცხვრის ღორითა და სს. დაჯარიმებულმა განხვავ თუ დაიწყო, გამოტანებული უბრძანებს ბიჭებს, რომ იგი „დათან“ (ხელფეხი შეუკრან და ხეზედ მიბანს). ხეზედ მიბმულს ფეხებში ჯობით ცემას დაუწვიებენ, სტემენ, რასაკვირველია, ხუმრობით, იმ დრომდე, მინამ დაჯარიმებული თვითონვე არ შეეხვეწება, „ოდონდ გამიშვით და ყველაფერს მოგიტანთ“. აუშვებენ და მართლაც მოაქვს ღვინო, ქათამი ჭ სს. ამნაირად ნიუეკს სტუმრებს ნათესავებთან დიდძალი ხორაკი მისდით. ქორწილშივე ახალგაზდა თოფოსანნი მიზანში სროლას იწყებენ, თამაშობენ, მღერაინ და ღვინობენ. ქორწილში მოწვიება დიდი სირცხვილია, ვინც მოვა უეჭველად უნდა იმხიარულოს.

მესამე დღე შაბათს დღეა. ნიუეკს ოჯახი ერთ სანდო კაცს ამოიჩნიებს ხოლმე. მეშაბათე ადგებს ერთ ვაშლს, შიგ დაურკობს აბაზიანს, შვევა კაცების მარჯაში და დაიძნობს:

- აჲ ჯამათო, ყურ დამიცდით, ახალ ხაბარ მოსულ!
- ხეჲრ იქნეს! — ერთხმად დაიძნობენ სტუმრები.
- ხეჲრი, მადლობაჲ დმერთს! მავანმა (სახელი რქვი) ერთი მანათი ბეგისტვის (ვითომ ნიუეკსთვისაო) ხალათის საფასურად გამოგზავნა!
- ააშინოს, ააშინოს, ჭურაჲ, ჭურაჲ! — გრიალებს ხალხი და ხალარა-ზურნაც უკრავს. ამგვარ სიტყვებით მეშაბათეს ეგებებიან ყოველ შაბათის შემდეგ. შაბათს სწირავს ყველა, ვინც კი ქორწილში

დაესწრება. შაბაშად იწირება ზოგის ოჯახისაგან მანათი, ზოგისაგან  $\frac{1}{2}$  მან., ორი აბაზი და სხ., ასე რომ ზოგიერთ ბედნიერ ნეფეს რამდენიმე თუმანი უგროვდება.

მეოთხე დღის ქორწილი ფეხზე მდგომების ქორწილია, ამიტომაც „იფეზე დგომელი ქორწილი“-ი ჰქვია. ამ დღეს, ფეხზე-მდგომელებს გარდა, სათესვებიც მოვლენ და სადამოშდის იღბენენ. მერე სახლი-პატრონს გამოემშვიდობებიან და წავ-წამოვლენ თავ-თავიანთსა.

#### ‡. ქორწილის ბოლო.

ნეფე-დედოფლის პირველი შეხვედრა მდადეს დასწრებით. ფეხის-ბანა. მუშაობის დაწყება პატარძლისაგან. ქალის ჩაცმა-დახურვა. პელმანდილი. საქორწილო ხარჯების ჯამი. დავლიანება. უდიერი სარვებელი და ვაჭრების ალაგმვა. „სიზის დაზახება“. ტკბილეულის მოტანა. დასიება და მისი „წამალი“.

სხევით თავის დროზე ვერ აღვნიშნეთ ქორწილის შესახები ზოგიერთი წვრილმანი გარემოება, რომელიც ასურათებს ხალხის ეთო-ცხორებას. ქორწილის მეორე დამეს, სტურები რომ სახლში კურას გარშემო დალაგებიან და ქვამ-სმას და სიმღერა-ლაპარაკს გაა-ხადებენ, ნეფეს გააზარებენ სახლიდან და „აურზე“ (სახლის სხვენ-ზე) აიყვანენ. იქ იმისთვის გაშლილია ღოგინი. შემკმაზელები ღოგინში ჩაწვევენ და ჩამოვლენ. მცირე ხნის შემდეგ დედუფალსაც გააზარებენ და იქვე აურზე აიყვანენ ქმართან. დედუფლის გაზარება რომ სტურებმა ვერ შენიშნონ ოჯახის მამა (ან უფროსი) ფეხზე წამოდგება, სხვებიც აიძვებიან და შუფრობას სთხოვენ, იგიც ნება-უნებელიდ იწეებს შუფრობას. ეველანი ტაშს უკვრენ. ამ არეულობაში პატარძალი ადვილად და შეუმჩნეველად გაჭყავთ. პატარძალს ღოგინამდე მდადე მიუძღვის. მდადე მიიყვანს და პატარძალს ქმარს „ჩაბარებს“.

— „უანი“, ეუბნება იგი ნეფეს, „ე ქალ ეხლა შენი, ექმდინ ჩონ გოგიზდი, მოგუქლუ, ხათირ (ხათრი) არ დოგიკლი, ეხლა კი შენ იც, როგორც შეიძახხავ“.

ნეფეც, რასაკვირველია, ჰპირდება, რომ კარგა შეინახავს. შემ-

დეგ მდადეც სარდასიდაჲ ჩამოვა. ამ წუთამდე ნეფე-დედოფაღის არა-სოდეს ერთმანეთი არ უნახავთ. არც ერთმა არ იცის არაფერი შესახებ თავისის მიუღლისა: ან როგორი ხასიათისაა, ან როგორი ზირისასე აქვს, როგორი ტანისაა, ან გამრჯეა და გამკონი, თუ კერძი, ზარმაცი, ანწილი და სხ. აქ ზირველად გაიცნობენ ერთმანეთს და ისიც არა დიდხანს: დილა-ადრინად ორივე ჩამოჭყავთ და ისევე სანეოთ-სადეოფლოდ ჰრთვენ და მარაქაში სხმენ.

მესამე დღეს, სლამო ჟამის შექცევის წინადა, „ივეის ბანა“ იძარბება. ხალხი რომ ჩამოსხდება კერის გარშემო, ახალგაზდა ქალები გადმოვლენ მარაქაში და უფროსიდან მოკიდებული უმცროსამდე „ივეის გაჭნადან“; ესე იგი ვეულა გაცნა შემთხზინან და გააძრობენ ეგზიდაჲ ტოლადებს, ქალამნებსა და წინდებს. ამავე დროს გადმოი-ევანენ ზატარაძლს და იგი ვეულას ეუხს დაჭბანს. ეუხს ზატარაძლი ლაგანში ჰბანს თბილის წყლით, რომელიც წუმწუთით (სნილენის მადალ-ეუელიანი და ლუღუკიანი ჭურჭელია) ზატარაძლის მთხლე ქალს მოუტანია და სჭირთებისამებრ ზატარაძლს უსხამს წყალს, დაბანილს ეუხებს სუფთა ტილოთი ზატარაძლივე ამშრალებს. ეუხის ბანისთვის ეველანი ზატარაძლს აჩუქებენ: ზოგი აბაზს, ზოგი 30, 40 და 50 კანაკს. სლამ-სლამობით ეუხის ბანა გრძელდება ქორწილის გათავ-გუებამდე და შემდეგაც ორი-სამის წლის განმავლობამდე. ზირველ ხან-ში, თუ გაყრდილი ბიძა ახლო მოსასლეთბს, იქაც უნდა წავიდეს ზატარაძლი და ეუხი დაჭბანოს, ეველას თუ არა, უფროსებს მანც.

რამდენისამე დღის შემდეგ, დღისით, ზატარაძლი ისევ „ჩარ-ჩავს უკან“ (გაფარდულში) ზის და საქმეს არ აკეთებს. შემდეგ კი ზატარაძლურადვე კელმანდილით მორთული და ზირ-ავარებული მუშაობას შეუდგება. ზირზედ, ცხვირს ქვემოდა, აფარია თეთარი ქუნა (კისია), თავზედ კელმანდილი ისე აქვს გაკეთებული, რომ შუბლის სი-სწორივ მალაა ამართულია კელმანდილისავე ცხვირი. ეს მორთულობა ზოგეერთს ძლიერ უხდება, მაგრამ ქართულ ბუნებრივ ჩაცმა-დახურ-ვას ვერ უდრის. უფრო ის აუშნობს აჭურ ქალის ჩაცმა-დახურვას, რომ აქ ქალებს ჩითისა და ფარჩის ფრიად განიერი ორ-ტოტიანი ნიფ-ხეები აცვიათ. ზერანგი მუნლამდე ძლივს სწვდებათ. ზერანგის ზე-მოღვან იცმენ მოკლე ახალთხს, ან ჩაფკან-ლაბადს. ჩაფკანი და ლა-



ბადა სხალთსუ ბეკრით მოკლეა და მოკლე სასელოებიცა აქვს. ზუ-  
რანგის გულის-ზირზედ მძივის ,,ახსა“ აკერია, სხალთისა და ლაბა-  
დას სასელოების ქვეით მხრივ აკერია ვერცხლის ,,სარმა-ღუგმა“ და  
აბაზიანები ან ორ-შურანიებო. წინიდგან ჩაფვანი და ლაბადა ვერცხლის  
ჩაფრასტით ივერის. წინ, გულის-ზირზედ, კოტებაშდე განიერ ,,მაშ-  
ზარს“ (ფიშტამალს) იფარებენ. მაშზრის ნაზირებზედაც, უფრო კი  
ბოლოზე, ,,სარმა ღუგმასა“ და აბაზიანებს აკერებენ. მაშზრის ზე-  
ითა ზირზე, გულის სისწვრივ, ფარხით დააფარედინებენ ხოლმე და  
ფვრის შუა გულში ხანდახან აბაზიანს ჩააკერებენ. ტანად რომ ჩაიც-  
მენ, ახლა ზემო აღწერილ ქამარს შემთირტყმენ.

პატარასლი წლის თავზე კელმანდილს იხდის და ,,პირსაც ჩა-  
მოიხდის“, ე. ი. პირს ადარ ახევეს. მაშინ იგი ჩვეულებრივად თავს  
დაიხურავს. დედაცაცებს 14—15-ის წლიდამ ჩიქილა და ლეჩაქი ჭხუყ-  
რავთ. აქაური ლეჩაქი ქართულს არა ჰგავს, იგი უფრო მოგვაგონებს  
იმერულ ფაფანას. ლეჩაქი ჩითისა, იგი ვიწროა ზოლად, ერთის  
ყურიდგან მეორემდის ივერის და უკან კუფამდე ვიწროდ გადადის.  
ზედ შუბლის მიყოლებასუდ, საფეთქლიდან საფეთქლამდე, მძივი აკე-  
რია. ამას გარდა საფეთქელზე ჰგადაა ფინ-ბოქნუზი. ეს ფინ-  
ბოქნუზი მცირე ნაღსა ჰგავს, ვერცხლისა და ზედ ვერცხლის წვრი-  
ლი ფული აკერია, რიცხვით სულ ექვსი. ლეჩაქს რომ თავზე გაი-  
კეაებენ, ფინ-ბოქნუზი თითქმის წარბებამდე ეკადება. ლეჩაქის ზე-  
მოდგან თავზე ჩიქილას იხურავენ. ჩიქილა სამკუთხანია, რომლის  
ერთი წვერი უკან ჩამოშვებულია. ზოგერთნი ჩიქილის მოხვევის შე-  
მდეგ თავს ივერენ ჭრელის კელმანდილით, რომელსაც სიმაგრისათვის  
თავის გარშემო ვერცხლის პტყელ ვინჟირს (ძეწვეს) შემოახვევენ ხოლ-  
მე; ფეხზე იცმენ წინდებს და ქოშებს. პატარალებს წუედებს ან ლაფ-  
ჩინებს უკიდან. შეძლებულები თავიანთს ცოლებს ლაფჩინებთანც ატა-  
რებენ, ხოლო ღარიბთა დედაცაცთ ხშირად ქალამნებიც ენატრებათ.  
აქაური დედაცატი, თუ სიღარიბემ არ აიძულა, ფეხ-შიშველს იშვიათად  
ივლის. გასათხოვარ ქალებსაც ასეთივე ტანისამოსი აცვიათ, ხოლო  
თავზედ მარტო ლეჩაქი არა ჰხურავთ. ყველა ეს ტანისამოსი ჩითისა-  
ცა კეადება და ფარჩისაც. თითო ხელი ფარჩეული, თითქმის ყველა-  
აქვს, ღარიბისაცა და მოვაღესაც. მდიდარ კლებების ცოლ-ძვილს

სომ ორი-სამი ხელი სსტმელიც ახადია. საყურეებს აქაური ქალები სრულად არ ატარებენ, ხოლო საღტრები (სამაჯური) აქვს ზოგიერთას. ბეჭედს მართა ჰატარძლი ატარებს, ისიც ორიოდ წელს, ნეფე კი ქორწილის შემდეგვე წაიძრობს და შეინახავს.

ამით თავდება დაქორწინების აზრზე. ესლა ვიანგარიშით ამ დასქორწინების ხარჯი.

ქალის მამას ვაჟის მამისგან ეგზავნება: 1) ქრთამი ფულად გასათხზარ ქალში: ესლა 30—120 მანეთადე, უწინ—200—300 მ.; 2) ქვრივში ეგზავნება: ესლა 50 მან., უწინ—100—200 მ.; 3) სახორცე (სარი ან ფური) ქორწილში დასაკლავად 10—15 მ., 4) სამისავე ნიშანის ხარჯი 50—100 მ., 5) მკანკალი 1 მ., 6) მღადეს 2 მ., 7) ქალის დედას „სადელო“ 1 მ., 8) გატანებულების ორი შაური, სულ 70 კ., 9) ვაჟის შემკამხელს 40 კ., 10) მენადრე-მეზურნეს 3 მ., 11) მეკურტნეს 10 კ., 12) სახმო (სამო) 10 კ., 13) ეკლესიას 2—3 მ., 14) ქვხსს (მამასხსლისს) 1 მ., მღადეს ხელის დასაბანებლად 20 კ., 15) ქალის წილი 12 მან. სულ: ესლა 273—450 მან., უწინ—500—800 მან.

ვაჟის მამა სრულთს მამას მზითვეის მოსამხადებლად უგზავნის: 1) 10 ჯეჭიმის ძაფს, ან დაქსოვილ ჯეჭიმებს (ჯეჭიმი ღირს 3—4 მან.) სულ კი 30—40 მ., 2) ორი საბანი 15—20 მ., 3) 1—2 სასტული (ბალიში) 1 მ., 4) 6—2 აბგა 2—5 მ., 5) წინდები, ტოლადები და სხ. 3—4 მ., 6) ქალასთვის „ფარსა“ (ჩითეულობა და ფარსეული) 50—60 მ., 7) ქამარი 20—50 მ., 8) ილგა 20—30 მ., 9) სარმა-დუგმა 12 მ., 10) ჩაფარსტი 6—7 მ., 11) შინგირი (შტეული ძეჭვი) 10—20 მ., 12) ქაშები 1 მ. 20 კ., 13) კიდევ წვრილად ნივთები 3—4 მ. სულ 173—254 მან.

ვაჟის მამას თავის შვილის ქორწილში ესარჯება: 1) ორა ან საში სახორცე 30—40 მ., 2) ორიოდე თაღარი ხური 8—10 მან., 3) ორი ბათმანი ყველი 2—3 მ., 4) დვინო 4—5—6 თაღარი 16—30 მ., 5) წვრილმანი ხარჯი, ვითარტა: შეშა, სანათი (ჭრატე-ბი-ჩირადი), ხახვი, ხილა და სხვ. 10—12 მ., 6) არაუა 10 მან., 7) შვიდი ქათამი, ერთი ყახაჯი, ბრინჯი, ერბო და სხვ. 10 მან. სულ 88.—127 მან.

სამივე ხარჯი ერთად შეადგენს: ესლა 594—901 მ.-მდე, ხოლო უწინ 700—1000 მანათამდე.

ამ ანგარიშში ვაჟის მამისთვის პირველი და უკანასკნელი ხარჯი დაჯარგულია, ხოლო მეორე კი უკუ მოსაბრუნებელი, რადგან მზითვეი გერცხლის იმართიანად (მოსართავი) უკანვე მამის ოჯახში შემოდის, ჰატარძალს მოჭეკება. ამას გარდა „ილგას“ ესლა რძლისთვის ბევრნი აღრა ჰყიდულობენ. ეველა ეს ხარჯები რომ გამოვიდეთ საზოგადო წამილამ, წმინდა ხარჯი ვაჟის დასაქორწინებლად დარჩება: უწინდელ დროსთვის 600—700 მან.-მდე, აწინდელ დროსთვის 380—570 მან.-მდე.

შეგადა-შიგ მონაბეება საინგილოში ისეთი ოჯახი, რომელსაც თავისუფალი იუული აქვს და ეოველსავე შვილის დასაქორწინებლად ნადდ იუულზედ ჰყიდულობს. სხვები კი საქორწილო ჩით-ჩუთსა, ფარჩასა და სხვ. ბაზრიდამ ნისიად ეზიდებიან. ეოველ ინგილოს ბაზარში თავისი „ეონალი“ ჰყავს, ე. ი. რომელიმე ვაჭარი. ეონალი თითქმის შინაურ კაცად ითვლება. როდესაც უნდა, მამის მივა ეონალი ინგილოსას, მიივლ-მოივლის, საცა სურს, ჰურს შეჭკვამს, ღვინოს დალევს, დაბრუნებისას მწვანელიუელსა და სხვ. წაიდებს და წავა. ინგილო თავის მონაგარს არავის მიჭეიდის, თუ არა ეონადს. მაგალითად, ჰარკს, ღვინოს, თუ ჰური აქვს, ჰურს, ბრინჯს და სხვას. ეონადსვე ინგილო ეოველ წლივ ეეშქაშად მიუტანს ერთს ურემ ბზეს, ხანდახან შემასაც და სხვ. მაგიერად ინგილოს ეონადისაგან ნისიად მიაქვს „ეონა“ და როდესაც დასჭირდება, იუულსაც სესხულობს. აქური ვაჭრები ერეგნის გუბერნიილამ არიან. უმეტესი ნაწილი მათგან მოსვლის ეამს ლუკმა ჰურის მონატრულია, მაგრამ მალე დაეონადების შემწეობით მდიდარი და შეიღებული გამხდარა. როგორაო, იკითხავთ. ეოველ ვაჭარს რამდენიმე ეონალი ჰყავს. ამ ეონადებისგან თითქმის ეოველ დლიური საზრდო მოსდის; აგრეთვე რამდენიმე ურემი ბზე, შქმა და სხ. თითონ კი სულ მცირე ფასად შეიძენს დამზალ-დამზალ ჩით-ჩუთს და მამა-ნისხლად აძლევს თავის ეონადებს. თანაც ეონადს ეუბნება: „ოჰ, რა ჩითებია, რა ამირიკოა, რა ნაშური! იცი პირდაპირ მაკარიილამ დავიბარე, ესლახან მრმივიდა. ამ ჩითის ადლი თავის ადგილზე ექვსი შური დირს, მაგრამ შენ ეონალი ხარ, მკ ფასად

როგორ მოგცემ, ხუთ მანურად მიერთვი, ღმერთმა მშვიდობაში მო-  
განმაროს. დეე, მე ვიყო წაგებაში, ოდინდაც კი თქვენ ნასიამოვნები  
ღამრჩეთ. ამას გარდა ჩემი ხათრი და უადრი გქონდეთ, თუმცა დიდი  
ზარალი მომდის, მაგრამ მაინც ნისიად გითმობთ ზარკობამდე (ან  
სთველამდე)“. სრულიად გამოუცდელ და გულ-უბრუნელო გლეხს ეს  
მაცდური სიტყვები სჯერა. თავის უზავეელ გულში როგორ გაიტა-  
რებს უნადის ღალატს, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს სიეშმაკით  
გატენილ-გაბერილი სულიერი ჯვარსა და ხატს ჰფიცულობს, სმას  
სამოცდა სამ წმინდანს იმეწმებს, რომ მისი ნათქვამი უოფლად მარ-  
თაღია. უნადი, რასაც მისცემს გლეხს, იმას თავის დავთარში სწერს  
(ხშირად წაღებულზე მომეტებულსა სწერენ). შემდეგ გამოიანგარი-  
შებს წადებულ ნივთების ფასს, წლის სარგებელსაც ზედ დააკეცავს  
და ერთ ჯამად ჩასწერს. სარგებელიც უნადის საკადრისი იცოდნენ,  
ე. ი. 20—30 მანეთამდე და მეტიც. მეტი იმიტომ, რომ ვაჭარი,  
თუმცა წლის სარგებელს მაშინათვე თავის ზედ აკეცავს. მაგრამ გლე-  
ხი წლამდის არ იცდის და როცა კი რამ შემოუვა, უნადს აძლევს, მა-  
გალითად ზარკს ივნისში, თხილს ენკენისთვეში, ღვინოს ღვინობის-  
თვეში, ხილს და სხვ. და სხვ. ამას გარდა, რასაც ვაჭარი წაიღებს,  
იმას თითქმის უფასოდ ანკარიშობს, მაგალითად ზარკის ფუთს 7—8  
მან., როდესაც თითონ შემდეგ 12—15—24 მან. ჰყიდის. აგრე-  
თვე ნაკლებად აფასებს ღვინოს და სხვ. ერთხელ თუ გაება გლეხი  
უნადის ქსელში, ძნელად-და იხსნის თავს. უწინ ქორწილის ხარჯი  
თურმე სრულიად ჰღუნავდა აქაურ ხალხს. ესლას ეს ხარჯები, თუმცა  
შემცირებულია, მაგრამ მაინც გლეხისათვის ფრად სამიძობა. უწინ  
ხარჯიც თუმცა დიდი მოსდიოდათ, ბარაქც დიდი იყო. მანდარი,  
ჭია, საქონელი დიდ შემოსავალს იძლეოდა, ხალხი დიდს ოჯახებად  
სცხოვრობდა, თითქმის არა ეხარჯებოდათ-რა გზებისა, სკოლისა,  
მწერლის და სხვ. შესანახად. ესლას კი მინდორიც ღალატობს, ოჯა-  
ხებიც ნამცერ-ნამცერად იყოფებიან და ათას გვარი ხარჯ-ხაჯალათიც  
აწვება კისერზე. ამიტომაც მცირეოდენი ხარჯიც, თუნდაც ისეთ აუცი-  
ლებელ საქმისათვის, როგორც ვაყის დაქორწინება, გლეხს წელსა  
სწუვეტს და ვალში ატდებს. აქაურ ვერაც და უღმერთო ვაჭრების წყა-  
ლობით გლეხი უოველ წლიც უონადს აძლევს თაყის მონაგარს, მაგრამ

წლის ბოლოში რომ იანგარიშებენ, თავის ვალს არა თუ არაფერი აკლდება, შირ-იქიო, კიდევ ემატება. ამ 20-ადე წლის წინად ინგილოს მამულები ცბიერ ვაჭრებს თიანქმის სულ მთლად დანაკუთრებინათ. ეთანადი გლეხები სრულიად განედევსათ მამა-მამუელ ნაშენ-ნადვან მამულ-დედუღილამ და ან იქვე მამულში დანარჩუნებინათ და მოსავლის სანახევროდ ამუშავებდნენ. მაგრამ მათი უკანონო საქციელი ადგილობრივმა მთავრობამ შენიშნა. მზრის უფროსმა სერაფიმიძემ ვაჭრებს გლეხების მამულები ჩამართო და ისევ გლეხებს დაუბრუნა, სოკი სრულიად უფასოდ, რადგანაც ვაჭარს უკვე ერთი-ათად თავისი თუფლი ამოკო და სოკი კი თავნი ვალის წვრილ-წვრილად მიბრუნებოთ. სერაფიმიძის წყალობით მრავალმა ინგილომ დაიბრუნა მამული და ვალიდამაც გამთავიდა. მაშინ დაშინებული ხალხი ეხლა უფრო ფინილად იქცევა და ეთანადს დიდის ეჭვით ეუბრება...

დაქორწინებისა და უარ-დაწერის (ფვარის-წერის) შემდეგ, ორიოდ-სამიოდე თვე რომ გავა, სიმამრი „სიზეს დაუსანებს“, თავის სახლში მიიბრუნებებს თავის ქალითურთ. „დასანებსმდის“ არც გათხოვილი ქალი და არც სიძე სიმამრისს ერთხელაც არ წავუყენ: წესი არ არის თავის ნებთა, მიუხატიკებლად ესტუმრნენ. მიწვევის დღისთვის სიმამრი შეჭურის თავისას თავის მუკვარეულებს, კარგს სადილს, ანუ ვასმას გაჭმართავს და ქალისა და სიძის მისვლის შემდეგ ღვინი დაიწყება. სიამ თან უნდა მიიტანოს ქიშმიში, ფანდი და სს. ტკბილეული ემაწვილებს თავის. ღვინობენ თითქმის მთელი დღე, ანუ შაურლი დაშე. აქაც გაც-ქაღნი ცალ-ცალკე სხედან, სიძეს მარჯას ბოლოში ჭისმენ და აუ ჩინგური იცის, ჩინგურს ავერუენებენ, თუ სიმღერა იცის, სიმღერას ათქმევენებენ. ჩინგური ამგვარ ღვინის აუცილებელი გუთვნილებაა. ღვინის დროს უსათუოდ კარგს მეჩინგურეს მოიწვევენ ხოლმე, აგრეთვე კარგ მომღერადსაც. სიძის სტუმრობა უფროსობით თავდება. ამ დღიდგან ქალისთვის, მამისა და სიძისთვის სიმამრის სახლის კარი დააა და როდესაც უნდათ, მაშინ ეჭვევიან.

როდესაც შვილი ეყოლება, მაშინ ქალი დედამ უსათუოდ უნდა ინახულოს და თან ხორაგი მიართვას, უფრო კი ფლავი. აუ დედამ არ ინახუა, სსსიძის მძახლებისას აღარ გაიფიქრან, შემოსწვრებინ. ხშირად მშობიარე დედის მოლოდინში „დასივლება“ ხოლ-

მე და იავადშეოფებს. „დასიება“ ტანის დასიება კი ნუ გკვებობთ. ამ შემთხვევაში დასიება ის არის, რომ კაცი რამე საჭმელს, ან ვინაშემე მომზადებულს ხორაკს მონდომებს და მოილოდინებს, მაგრამ მოლოდინი კი არ შეუსრულდება. ეს მოლოდინის შეუსრულებლობა „დასიებას“ გამოიწვევს. ქართულად რომ იტყვიან: „კაცს საჭმლისთვის თვალის წყალი წაუვიდაო“, დასიებაც ეს არის. „ჭკიპე ემაწულს ჰე სხალ შეეც, თუარ დასივდებ“ და ქართულად „მაგ ემაწვილს ეგ მსხალი მიე, თორემ თვალის-წყალი წაუვაო“, ერთი და იგივეა. ამიტომაც, თუ შშობიარე ქალი დედამ დროზედ არ ინახულა და ქალი დასივდა, შეატუობინებენ და დედაც გააკეთებს კარგ ხორაკს, ჭაშში ამოიღებს ფლავს და ზედ ცხენის კორკაღს (განავაღს) დაადებს. ქალი გახსნის სუფრას, ფლავს ზემოდან დაფარებულ ჭაშს აჭხდის და კორკაღს ხელში აიღებს-რა, იქ მდგომარეთ ხარხარი აუტყდებთ. კორკაღს შორს გადაგდებს და ფლავს შესჭამს. ამით დასიების მიერ გამოწვეული სნეულება გადაივლისო. დასიება ყველამ იცის. დასიებულისთვის ჩანდახან ვანშმის დროს შეიდ კარს შოივლიან, ვისაც რა აქვს ვანშმად. ითხოვენ ყველა ხორაკს, ზედ კორკაღს დაადებენ და ავადშეოფს მართმევენ. აქც იგივე ხარხარი იციან. დედ-მამა, თუ არა ხორაკს, სხვა საჩუქრებს არ მართმევენ თავის ქალს. იშვიათად მოხდება, რომ მდიდარმა დედ-მამამ ღარიბ სიძეს ან ქალს აჩუქოს შესაბამელი საქონელი, საწყველი, საცმელი და ჰური.

## 5. გარდაცვალების წესები.

სიკვდილი. შვილის მოვალეობა. პირისუფალი. ტირილი. მკვდრის ბანება. შესუდრვა. საკაცე. მისი მორთულობა. გასვენება. ქვის უკუგდება და „მკვდრის გაცილება“. საფლავის მიხრულები. ქელეხი. ტაბლობაჲ და მისი წესები. სულის პური და მისი წესები. სამარობებზე გასვლაჲ. საკმელ ჩაყრაჲ.

ინგილო-იმიტომ ესწრაფის თავის შვილი თნუთმეტის წლისა დაქორწილას, რომ „სოკდულ-სიცოცხლემს, შულ მალე შეესწრას, დროზე ქამაგ აქნეს მამიბეით“. შვილებიან (ვაჟებიან) მამას ის უხარის, რომ საქმიდგან განთავისუფლდეს, შვილები იმის მაგიერობას იზამის.

ოჯახის თავის გარდაცვალებას თავზარსა სტემს სახლის-წულთა, მეტადრე ვაჟიშვილს, რომელსაც ოჯახის მოვლა კისერზე აწევდა. შვილი თავის ავადმყოფ მამას მუდამ თავს დასტრიალებს, არას იზოტავს, ოდონდ რამე ეშველთს მშობელს, ანუ თუ სულთ-მობრძავია, იქვე მამის სარეცელთან გაშუქებული ღვას და ჰირში შეჭურურებს, რომ მამის უკანასკნელი სიტყვები აჭკრიფოს, მისგან დარიგება რამ მიიღოს. აი მობრძვა სული დალია. იმავე წამს შვილი მშობლის თბილს გვამს „ასწორებს“, ჰირადმა აწვენს, გულზე ჯვარდინად მკლავებს უწეობს, ფეხებს ერთმანეთზე უკრავს, რომ აქეთ-იქით არ გადახინჯებენ, თვალებს „უხუჭავს“, რომ ღია არ დაჩიეს, თავით ერთ არაწ ღვინოს, ერთ ჯამ ხორბალს, ერთ ჯამ წყალს და ტანთ-საცმელს ულაგებს და ამ ჯამზე ერთსა თუ სამს სანთელს უნთებს. სულთ-მობრძვე დედაკაცს კი ხელში ერთ კიფე კედს (ძაფს) უდებენ. სულის ამოსვლისთვის იტყვიან, რომ კაცის სული ხეხულებს მიაჭებსო. ყოველსავე ამას რომ შესრულებენ, სახლის-წულნი მკვლარს მცირედ დაიტირებენ და კაცს გაგზავნიან სოფლად, რომ ყველას აუწუონ გარდაცვალების ამბავი. ვინც შეიტყობს, ესა და ეს კაცი მოკვდაო, იტყვის: „დამერთმა აცხონოს, კამ კაც ყო“. თუ მოსაწონი კაცი არ იყო, მარტო „დამერთმა აცხონოს“ იტყვიან. კაცის გარდაცვალების ამბავს სასლში ხმა მალდა არ იტყვიან, არამედ ცოლ-ქმარნი მარტო ერთმანეთს შეატყობინებენ: მავანი (სახელი რქვი) დახარჯაო. იმავე დღეს ჭირისუფლებისას ხალხი შეიურება. ჭირისუფლად უნდა იყოს გორში (გვარში) წლოვანებით უხუცესი კაცი. დედაკაცები რომ შემოდან ეზოში, ჰირდაჰირ სასლში შედიან. იქ დედაკაცები მკვლარს გარს არტვიან და დასტირიან. ახლო ნათესავები, კაცი თუ ქალი, ჭირისუფალთან არ მივლენ, არამედ სასლში შევლენ და მკვლარს დაიტირებენ. ძმები და დები ხანდახან ალყაფის კარები იდგანვე დატირებან მოჭყევიან. მკვლარს უველა დედაკაცი და ნათესავი და ნახლობი დაიტირებს, ხოლო კაცთაგან მარტო ნათესავები. ტირილის დროს ნათესავი დედაკაცები ხმამაღალი გულში ზედი-ზედ მუშტს ჩაიკვრენ ხოლმე. ახლად დაქორწინებულ გარდაცვალებულ ვაჟს ასე დასტირის დედა: „ნეფე შულო, სახეფთებ ვერ გავტყუა; დაგჩინა ზატარხალ დუშინიბეფთ, ერ სასტული ჰირ ვერ დაჭკლიე; ერ ვერ-

ღანი ზირ ვერ გამოდგექ; შენ წილ დაგრხა, ვერ მქამ, ვერ დაჭ-  
ლიფ... ვაჲ, ჰარაჲ ჰქეჲ, ვაჲ, ჰარაჲ ჰქეჲ!.. შენ ზატარზალს ვერ  
მოჭბრუნდ ორჟელ ვერ შეჭზრახ, გიტირასს შენ ნეჟეე წილ მამულმა,  
გიტირასს შენ ზატარძლმა, ვაჲ, ჰარაჲ, ჰქეჲ! ვაჲ, ჰარაჲ, ექეჲ დამ-  
ტირებულს ეველა დედაკაცები ბანს აძლევენ: „ჰქეჲ“-ზედ ხმას აგრძე-  
ლებენ დიდხანს. დედა ვაჟიშვილს დანტირის: „ვაჲ შულო, ჟან შუ-  
ლო, ჩემ სხელი იხტიარ შულო! კაჲ მოგიგი, კაჲ მამულ ავიშენე-  
ბი; კაჲ შეჭმელ-დააღეველ დროზე ვერ გიჭამი, ვერ დაგილევი;  
გზაჲ საიარ დაგვარდნი, დაგრჩომი შენ ცოლ-შუღლზე თაღ, მიჭდი-  
ხარ, შულო ჟან... ვაჲ ჰარაჲ ჰქეჲ!“ და სხ. გათხრეილი ქალიშვი-  
ლი მამაზედ მოსთქვამს: „მამაო, ეჲ ჩემო სარქარ მამაო! ჩემ თუ-  
ღი დიდ ხარ, როგორ-და ჰუმ მოუდე მე აქ, რაღა ზატეჲ შექნება მე.  
ზმებ ევჲ (მუჲვს), მართალი, — ზმებიც თელ იქნენ თავიანთ ადგილ-  
ზე: სხოთა (სხვეების) ქალებ დედ-მამის ზატეჲს ჩონ არ დოგადებენ  
(ე. ი. რძლები, სხვათა ქაღნი ჩვენ ისეთის ზატეჲით არ მიგვიდე-  
ბენ, როგორც შენად, მამაჲ), ვაჲ ჰარაჲ ჰქეჲ!..“

დასაფლავების დღეს, ადრანად, დედაკაცები გარდაცვალებულ  
დედაკაცს და მამაკაცი — მამაკაცს აბანებენ. გაბანილს სუდარაში ახვე-  
ვენ და კერას ზირას გაშლილ ჭიჭიშიზე აწვიენ, თავითაც ბალიშს  
უდებენ. სუდარა ჭერ შეკრული არ არის. კვდარს სუდარის შეკვრამ-  
დე მუშამბას დაადებენ. მუშამბა სანთელ-წასმული ამირიკოს ნაჭერია.  
ერთს ადებენ ზირზე, ერთს გულზე, ცხვირში სკვეველს დაუტობენ,  
მარცხენა ხელში ჩაუდებენ ორ შაურს, მარჯვენაში ორად გადაკეცილ  
სანთელს დაჭერიებენ, მოუკიდებენ, ცოტას მოსწვამენ და გააქრო-  
ბენ... და ორ-კეც ამირიკოს სუდარას თავ-ბოლოს ამირიკოთივე შეუ-  
კრავენ. შესუდარის შემდეგ მღვდელს (ქრისტიანები) და მოლას (მაჭ-  
მადიანები) ანდერძს ააკებინებენ და შერე ტირილით გამოიტანენ და  
საღაჟაზე დასვენებენ. აქ კუბოს მაგიერ საღაჟას ჰუმარობენ. საღაჟას  
კიბეს მსგავსად აკეთებენ ტირიფის ხისას მომეტებულად. კუბო ეხლა  
და ეხლა შემოდის. მკვდარს ზედ გადააფარებენ ორ-სამ ადლიან თათ-  
ტას, ერთ ნაშირს და ორიოდ ადღ ჩითს. ეველა ამზედ საღაჟიანად  
სიათის გრებილს გადჭირებენ. აქვე უკანასკნელად ნათესავნი დაი-  
ტირებენ მკვდარს და სასაფლაოზე (სამარიებზე) წასვვენებენ. წასვე-



ნებაში დელაგატებს მონაწილეობას არ იღებენ. სწავლას რომ ასწავენ და ალუაფის კარებიდან გასვენებენ, ერთ დედ-მამიან ბიჭს სურგს შეაქცევიან, მკვდრისკენ წინიდან უკან ქვას გასროლინებენ და თანაც აიქმევიანებენ: „შენ წილ რამე აქ აღარა, შენ წილ მიგიდი, წაე, ჩონ ექმას იქი დეკესენ“. ამას გარდა, შესუდრის ეკის ერთის მტკაულის ტოლს ამირიკოს სუდარიდამ მოჭსევენ და სელ-უკუდამ კორ-თეს (ჭურჭლის საწეობი თანხა) მიაკვრენ. მესამე დღეს მიმკვრელივე ამ ამირიკოს მოჭკლეჯავს და მდინარე წყალში ჩააგდებს, მკვდარზე გა-ეოლილ ნაშირს შესაფლავები იყოფენ, ჩითი და თაფტა ქრისტიანებ-ში მღვდლისა, მამუადაინებში მოლისა. მკვდარ დელაგატის ხელში ჩა-დებულ ძიფს კი შესუდრის დროს დელაგატები იყოფენ, სანარეს ორ-სა ანუ სამ კაცს ათხრევიანებენ. საფლავის მთხრელები მკვდარს მთლიან ეყვრით გაზომვენ და ამ ზომასკად საფლავს ამოსთხრან. საფლავის ზუმთ შირს ადღ-ნახეკრამდე ფართოს აკეთებენ, ხოლო შემდეგ კი ავიწროებენ. ამ ვიწროში მკვდარს ჩასვენებენ; ზოგნი ჭეჭიშს გუ-შლიან ქვეშ, თავით ბაღაშს დაუდებენ და შივ მისსავე სცემულს ჩა-ატანენ. დელაგატებს წინად ვერცხლის სამკაულით ჭმარსავდენ. ესდა კი ამისთანა შემთხვევა იშვიათია. ჩასვენების შემდეგ განიკრად ჩათ-ხრილ საფლავის შირებზე სივ ქვებს დაწეობენ და მიწას მიაყრან. ს-ლავას სეებს — ტირიფებს\*) იქვე დაჭურან. მერე „დმერთამ აცხონოსო“ იტყვიან და ჭირისუფლისას დაბრუნდებიან. აქ ქელახის (ქელეხის) დღეს ზოგი ჭკდავს ერთ მოზვერს, ან ერთს ყოჩს, ეს შეძლებაზე ჭკი-და: აკეთებენ ფლავს, ხორცის წვეს, აცხობენ ლავაშებს, სატანად ეგელს ჭვიდულობენ, აჭმევენ ხაღხს, ასმევენ და ისტუმრებენ: დღი-

\*) ტირიფის ხით საკაცეს გაკეთება ფრიად საყურადღებოა. ამ ხის შერჩევა საკაცედ უნდა იყოს ნაშთი იმ დროსა, როდესაც კოლხნი, რო-გორც გადმოგვცემენ აპოლონ როდოსელი (მე-III ს. ქრ. წ.), ნიმიადორ სირაკუზელი (IV ს. ქრ. წ.) და სხ., მკვდრებს კი არ მარხავდნენ, არა-მედ ტ ი რ ი ფ ი ს ხ ე ე ბ ზ ე ჰ კ ი დ ე ბ დ ნ ე ტ ვ ა ვ ე ბ შ ი შ ე ბ ე უ ლ ე ბ ს. ვ-ხუშტის დროსაც აფხაზები მკვდრებს კი არ მარხავდნენ, ხეებზე ჰკიდებ-დნენ თურმე. დღეს კი, როგორც გადმოგვცემს პეტრე ქარაია, აფხაზეთ-ში ხეებზედ ჰკიდებენ არა ყველა მკვდრებს, არამედ მხოლოდ მებისავან მოკლულებს.

ნის სმის დროს, მისელი ჭიქიდგან ღვინოს ცოტათი გადმოასქრევს ღვავსებზე, იტყვის „ღმერთმა აცხონასი“ და დაღვეს. ხალხის გასტუმრების დროს ორ-ორ შესურსაც ურიგებენ სოფიერთი. მეორე დღესაც დედაკაცი იყრებიან ჭირისუფლის სახლში, მკვდრის საცმელს გამოშლიან, გარეშემო მოუსხდებიან და ტირიან. ამ დღეს მკვდარს საკლავი არ „უვარდება“ (ერგება), მოსულ ხალხს უგელთა, ჰურთა და სხ. ისტუმრებენ.

ტაბლობაჲ. ტაბლობა იციან მესამე დღეს. გამოაცხიბენ ღვავს, გააკეთებენ ფლავს, რძის შუქსადს, მოიტანენ სილს, ამოიდებენ ღვინოს, სოლო ამ დღესაც საკლავი არ ერგება მკვდარს. ტაბლავზე მოსულ დედაკაცებს მოაქვთ ჰური, ფლავი, კუჭულა ღვინო (თუ აქვს), ან კვერცხი, ხილი, ცარიელი კი ვერ მოვა. უგელანი რომ შეგროვდებიან და უფელიკეს დამზადებენ, შერე კერას ერთ ნაწირზედ გრძელს სუფრას გაშლიან, სუფრასზე დალაგებენ: ვარცლით ზურს, ქვაბებით ფლავს, შინ გაკეთებულს, თუ მოტანილს ფლავს აგრეავე ბადებით იმავე სუფრასზე ჩამთარიგებენ, დალაგებენ ხილსაც (უფელ გვარს), მისარშულ სიმინდს, ჯამით წყალს, ჩაფ-აჩაწებით ღვინოს, ხილებში (ერთ-ორში) დანას დაურჭობენ, თუ ნესვია—ნესეში, თუ სხვა მითრია—სხვა მითრიაში. ამას შემდეგ ჭირისუფალი (ღიასხლისი, ან გვარში უფროსი დედაკაცი) ღვინოს-ჩაფის, ჭარაწისა და წყლის ჯამის ზირზედ ხუთს სასთელს მოუკიდებს, ჩამითა თუ ქაფქირით ნადეკრდალს მოატანინებს, შივ საკმელს ორის თითით ჩაჭურის და ასე წაიბუტბუტებს თავისთვის: „ღმერთმა აცხონას, ღმერთმა ჟანახაში (სასუფელით ანუ სამთხეში) შაყონას“. შემდეგ სხვა დედაკაცებიც ჩაჭურიან და ამ ქაფქირით სამ ცხის ტაბლას უმევენ, გარეშემო შეატრიალებენ. სუფრას ორი დედაკაცი უკმევს. ერთი მათგანი აღმოსავლეთის მხარეს დგას და მეორე დასავლეთისს. კმევა იწყება აღმოსავლეთის მხრის ქვემო კუთხიდგან მარცხენიდან მარჯვნივ. ამ მხარეს რომ უკმევს, ახლა მეორე დედაკაცს გადსცემს და ისიც კმეკით ისევ აქით გადმოსცემს. ბოლოს ქაფქირი დასწავლებლად ისევ აღმოსავლეთის მხრივ კუთხეში უნდა დასდონ. საკმეველის განულებაზე დედაკაცების მარჯა გაიმართება. ჩამომხდარ დედაკაცებს სულზე სამ ჰურს ჩამოუყრან: ორს მეტაბლის მოტანილს და ერთს სახლისას.

ზგრეთვე მომზადებულ ხორაკსა და ღვინოს მიაერთებენ. რასაც შე-  
შტამენ, შეშტამენ, რასაც არა, იმას ჭურჭლებში ჩაიერთან. თავიანთ  
ღვინის ჭურჭლებსაც სახლის ღვინით გაიფსებენ და შინ დაბრუნდუ-  
ბიან. არც ტაბლობაზე და არც მეორე დღეს კაცები არ დაესწრებიან.  
კვირის თავამდის უფელ დღე მკვდრის დატორება იციან.

თავ-საპარსი. კვირის თავზე თავ-საპარსი იციან. ამ დღეს ნა-  
თესავეები და შეზობლები—კაცი თუ ქალი—შეიყრებიან ქირისუფლი-  
სას. დალაქსაც მოიწვევენ. თავ-საპარსი დაიწყება მას შემდეგ, როდუ-  
საც ჰირველად თავ-პირს მოიპარსავს სახლის უფროსი. პირე უველა-  
ნი მოიპარსვენ ან წვერსა და ან იაგს. აქ მანქმადინობაში თითქმის  
უველანი (რასაკვირველია, დედაკაცებს გარდა) თავს იპარსვენ, ხოლო  
ზოგიერთნი სპარსულად წიწილებს (გრძელ თმებს) კევიდგან მო-  
კიდებული საფეთქლებამდე ინარჩუნებდენ. ბოლოს ეს ჩვეულე-  
ბა გადაფარდა და უველამ თავის სრულად გაპარსვა იწყო. ხო-  
ლო ამ ოტიოდუ წლის წინად ქრისტიან ინგლოებში თმის შე-  
ნახვა შემოვიდა. იპარსვენ მარტო კისერსა და წვერს. თავ-საპარსის  
აზრი მკვლარზე გლოვიანობა უნდა იყოს. ამ დღემდის მამაკაცი თავ-  
პირზე სამართებულს არ იკარებს. საკვირველი ის არის, რომ დედა-  
კაცები არც ერთ სამგლოვიანო ნიშანს არ ატარებენ: თუნდა ქმარი  
გარდაეცვალოს, ან ძმა, ან მამა და სხ. დედაკაცი სამგლოვიანოდ არ  
შეიმოსება არც ერთ დღეს, პირ-იქით რაც ახალ-ახალი და წითელ-  
წითელი სცემელი აქვს, იმაში გამოეწეობა, თითქო ქორწილში წას-  
ვლას ემზადებაო, ისე ირთება. მძიმე მგლოვიანობითა და მეტიან-  
მეტ ტირილით ჩვენის მკვდრის სულს შეგაწუნებთო. თავ-საპარსით  
მგლოვიანობა თავდება და უქმდება. მოსულ სტუმრებს ფლავითა,  
რძის შეჭამითა, ღვინითა და სხ. ისტუმრებენ. საკმეველსაც ხო-  
რაკზედ უყრიან, სანთელსაც ანთებენ, აქაც სწორედ ისე იქცევიან.  
როგორც ტაბლობაზე.

სულის-პურის. სულის-პურის დრო განსაზღვრული არ არის, ზო-  
გმა თავსაპარსისავე დღეს იცის, ზოგმა უფრო გვიან. სულის-პური  
მკვდარს საუყარდება (მიერკება) მხოლოდ სამშობათს, ხუთშობათს, ან  
შაბათს. სულის-პურში, როგორც ქორწილში, წინა დღითვე იწვევენ  
იმ, რჯანს, რომლის წევრ დედაკაცმა ტაბლობაში მოიპარსება მიი-

დო. ნათესავეები ხომ აუცილებლად უნდა მოვიდნენ. სულის-ბურში  
ოჯახები უველა სახლის წუღიანად უნდა შეიკრიბნენ. ზიარჩევეენ და  
დააუენებენ ფევეედგომლებს ბურის (ლავაშის) საცხობად, სკლავის  
დასაკლავად, ხორავის მოსამზადებლად და სხვ. ამ დღეს ქაში საკლავი  
უნდა დაჭკლან უსათუოდ, ან სამივე უთი, ან ორი უთი და ერთი  
ქათამი (მაშალი), ან ჭმეული მოზვერი და ორი უთი, ან ერთი უთ-  
ნი და ორი ქათამი. სულს რქოსანი ზირუტევი არ ერგება, ხოლო  
ქათამი და უთი—კი მოზვერი სულისთვის კი არ იკვლის, არამედ  
ხორცისთვის. სულისა მხოლოდ უთი და ქათამი, ან უთები და ქა-  
თამი. დაკვლის წინად უთის ნაკურთხის მარილს მოალოკებენ (ხოლო  
მაჭმადანსობაში უკურთხებულსაც ალოკინებენ); ქათამსაც წინთლით თა-  
ვის ბუმბულებს მოუტუსვენ. დანის გამოსმის დროს დამკვლელი იტ-  
კვის: „დმერთმა აცხონას (სახელი) სულ“. შემდეგ საჭმელის გაა-  
კეთებენ: დიდ-ქვებში (არაუისში) ფლავს, წვეენს და სხვ. შერე  
ხორავს ქვებთანად შინ მიიტანენ, ღავაშსაც ვარცლიანად. სუფრასედ  
დაწვობენ უველაფერს და საკმეველს ნაჭურთან. აქ ჩაყრამდე, საკმეველს  
ჟერ კორთეში ნაჭურთან მცირე ხოსინაზე, რომელზედაც ალაკებენ:  
ერთ მკლავ ხორცს, სამ ღავაშს და ერთ არაწ დვინოს. ეს ხოსინა  
აქვე დარჩება შერე დემდის და შერე სახლის-წუღნივე შექცამენ.  
ქრისტიანი ინგილოკები საჭმელს ნაკურთხის მარილით ამზადებენ და  
ტაბლასაც მდგდელს აკურთხინებენ. სულის ბური სამჭვრაც იცინა.  
ზირველ სულის-ბურზე მკვდარს საფლავზე დაიტრებენ, ხოლო მეო-  
რე-მესამეზე—შინ. საფლავზე რასაც საწოვავს წაიდებენ, შინ ადარ  
დაბორუნებენ: გამკვლელს და გამომკვლელს აჭმევენ. დამტრებულნი  
შინ რომ დაბრუნდებიან, ჯამათი ჩამოსხდება—დედაჯინი ცალკე და  
მამაკინი ცალკე. სტუმრებს მთართმევენ: ორ-ორ ღავაშს, ჯამით  
წვეენს, რამდენსამე ნაჭერ ხორცს, დვიდლის ნაჭერს, „ბარს“ (ფურტს-  
ფილტვს წვრილად დაშვრინ, ნაწვევებს მოზვევენ და მოჭხარშვენ.  
ამას ბარი ჭქვან). ამის შემდეგ სტუმრებს ფლავს მთართმევენ ორ-  
სამ კაცზე თითო ღავარს. ფლავს აურია ხიწიწი (ხოხოზიკი). დე-  
დაკაცები ამას გარდა კორკოტსაც შქამენ. ჭამა-სმის შემდეგ ეველა  
სტუმარს ორ-ორ ღავაშს, თითო ლუკმა ხორცს ჩამოურავებენ. ხალ-  
ხი რომ მიშლება, ეს ღავაშები და ხორცი ეველამ თან უნდა წაიდოს.

დედაკაცებს კი შიაკეთ ფლაზიც, ღვინოც, კორკოტიც, ხილიც და სხ. საზოგადოდ იმ ჭურჭლებს ივსებენ, რომლითაც სულის-პურში ხორაკი ან სასმელი მოიტანეს. ზირველი სულის-პური წლის თავზე ადრე იცინან, ხოლო მეორე წლის თავზე და მესამე—მეორე წლის თავზე.

ამითი არ თავდება მკვდრის ხსენება და რიგები. თრმოდ გუ-სვლელ მკვდარს (შინამ ორმოცი დღე შესრულდება დღიდან კარდა-ცვალებისა) მეოთხე დღიდან მოკიდებული ±0 დღემდის საკმეველს უკმეველს, მარხვა დღეს მარხულზედ, ხსნილ დღეს ხსნილზედ. ამას გარდა, წითელ ჰარასკვეს, სამარხო საჭმელებს გააკეთებენ: ჭინჭრი-სა ანუ არყაკლის გირცსა, ნიგვზითა და სახვით შენელებულ ჭინჭარ-სა და არყაკელს, ლობიოს, წითელ კვერცხებს. ეველა ამას ეოველ ოჯახიდან კაცები წაიღებენ სასაფლაოზე და თავ-თავინთ მკვდრების საფლავზე დასდებენ. თუ სამარე ახალის მკვდრისა, საფლავის ზემო-პირს გასწორებენ. სამარეზე წაყრილ მიწას გაშლიან, ოთხ-კუთხიან სახეს მისცემენ და ზედ ბაღახიან ჭიმებს დაადებენ. თავ-ბოლოში კი ჰტეულსა და მძალ ქვას და ხილის ხეებს ჩაუდგებენ, მერე ხორაკს სამარეზედვე გაჭმლიან, საკმეველს დააკმევენ და სათელსაც ანთებენ. ქრისტიანები მღვდლებსაც აკურთხებიანებენ საფლავებს. ამ დღეს ძველს მკვდრებსაც არ დაივიწყებენ და თავის წილს ხორაკს მიუტანენ. შემ-დეგ ამის ხორაკს ისევ ჩააღებენ ხურჯინებში და ფართო ველთ-ზე გაფლენ. ჩამოლაკებიან უველანი და წინდაწინვე არჩეული ფეხე-დგომლები ხორაკს ხურჯინებიდან ამოლაკებენ, განაწილებენ და ვა-მათს მიაერთებენ. ჭამა-სმა დიდხანს გრძელდება. ხალხი რომ აიშ-ლებს, დიდები, მოხუცებულები შინ წავლენ, ხოლო უმცროსები ბურ-თაობას დაიწყებენ. თამაობენ დიდხანს და სასიამოვნებნი შინ ბრუნ-დებოან. საფლავზე მოტანილს წითელ კვერცხებს არა უჭამენ. ახალ-გაზღანი აჭიდავებენ კვერცხებს (კვერცხს კვერცხზე უკვრენ), ვისიც კატუდება, იმის კვერცხი წაკებულაია. ამ კვერცხებს შინვე აბრუნებენ და გახსნილებისთვის ინახვენ. ასე იქცეოდნენ ინგილოები მჭამადა-ნობაშიაც. გახსნილების დღეს ძველ მკვდრებს საკმეველი არ ჩაუვარ-დებოთ, ხოლო ანლებს კი.

სამარიებზე გავსულა. საფლავებზე კასვლა მარიამობის მარხვის— გახსნილების მეორე ან მეოთხე დღეს იცინან. ამ დღეს მთელი სო-

იველი სსსფსოზე იკრიფება. ახალ მკვდრებს (ერთის ან ორის წლი-სსს) დაუკვლენ უოჩს და ვინც ვერ შეისძლებს უოჩის დაკვლას, ქათამს დაუკვლავს, ხორცს კი ბასარში იყიდის. გააკეთებენ რძის შუქვამადს, ფლავს, ტომასს, მოხრაკულ ქათამს, მწვანე ლობიოს, მოაქქილებს ხილს და ნესკ-საზამთროს. შინვე სუფარზე ყველა მკვდრისთვის ცალ-ცალკე ჭამებში წილს ამოიღებენ, სუფარზე დააწყობენ და საკმეველს ჩაუერთებენ. ახლის მკვდრის წილზე კი საკმეველი სსსფსო-ზე იყრება. საკმეველს რომ ჩაჭყრიან, ჩამოსხდებიან და დანაურდებიან. მერე ცხენებს აჭვიდებენ სანოვაკს და სსსფსოზე წაყვან. იქ ყველანი თავ-თავიანთ მკვდრების საფლავებზედ ჩამორაკდებიან. სოფლის სამარხი თუმცა ერთადაა, მაგრამ საფლავები გვარეულობა-ზეა ჩამორაკებული. საფლავებზე მკვდრების წილს ხორაკსა და ხილს დააწყობენ. ახლის მკვდრის საფლავებს ნატრობნი და ნაიუსანი ღედა-კანნი ჩამოიტირებენ, საკმეველს ჩაჭყრიან. ამ დროს მამაკანნი კვა-რეულობის მიხედვით იქვე ხილის ხეების ჩრდილში სხედან, ნესკ-საზამთროს მიერთებენ, ღვინო-არაყსა სმენ და მკვდრების ამბავს მოუთხრობენ ერთმანეთს. ქრისტიან ინგოლოების საფლავებს რომ მღვდელი აკურთხებს, ხალხი იქვე ველობზე კვა, ღედაკანნი და მამაკანნი ცალკე-ცალკე ჩამოსხდებიან და „ივეზე მდგომელები“ ხორაკს განსაწილებენ და ჩამოურიგებენ. შექტევა დიდის უიჟინითა და სიცილ-ხუმრობით იცაან, თუმცა უოველ ღვინის დაღვეის დროს „დმერთმა ვტონა“ სსს არ იფიწყებენ.

## ნ. გორი (საიქო).

საიქო. საგვარეულო სამარხავის საპირობა. ცხოვრების წეს-ადა-თები საიქოში (=გორში). „გორში“ მინასულ-მონასულთა ნამბობი. რძის ტბაში ამოსულ ხეზე მცხოვრები ბავშვობა საიქოში. მამალიანების ყოფა საიქოში. იქაური ველები. მკვლართ გაცო-სხლება. მეტამორფოზა. მარვა.

ყოველი გვარი თავის მკვდარს ცალკე საგვარეულოში იმიტომ ჭმარხავს სსსოგადო სსსფსოზე, რომ საიქო თავისებურადა აქვს წარმოდგენილი. იქაური მოსახლენი, როგორც აქ, გორებად (გვარე-ბად) დაუთვლინი არიანო. ყოველი გორი ერთ-ოჯახს წარმოადგენ-

სო. ამიტომაც კაცის შთარსს, უცხო ქვეყანაში გარდაცვალება და და-  
მარხვა ინგილოს დიდ უბედურებად მიაჩნია. უოველ გოკს იქ თავისი  
უფროსი ჭყავს, უოველ ოჯახს ზრეთვე—თავისი. იქ შვედრები სა-  
დიდ-ვანძამზე გვარ-გვარეულად დაღუგდებიან. უველა გვარის წინ სუ-  
ფრანზე ის ჰქლია, რომაც ცოცხლები იხსენიებენ. ის სალხი იქ გა-  
ხარებულა, რომელსაც აქურები არ იფიწებენ, სშირ-ხშირად იგო-  
ნებენ. უბედურად, მოწყენით და ეელ-გადაცდებულად ისინი არიან, რე-  
მელთაც აქური ხათესავები სიღარიბის გამო ვერ იხსენიებენ. ამის-  
თანა კაცი საზოგადო მარაქაში ვერ ერევა. ერთმანეთისთვის ლუკმის  
მიწვდენა და განაწილება იქ არ არის. ქვის უკან განმარტობით ზის  
ამისთანა კაცი, უელი გადაუგდია და ჩივის: მშიერი ვარ, ნათესავებმზ  
არა გამომიგზავნეს რაო (არ მომიხსენიეს). სანოვაკე შვედრების წინ  
თუმცა ბეფრი ჰქლია, მაგრამ ისინი არ შჭამენ, მხოლოდ ჭვრეტით  
(ხილვით) ძღებან და იმით გზას მიდიან.

ინგილონი ამბობენ, რომ საგორეულოს ნანახიც ქნილათ, ე. ი. ს.  
საგვარეულოს მნახველი და დაბრუნებული კაცი უოფილათ. ამგვარ კა-  
ცებს რამდენიმეს ასახელებენ. ქიტანთ წყნცი დიდ ავად კახდაო.  
ჭკუა და გონება ერთხანად დაჭკარგათ. მერე გონს მოფიდა და ასრე  
ილანარაკაო: „გორში წყველ. იქ გორი-შირში ერ დიდ წყალ ეფო.“  
მითხრეს: „გოდმოხტ“. ჩემ ბებრამ (ბებია) კი დამარცა: „წყალ-  
ში ფეჟ არ ჩასტე“. გადაჭტენ, გედველ, გორში შეველ. ნახ, რემ  
სხედან, დიდ მარაქამს. ჩინებიც იხსდნენ. სუფრანზე ამთან რამ  
ეჟო, კაც შირი ვერ მოჭთლუს. დეობენ, ნადრა-ზურნას ჭუკრუნ,  
შუფრობენ...“

ერთს ქალს ვიდუ ელანარაქნა: „იშ ღუნიამო წაჟელო. ეველანი  
ტბილ მსლათ-საუბარში იფენენო. ვნახე შანა, ბებია, ბიძები, ძმები,  
ძმისწულნი, ჩემი ზატარა ძმა შანას გულში ჩაკერა და ეთამაშებოდა.  
უცბად სამხიარულო ნადრა დაუერეს. უვიროდენ: ზატარაძლი მოჭყავ-  
თო. მთელი ხალხი ტავიდა სეირის საუერებლად. მუც წაველ; ვნა-  
ხეო, ტიჭკუებიანთ (გვარია სანგილოში) ქალი მოჭყავთ. მაშინ ჩემმა  
ბებია მითხრა: „შენ რამ გინდა აქ, ჟერ შენ დროჲ არ არის, წამ,  
წამ აქათი? ეელ შკრა; გამმაგდა. იქ ვამ ღამაზა დანატულ სხლებ-  
ათადებ არის, ზჟდ მუღამ ხათებს...“

ამასაც ამბობენ, რომ სამოთხის კარზედ კუპრის ტბა არის, ზედა ხიდაა გადებული, მართლნი მარდად გადიან და სამოთხეში შედიან, ცოდვილნი შიგ ცვივიან და საუკუნო ცეცხლში იტანჯებიან. ცოდვილისა და კეთილის გამოსაცნობად მიჯნაზედ სასწორია გამართული, სამოთხისა და ჯოჯოხეთის ჰატრონი სწანავს. რომელი თვალციც დაიწვეს, ის ჯოჯოხეთში წავს, რომელიც აიწვეს, ის სამოთხეში. მართლებს იქ უორულები აქვთ. იქ მწვანედ ბიბინებს ყანა, იქვე სძლევენ უორები. ვენახები და ხილი ბევრია. ყანა იმ ჰურისა ამოსდით, რომელსაც კარდაცვალების ჟამს თაყვით დაუდგემენ. უორები ისინი არიან, რომელთაც ცოცხლები უკვლენ.

ერთი-ორის წლის ემაწვილს საგუგული არ ერგება. საიქიოს ერთი რძის ტბა არის. იმის ზუაში თეთრად გაფოთილილი ხე დგას. ამ ხეზედ სხედან ეს ნორჩი ბალები, ყიფიყობენ, იცინიან, როცა კი მოჭმივთ, ხე ჩაწევა ტბის ჰირამდე. ემაწვილები დაეწაფებიან, რძით გაძლებიან და ხე ისევ აიშართება. ასე ატარებენ დროს უოველდე. ისინი უცოდონი არიან და სამოთხეში ნეტარებენ\*.

ლეკები იქ ტანტალიკონი (შიშველნი) არიან, რადგან შიშველად იმარებებიან. ერთი ჩვარი წინა სასირცხობზედ უფარიათ, ერთი — უკანა სასირცხობზედ. არც საჭმელი აქვთ, არც სასმელი. დადიან აქეთ-იქით, დატანტალებენ, შიშვილით გული მისდით, მოვლენ ქრისტი-

\*) ამ საიქიოს წარმოდგენას შეადარეთ საზოგადო ქართული:

მიველ და ვნახე სამოთხის სახე,  
ელემსა გარე შემოვუარე:  
ოთხი წყარო დის, ოთხის მხრით მოდის,  
მითი მოირწყვის ყოველი არე.—

სიზმრითა ვნახე ედემი აღმოსავლეთის თავშიო:  
არის მზე, არის მთოვარე, მრვალ ვარსკვლავი ცაშიო.  
მივიღივარ სანუეკარადა წმინდა ედემის ბალშიო;  
მიველ და ხეხილთ გადებხდე: ჩარიგებულა რიგშიო;  
ზოგი მწიფს, ზოგი ყვავილობს, ზოგსა მკუზენი ასხია;  
ერთი რამ კუპრის ტბა არის აქედგან მისავალშია:  
ზედ წვრილი ბეწვის ხიდი ძევს, ვინ გადაზომავს თვალშია!  
მართალნი მარდად გადიან და მკვიდრდებიან ბალშია,  
ცოდვილნი ძირსა ცვივიან, ილუპებიან ტბაშია.



ანებთან უელ-გადაცლებულნი და მათხორბენს, მაგრამ იქ ქონების გა-  
ლება და მიცემა არ არის. ქრისტიანებიც არ აძლევენ. ამიტომაც მჭ-  
მადიანება ქრისტიანებს სსწავგეს ჰმარავენ. თუ შეაძინიეს, გამოეკა-  
ლებიან. სსწავგეს წარომევენ და შორს გასდევნიან.

ცუდი კაცი, ბევრის „ფინთობის“ ჩამდენი შვედარი დასაფლავ-  
ების შემდეგ გახორთაგდება (განსორციელებს, გაცოცხლებს)  
სოფელს და ან გაღორდება, ან გაქაფტრდება (აფთხარს). გაღორება ასე  
მტკიცდება: აღიბათელი მოლა რამისა აზობდა, რომ ერთი ღორი  
მოკვალთ და წინა ფეხის მაჭაზედ ქაღის სალტა ქონდაო. გახორთ-  
ტაგდება სოფელს მხოლოდ ლეკი (მაჭმადიანი) და არა ქრისტიანე-  
სეთი რაიმე სუელირად გადაიქცევა და ტყე-ღრეში გადავარდება, ან  
სოფელში დაეტარება. მუხტარ-აღა გაცოცხლებულიყო, შინ მისუელიყო,  
ცოლს ეცნა და ყვირილი დაეწყო. შეერილაყენს მოლეება და სოფ-  
ელეები და ისევ სასაფლავოზე გაეცილებიანთ და ეთქვათ: „შენ ად-  
გილ ჰეკი, აღარ გამოხეჯე“. ერთი ბილაჯუგელი გაცოცხლებულია.  
მისულა სსწავს, ასულა აფარზედ და რაც ნაძრთმა ყოფილა საკამ-  
ელდგან სულ ძირს ჩაყურია. ჟამათს ესეც სასაფლავოზე გაეცილებია.  
გაცოცხლებული ცოცხალ კაცს არ ერჩის. ჰარკელად რომ გაძევა საფ-  
ლავიდგან, კაცს ჰგავს, მცირე ბაღანი აქვს, შერე კი ბანჯგვლიანი  
განდება და რასე ცხოველს დაეგვანება. რომელ სოფელშიაც კაცი  
გაცოცხლებს, იმ სოფელში ბევრი ხალხი დაინოცება. სოგჯერ კა-  
ცი გაცოცხლებს, მაგრამ სმარიდგან ვერ ამოვა. იმის დასარწმუნე-  
ბლად, რომ კაცი მართლა გაცოცხლებულია, თუ არა, ჟამათი იუიღის  
შე უღაყ ცხენს, წაიყვანს და სამარეზედ გადასტუნებს. თუ შვედარი  
გაცოცხლებულია, ცხენი გადასტომის უმაღლე მოკვდება, თუ არა,  
არა დაუშვდება რა. თუ ცხენი მოკვდა, საფლავს ანდიან და შვედარს  
იქვე ჩაჰკვლენ. მოჭრილი თავი შიგვე არ უნდა დასტოვონ, თორემ  
შვედარის ტანს რომელ ადგილსაც მიეხლება, მიეკვრის და კაცი გა-  
ცოცხლებს. ამიტომაც თავს ამოიღებენ და ცალკე დამარხვენ. გაცო-  
ცხლებული კაცი მარტო ღამ-ღამე ამოღის, ხოლო დღისით ისევ თა-  
ვის საფლავში ძვრებაო.

უკულა ეს აღწერილობა საიქიოსი და რწმენა, რომ გარდაცვალე-  
ბულის სული ჰეხლად იქცევაო, რომ შვედარი რაიმე ცხოველად გა-

სოროტებო, ცხადად მოგვაგონებს სხვა და სხვა უწინდელ ხალხების რწმენას შესახებ მკვლართა სულის შეტამორთობასა და მათსავე ცდას გარდაცვალებულთა გვამები უხრწნელად (მუმიად) შეენახათ, რომ მათ-  
ში სული ისევ დაბრუნებულ იყო თვისის სხვა და სხვა ცხოველად გარ-  
დაქმნის შემდეგ. რომ ქართველებსაც თავდაპირველად ჰქონიათ ასე-  
თივე რწმენა და მკვლართა გვამების უხრწნელად შენახვაც სტოდნიათ,  
ამას ცხად ჰყოფენ არა თუ მარტო ზემო აღნიშნული ზეპარ-ხალხუ-  
რი გადმოცემანი; არამედ თვით ქართულს ენაში დაწინააღმდეგობრივი სიტყუ-  
ბიც: „განსენება“ (გან-სვენება), „გარდაცვალება“ (გარდა-ცვალეუ-  
ბა), „მიძინება“ (მი-ძინება). ეს სიტყუები გვიჩვენებენ, რომ, —თა-  
ნახმად ინგილოების წარმოდგენისა, —მკვდრები საიქიას სანეტარო  
სუნებსა და მიძინებაში არიან და საიქიო ჭირ-ვარამი საიქიო სამარა-  
დისო ნეტარება-განცხრომად გარდასცვლიათ. ასეთი წარმოდგენა ჩვენ-  
შიაც დაბადავდა მკვლართა გვამების შენახვა-დაკრძალვის საჭიროებას,  
და მართლაც ამას ცხად ჰყოფენ სიტყუვა დამარბვა ანუ, უკედ ვთქვათ,  
დამარბვა, რომელიც ნიშნავს შენახვას, დაფარვას, დაკრძალვა-დაცვას.  
„მარვა“ დღესაც ისმის ხალხის ენაში: „საყდარი ღვთის ამარად  
დარხა“\*), „ხერანგის ამარ იყო“, „ცის-მარე დღეს“ და სხ. მის-  
გან წარმებული სიტყუები: მარბვა (мортъ); მარბვა=შენახვა (хоронить=хранить), მარანი (моренъ—ზმნიდამ моренать—და-  
მარხვა), სამარე (სა-მარე), სამარიები (ინგ.)=სამარეები, სამარ-  
ვანი (ინგ.)=სამარვანი. „მარვის“ მიმღობად მიგვანხია თვით  
მკვლართ დაკრძალვის მოსაკონებელი მარული=მარულა. ამავე ძი-  
რის სიტყუვა მალვა და ორთავეს (მარვა-მალვა) მნიშვნელობისა კი ფარ-  
ვა=ფალვა (შენახვა; დაცვა, დაფარვა), რომელსაც უდრის მკვრ.  
ფულუა (მალვა, ფალვა) და მისგან წარმებული ოფულარი.=სა-  
მალვაი, ოფულეი=საფალვაი.

\*) იხ. ვახუშტის გეოგრაფიაში.

## 7. ცრუმორწმუნეობანი.

ცრუმორწმუნეობა. მკითხავები და ავგაროზების დაწერილება. ალი. მაჯლაჯუნა. თელის ხეები. ავი თვალი, შელოცვა და შეკვრა. დაპეჩვა (დაძლევა) სხვა და სხვა ფრინელისა, პირუტყვისა და მნათობისა. მნათობთა მოძრაობაზე დამოკიდებული შედეგები. ყვავილი წმინდაა. შაკიკი.

ამგვარის ცრუმორწმუნეობის ნაშთი საინგლოში ბევრია. თუმცა თანდათან ხალხს ეფექტივე ეს მაგდენად ადრას სწამს. ცრუმორწმუნეობათაკან კადევე უნდა ადვნიშნოთ: მკითხაობა, დუვა, სუდრეობ, ბებრების სამარიები, ალი, მაჯლაჯუნა, დევი (არდევა), თვალის-კვრა, მოჯადოება, შელოცვა და სხ. მაგრამ კადევე ვიძუტრებთ, ეველა ეს ცრუმორწმუნეობანი ისე გუტაცებით არა სჯერათ ინგილოებს, რაგორც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. ჩვენში მაგალითი არ ეოფილა, რომ კუდიანობისათვის ვინმე დაეწვათ, ან წყალში ჩაეგდოთ. დუვა რომ ერთსა სწამს, მუტრეს აინუნშიაც არ მოსდის მისი სიჭკუის მარტე, იღებს და ფხრეწავს. ანადა ვინმე ძრიელ რომ ავად გახდებო, ბებრები დაიჟინებენ სამოლე გამხდარო, ესე იგი მოლის წიგნი (დუვა) უნდა დაეწეროსო. სახლის ზატრანს არა სჯერათ არც მოლისა და არც მისის დუვასი, მაგრამ რომ დაარწმუნოს ეველანი რა სისულელეს ამბობენ, გაჭირებული წავა და მოლას მოიყვანს. მოლამ, რასაკვირველია, ავადმუოფისა არაფერი იცის. ზოგმა მოლამ წიგნი სრულად არ იცის. რომელსამე სკალობელს დაჭბდაჯნის ერთ ფარატინს ქალადღე და, თუ ქრისტიანია ავადმუოფი, ხშირად წვევა-კრულვასაც დაუწერს და მისცემს გლესს, თანაც ეტყვის: ისეთი დუვა დაწერე, რომ ემაწვილი თუ კუდიანს ძრიელ არ შეუხერია, ღმერთია მოწვალე, მალე მორჩებაო. აიღებს თავის სასუიდელს ერთ-ორ აბახს, ან მანათს და წავა.

მაგდენად არც მკითხავეებისა სწამთ-რა. მკითხაობა ერთი რამ განსაზღვრული ხელობა არ არის, მკითხავი კადეც მკითხაობს, ეოველგვარ სხვა საქმესაც აკუთებს. აქურ მკითხავეს იმის მესამედი გავლესაც არა აქვთ ხალხზედ, რამდენიც ქალაქში კადელ ნინოს ჭქონდა. განთქმული მკითხავი კაკში აქო ქ. მარანმა, კულ-კეთილი, ალაღ-

მართალო და სათნოთნო ადამიანი. ხალხს ჯერ გამოათქმევენება. გო-  
ველივეს: ან რას დაჭმირებთან ღმერთს, ან რა აღუთქვამთ სუადრე-  
ბისთვის. ან რა მიზეზით და როგორ ავად გამხდარა ავადმყოფი, და  
მერე ისე დასდებდა თავის განაჩენს. სშირი მისი სიტყვა იყო: სადა  
მთოს დაჭმირებისართ, არ დაგოკლავთ. საკითხავთა ორ შურსა და  
ერთს სანთელს, ერთ ნაკლეჯ ამირიკოს და ხან კი ერთ ნაკლეჯ დომ-  
ფალსაც მიუტანდნენ. უველასე დიდი მკითხავი (ე. ი. განთქმული)  
ყოფილა ნახლე-ხანუმა სარდარაშვილი: მკითხავებს უფრო დიდი მნი-  
შენელთა იმიტომ ჰქონიათ, რომ იგინი წმინდად იქცეოდნენ. ცუდ  
სიტყვას არ იტეოდნენ, ცუდ საქმეს არ ჩადენდნენ. დაქვრივების  
შემდეგ ადარ თხოვდებოდნენ. იგინი უფრო მოხუცებული დედაბები  
იყვნენ. ამიტომაც ინგოლოებს ბებერ დედაკაცებისა დიდი ხათრი ჰქონ-  
დათ და აქვთ კიდევ.

აღსა და მაჟალაჯუნასხედ ისეთივე მოთხრობებია აქ, როგორც  
დანარჩენს საქართველოში. ალი გრძელ-თმისანი, ფრიად კონტა ქა-  
ლიაო, მინდორსა და ველებში, წყლის ჰირებში იმყოფებაო. ცხენსედ  
ჯდომა და ჭენება უეგარსო. შეჯდება ცხენსედ და ფაფარს ისე აუწე-  
წავს, რომ კაცი ვეღარაფრით დაუგარცხნის. ცხენსედ ზირ-უკუდმა  
ჯდებაო. ცხენსედ ალი ბეგრს უნახავსო. ალი თუ როგორმე კაცმა  
დაიჭირა და ერთი თმა გამოაკლიჯა, თავის სიცოცხლეში მისი ეჭვ  
იქნებაო და, რასაც მოისურვებს, აუსრულებსო. მაჟალაჯუნას კაცის სა-  
ხე აქვსო. ვინც ზირ-აღმა დაწვება, იმას ისე დააწვება, რომ ეფელთ  
მისი ასო კაცის ტანის ნაწილებს მოეწიოსო. ამხიარად დააწვება, სულის  
შეუკრებებს და დაარჩობსო. მაჟალაჯუნასაც და აღსაც ღვთისა ემი-  
ნიანთ, და კაცმა წმიდა გიორგი, ან ღმერთი უნდა ახსენოს და მანვე  
მამისათვე გადაიკრებაო.

გზის ზირას, სადმე განმარტობით თელის დიდი ხეებია, ეს  
ხეები საღმთოდ მიანიათ და ჰგონიათ, რომ იგი ჰგურნებს სხვა და  
სხვა ავადმყოფობასაო. მაგალითად, კბილის ტკივილს და სხვ. ამი-  
ტომ გზად გავლის დროს მგზავრი რამე ნიშნის მიაკრავს ამ ხეს,  
ან კალთიდგან მოჰხევეს კარკატანს (ჩვარს) და ზედ მიაკრავს. ან ჩხირს  
დაურჭობს ხის ქერქში, ქვას დაჰკიდებს და სხვ. საქონლის ჭირის  
დროს ზიორტუვის ნახირს ფორზე (ხის სუადარზე) წასხამენ ხოლმე.

იმ სკეპის ქვეშ ვინმე მაჭმადიანი წმინდანი მარხია, ან-და იგი ადგილი ნაკელესიარია. თირსუ საქონელს მარადს მოალოკებენ; შესწორავად ერთ-კვერცხიანი ფლავი მიაქვით. მაჭმადიანები კი საღმთოსაც ჰკვლენ.

ზოგი ისეთი ადამიანია, რომელმაც თუ ვის თვალითა და გულისით შექცედა სხვის უფაუს (შესაბამ ჰარეტუეს), სხვის ცხენსა და შვილსაც, თოლ მოსტებუ (თვალი ეცემა). რომ თვალის ცემა აინცილონ, ძაღლის განავალს ჰირეტუეს წაუსმენ, ძაღლის ან ცხენის თავის ძვლებს სახლის თავებზედა და ეზოს ღობეებზე სამოცმენ, ან ღვინჭილასა და თვალის მზივს დაჭკიდებენ.

მელოცვა და შეკვრა შეიძლება ნეფესი, ჰატარძლის შეილიერებისა და სხ. და სხ. ნეფეს ნაბდის ბეწვებს მოუგრეხენ ჭვარის წერის დროს, ან უხანგს გადაუტრიალებენ. ამით შეიკვრის ნეფის კაცობა და ჰატარძლის შეილიერება. შეკრულის გასახსნელად მოლას იწვევენ, მაგრამ ამოდ: ზოგნი ისე იხიციებიან, რომ კაცობა არ ეხსნებთ! შელოცვა და შეკვრა ცოცხლის მძივითაც იციან. ეს მძივა მრგვალი და კრძელია. ერთი ზირი მწვანე აქვს და ერთი წითელი. მტერი მიიტანს ვისიმე მამულში, გარს შემოატრიალებს და ისურვებს, რომ მამულის ჰატრონი ვერ აშენდეს, გაოხრდეს და გაფრანდესო. ამის შემდეგ იქვე მამულში დაჭმარხავს. შეკრულის კაცის მამულში არაფერი აშენდება, აშენებულაც გაოხრდებაო. ზარკის ჭია, საქონელი, შვილები დაეხიციება. ჭიას, ავადმყოფს, მელოცინეს და სხ. ვნებს აღმასი, თვალი და ოქრო. ამიტომ ჭიისა და კაცის ავადმყოფობის დროს ამგვარ ნივთებით უცხო კაცს სახლში არ შეუშვებენ. თუ ვინიციობაა შევიდა, მის ნივთებზე წყალს გადაავლებენ და ავადმყოფს დააღვინებენ, ხოლო ჭიას კი წყალს აპყურებენ. მელოცისისთან შეტანილი ძვირფასი თვალი, აღმასი, ოქრო და სხ. ჩივილს ჰკლავსო. თუ თითონ მელოცინეს აქვს იგივე თვლები და ოქრო, გარედამ შემოტანილი ვეღარას დაავლებსო.

გასაფხულზე სისხრეთიღვან გადმოფრენილ ფრინველებისა და ახლად დაზარებულ ჰირეტუეების დაკეჩვა (დააღვვა), აგრეთვე ღვეკობისა ამგვარად იციან.

კუჭკუა (ბუტკული) რომ დაჭკენო, უნაწილო არ უნდა იყო, ერ-

თი ლექსა ზური მანც უნდა ინაწილო. მის „კუჭკუს“ ჰირველად რომ გაიგებ, უნდა მიასხო: „კუჭკუ, დაგებნ!“

მერცხალს დასძლევე, თუ ღვინო შეგისვამ, ან მხარი და მხრის წინილი გიგემნია დაძლევის დღეს.

წყალ-წყალის დასაძლევედ ორი კაცი ერთად უნდა იყოს. თუ ორი წყალ-წყალაა და ერთი კაცი, მაშინ კაცი დაკეჩილია (დაძლეულია).

ყაბ-ყაბის დასაძლევედ ჰირში წყალი უნდა გამოადურდნო (გამოივლო).

კურკურაჲ (გვრიტი, ღობა) დაძლევე, თუ ფეტვის ამოსული ჭკვილი გინახავს.

თუთა-ბალოის (ბიჭო-გოგია) დაძლევეს ახალის ეგელით უნდა. თუთა-ბალოის ჰატარაძლი ვოფილა. ერთხელ ტანი უბანია. ამ დროს მამამთილი მოულოდნელად და უცაბედად ჰატარაძლის საბანებელთან მისწრებას. ჰატარაძლს შერცხვენია და ღვთისთვის უთხოვანია: დმურ-თო, მამამთილს როგორღა ვეჩვენო, ფრინველად მანც მატყეო. დმურთსაც შეუსმენია და თუთა-ბალოიდ უძევია. ამიტომაც თუთა-ბალოის უვითელი ბუმბული ასხიაო, რადგან ჰატარაძლები უვითელ ზურანგს იტყენო. თუთა-ბალოის იმიტომ ქვებან, რომ, როდესაც მოფრინდება, იასხის: თუთა-ბალო, მაღწიო! (მოიწიე, დაშწიფდი).

პოპოპის დასაძლევედ თავის დაბახას საჭირო. თუ თავ-დაუბახავ დაუვარცხნელი ჭნახე, დაძლეული ხარ. ეს ჰატარაძლი ვოფილა და ბანების დროს მაზლს მიუსწვრია. ჰატარაძლს ფრინველობა უთხოვანია და ჭობთანად ქცეულა. საწყალს თავშივე სავარცხელიც ისევე დარჩენია.

ქორტის დასაძლევედ რაზუდმე ხელით უნდა ჩამოკვიდო. თუ ფეხ-ზე დასდები, ფეხის საცმელი მალე გაგიცვდება.

ლეკის დასაძლევედ ადგომის სადამოს დორის ხორცი უნდა დაჭდეჭა და გააფურთხო. დორის ხორც დაუდეჭავი რომ ლექსა განახოს, დაძლეული ხარ. ხორცის დამდეჭავები ლექს რომ ჰირველად დაინახვენ, მიასხებენ: „ლეკო, დაგებნ!“

ტანას (ხბოს), ჭუჭულს (წიწილა), კუცს (კვიცი) და ფაქს ზურით დასძლევე.

ბუნების მოვლენათა დაძლევე:

გურგურის (ქუჩაღის) ხმას ზიარველად რომ გაიგებ, უნდა ცაჭ-  
გორდე.

პელოვას (ეფეას) რომ დაინახავ, რკინას უნდა გბილები დაადგა.

„თორემ (მთვარე) დანახვაში“ თეხზე უნდა წამოდგე და მოუწრუ-  
წუნო (სამ გზის).

მთვარეს დატერაში (მთვარე რომ დაბნელებას) თოფების სრო-  
ლას იწეებენ. მთვარე გქლამაშას შეუპურიას და თოფებით აშინებენ,  
რომ მანათობელი ქვეყნისა იხსნას იმის ბირიღამ.

მიწი-დანზრევაში (მიწის ძვრა) იტყვიან, კარგი მოსაგალი არ  
იქნებაო, ჭირი და რძი ატყდებაო.

მასკულაა ხუშუარდნაში (ვარსკვლავი რომ მოსწყდება) აგრეთვე  
რძის, ქვეყნის უბედურებას იტყვიან. ხანდახან ვარსკვლავი ერთის  
მხრიდან მოსწყდება და მეორე მხრისკენ გადაივლის. ამხელ იტ-  
ყვიან: მავან საუდრიდამ მავანისაკენ ანგელაზი გადაფრინდაო.

ყოფილაჲ (უვაილი) და წითელაჲ წმინდაჲ და წმინდად შენახვა  
(მოელა) უნდა. უვაილი თავისითაც ჩნდება და ამოტრიალავ (აღრთავ).  
უვაილი ან წითელა რომ შემთავ სახელში, ხონისზე დაწყობენ წი-  
თელ ღვავებს, წითელ კვერცხებს და ერთ ჯამ ბაჭმას ანუ თაულს,  
კორთში მადლა ხონისს დასდებენ და წითელა-უვაილის გასვლამდის  
იქ დასწარჩუნებენ. ამას იმიტომ სწადიან, რომ წითელის, თუ უვაი-  
ლის ღელა ხონისში დაიბუდებსო და ავადყოფს არ შეაწუხებსო. ავად-  
ყოფობას რომ გადაივლას — მორჩება, ხონისს ჩამოიღებენ, ცხახელ  
გაიღებენ და დასდებენ. გამგელელ-გამომვლელი ძორაგს წაიღებს, ხონ-  
ისს კი ისევ შინ დააბრუნებენ. უვაილი და წითელა არ უნდა გააჭაფ-  
რონ. გაჭაფრება კი შეიძლება სხვა და სხვა ნაირად: ქვაბი თუ ადუ-  
დეს შინ სახელში, ან ადუღებულა ქვაბი გადაიფანეს, ქათამი დაჭკლეს,  
ხორცეული მოჭხარშეს, — უვალა ამით უვაილი და წითელა გაჭაფრ-  
დება. ამას გარდა, ცუდი სიტუა: უბედობაც უვაფრება, აბრახებს.  
ტკბილი სიტუა-შასუსი უნდა იყოს სახელში, ხონგურას დაკვრა და  
სხვ. ავადყოფს კარგად უნდა მოუარონ, არ შეადიონ, ატამონ: ქინ-  
ძინი შეტამანდი, ფლავის წვენი, ღვინო არ დადიონ, ხორცეული არ  
ჭამონ, არც ფლავი. უნდა სვას ცხენის რსე, აგრეთვე ძროხისა და  
ვირისა.

საკეცი-ქარ (შაკიკი). შაკიკი კაცს თავში უჩნდება. თავის ვრ-  
თი მსარე ასტკივა ხოლმე. ეს ტკივილი გადაუვა, თუ შეულოცესო.  
გოგრის თასში ნაცარს ჩაჭყრან, ზედ ამირიჭონ დაათარებენ და შე-  
ულოცებენ:

ალი, ალი,	ალო, ალო,
სათარ ალი!	სათარ ალო!
გეთ დალა დეგ.	წადი მთას ეცი,
ჩოულუნა დეგ,	ქარ-ტეხილს ეცი,
ჩობანა დეგ,	მწყემსს ეცი,
ჩოლინა დეგ!	მინდორს ეცი!

კიდევ აღსანიშნავია ინგილოების მოწიწება და შიში ძველ გა-  
დაშენებულ საყდრების ეზოში დაშთენილ წმ. ხეების წინაშე: „ერ  
წვირ რუმ მოვჭრათ, გოგაწყურებავ“.

### ბ. დღესობები და გაურა.

1. ახალ წელი შიიწურა ძველი წელიწადი. მზე ჩასვება.  
შეიბნდა. ინგილოების სოფლებში ასტყდა თოფის სროლა, ზმურთ-  
ბა, ძაღლების ყეფა. მთელი სოფელი ხმად გადატყდა. რა ამბავია? ნუ  
თუ დეკის შემოსევამა და სისხლის ღვრამ ასტყვა ესრეთი დრიანტე-  
ლი, ტექა-ქუხილი?.. არა, არა, ინგილონი არც მტერს შეუშინებია  
და არც სისხლის ღვრას! ინგილონი ეგებებიან ახალს წელს.

\* \* \*

შუა ღამეა. ეოველივე მიწენარდა. აღარც თოფის კრიალი ის-  
მის, აღარც ზმურობა. მხოლოდ ხანდისხან კანტი-კუნტად ჭეუვის  
გლეხის ერთგული დარაჯი და ეივიან სოფლის მამლები. შრომის  
შვილნი მისტკიმიან ტკბილს ძილს.

არა სძინავთ სხლის დედაბერთ და რჯახის შეთაურთ.

დედაბერი თითის-ტარზე განქარებით ართავს ბამბის ძიფს. სა-  
ხლის შეთაური ელანარაკება დედაბერს და ართობს ტკბილი სიტყუ-  
ბით. აი მორჩა დედაბერი თავის საქმეს. ადგენს ორთავენი და ჩუ-  
მაღ მივიდნენ სამძინარე ემწვილელებთან, მკლავები გამოუღეს საბნე-  
ბოღამ და მკვებზე შემოუტარეს დართული ძიფი, კავკინძეს და მო-



შორდნენ. ძაფი შემთხვევით დედაბოძისა, თუნგისა და ყოველსავე სხვა ჭურჭელსა.

ეს ძაფი მოგვაცანებს რგოლსა, რომელიც ძველადგანვე ცნობილია, როგორც სიმბოლო ღვთის დაუსაბამობისა და ერთ-ანსებისა. ამ ჩვეულებით ინგილო გამოსთქვამს თავის სურვილს, რომ ერთ-ანსა და დაუსაბამო ღმერთმა ოჯახის ყოველნი წევრნი და ყოველივე მათი ქონება ახალ წელიწადს შეინახოს მთლიანად, დაუზიანებლად და დაურღვევლად. ამ ჩვეულებას ინგილონი თათრობაშიაც მტკიცედ ასრულებდნენ. ძაფის რგოლს მაჟიდან სამ ღვთის ვერ შეინსნიდნენ.

\* \* \*

გატუდა დამე. აკურ მამლები შესამედ აყივდნენ. ცისკარმა აღმოსავლეთი წითლად შეღება. სახლის უფალთ დაადვიძეს ოჯახის წევრნი. ყველას უხარინ, უკვირს და ეკითხება თავის თავს: ისრე ჩემად ბებრამ (დიდედამ) როგორ შემება მაჯახე ძაფი, რომ ვერ გავიტოვო. იბანენ ხელ-ზირს, იცმენ ახალს წინდებს, ქალამებს, ახალუხს და სხ. კერახე ცუცხლს ღუდღუდი გააქვს. ერთმანეთს ემუსაიფებინ, იცინინ... უცბად გარედამ ვიდაცამ კარები დააკუნს: კაკ-კუკ, კაკ-კუკ! მიესკე ყველანი სმენად გარდაიქცნენ.

— კარ გამიღით?

— რაჲ მოგაქა?— მიძახებს დისასლისი.

— წუალი, წუალობა.

— რაჲ მოგაქა?

— წუალი, წუალობა.

— რაჲ მოგაქა?

— წუალი, წუალობა.

— შომოჲ (შემო), კოლი (კვალი) შენი— კოლი ანგელოზისა.

კარს გაუღებენ და შემოვა შეკველე. თვით სახლის უფროსს უეისრია შეკველობა. როდესაც სახლში ევლამ გაიღვიძა და ერთი აღიაქთი შეუდგათ, უფროსი ადგა და გავიდა სახლიდამ, თან წაიღო თიხის ჩაფი და აბოთ საკენვი. უფროსი მივიდა მდინარე წუალ-თან, ხელ-ზირი დაიბანა, ღმერთი ანსუნა, ჩაფი გაავსო წყლით, საპენიანი თვალი აბვისა წუალში ამოსვულა, თხილის კინკილოანი

(ევაზილიანი) ტოტები შემამტვრია, აბვის ცარიელ თვალში ჩაწყო და დაბრუნდა შინ.

სახლში შესვლისავე უმაღ საფი დასდო კორთეში (ჭურჭლით სწუთი თარო), თხილის ტოტები საკანზე\*) დაწყო და საკენკი გი გადაბნივ-გადათესა სახლის ეველა კუთხე-კუნჭულში და ამასთანავე რამდენჯერმე წარმოსთქვა: „ღმერთო, ქურმუხის სუადარო, ნუ მოგვაგლებ ზურსა და სარჩო-საბადგელს“.

საკენკის „დათესვის“ შემდეგ ეველანი მოუსხდებიან კერას. სახლის-დიდი (უფალი) ჭერიდამ ჩამოიდებს წინა დღიივე დამზადებულს ერთ კონა ლარტას (ნაკაფ კაგლის ტოტებს), ეველას თითო-თითო ტოტს ჩამოურბიგებს, ერთსაც თვითონ აიღებს და კერას შეუტყუალაშუენებს. ლარტის ნორჩი კანი სიციხისაგან ერთბაშად დასკდება და ტკაცი-ტკუცს დაიწყებს. სახლის უფალი გი ამ დროს შესთხოვს ღმერთსა: „ღმერთო, გავამრავლე ეველასერთ, გავვაბეღნიერე“. დანარჩენი სახლის წევრნი აგრეთვე „დაატყუალაშუენებენ“ თავის ღერ ლარტას. ერთ ან ორ ლარტას (ტოტს) ისევ ჭურში შესდებენ... ამასობაში კიდევ გათენდება.

ასლა დაამზადებენ ხინჩას: დაწყოებენ ზედ ზურებს, ლავაშს, ჭანდგემს ჭამით თაფლს, ერბოს, არაწით ღვინოს, ბაშბის წითელს და თეთრს ძაფებსა და სახლის-დიდაან (უფალთან) ერთად წაუღენ გენახის საკვლეკვად. შივლენ და ერთ კარგ მოსავლის მომცემ ვაზთან დადგებიან. სახლის უფალი ჭერ გასხლავს ვაზს, მერმე ააგებს, ჭიგოების ჩარჭმის დროს ნიადაგს ღვინით მოაღებობენ; იგივე უფროსი ვაზის ძირში დაჭკლავს წითელ ფერთოსან მამალს, წითელ ფრთებს მოჭკლეკვას და ბაშბის ძაფით ამ ფრთებს ჭიგოსა და ვაზზედ მიაკრავს და თანაც იტყვის: „ღმერთო, ქურმუხის სუადარო, შენ ნუ მოგვაგლებ ქვეგრებში წითელს ღვინოს“. თითო ლუგმა ზურს ამოაწობენ თაფლსა და ერბოში, შემსჭამენ, ცოტა ღვინოს მოსვამენ და შინ დაბრუნდებიან...

ბოთელს ვეველკენ ემაწვილები. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ წინა დღესვე გამთავცხობენ ხოლმე საკვლეკვ ზურებს: სახლის უფლისა-

\*) ხისაგან ვაკეთებული დიდი ბეღელი, რომელშიაც ინახვენ ყველაფერსა და ხან ხობბალსაც და სდგამენ შიგ სახლშივე.

თვის — წაღდა, ვაჟთათვის — დუღებს (ხმგაღი), ქალებისათვის — ჯარებს, შესაბამ ზირუტუფთათვის კოკოებს (კვერებს), აგრეთვე ერთ კოკოსაც სირთათვის. ვენახიდან რომ დაბრუნდებიან, უკვლა თავის ჰურს აიღებს და დანაყრდება. სირთა კვერს შეკვდებიან ეინახედ (ბალკონი სხლის მეორე სართულისა) და ზირუტუფებისას კი, როგორც ვთქვით, ემაწვილები მიიტანენ ბოსელში, უკვლა ზირუტუფს თავთათვის კვერს ჯერ რქებზე წამოაღმენ და შერმე გასტეხენ და შეაჭმევენ, თანაც მიეაღერებიან: „იტაცხლე დიხასხა“.

\*  
\*  
\*

ახალწლის დღეს ინგილოებმა სადილი იციან ადრე. უფრო ქათმის წვეინსა და ილაფს აკეთებენ. სადილად მოქლიან კარეშე შეკვლეუსაც, რომელიც უნდა იყოს ვინმე ბედისაგან დაუხაგრაფი, ან ნათესავი, ან ნაცნობი. მინამ შეკვლე არ უწვევთ, სხვა ვისმეს არ მიადებენ სასლში. შეკვლე რაწაშს მოვა, ჩამოიდებს ქერიდგან ზემორე სსენებულს ღარტას, შეუტყელაშუნებს ცეცხლში და ოჯახისათვის ისურვებს კარგ მოსავლას, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

ზატარა სადილობისას (საუზმის დროს) გაიმართება ჰურობა, ლხინი და სიმღერა მღერაის თათრულად. ქართული სიმღერა, როგორც ვთქვით, მაჰმადიანთა მთელიობის დროს სრულიად აღმოფხვრილა. აქ გავრცელებულია უფრო ქოროდლის სიმღერები, მღერაის ოთხ-სუთი სიმინ ჩონგურზედ.

2. დიდ საყდართ გასვლა. უდიდესი დღესასწაული ქურმუხის საყდრის დღეობაა — 10 გიორგობისთვე. თვითონ ქურმუხის საყდარიც, როგორც ზემო ითქვა, წმ. გიორგის საყდარია. მას ისენიებს ბატონიშვილი თეიმურაზი ჰინ წმ. გიორგთა შორის. დღეობისთვის დადის ამბით ემზადებიან. უკვლა თავის საღმთო მოვალეობად სთვლის, არ გამოაკლდეს დღეობას; არ იქნება არ დაუნთოს ქვეყნის ზატონის წმ. გიორგის სანთელი, არ დაუკლას საღმთო. უკვლა იქით მიეშურება ურმით, ცხენებით, მთელის სასლობით, საღმთობით. იურება ჯარი ხალხი უკვლა სოფლებიდან. საყდარი ფერდობის წვერზეა. შარა გზადამ, საცა ფართო ველობაა, საყდრამდის გიწრო ბილიკია, რომელიც ამ ბოლომდ დროს საკმაოდ გააგანბერეს

ოთარაშვილებმა იასემ და მისმა ძმა სეიტალიამ. ურშებს ველობზე შთის ძირში სტოვებენ, თვითონ ადიან მალლა საღმთობით, მოწიწებით ღოცულობენ, საღმთობებს საუდრის წინ ქორიონს უტრუსვენ (მღვდელი ღოცავს და ანთებულ სანთლით უტრუსავს), მერე ბრუნდებიან და ძირს ბინახე (ველობზე) საღმთობებს ჰკლავენ, იქვე ქურმუხიდან ჩამონადენს ანკარა ხეში რეცხვენ, მის წელითვე ხარშვენ. მალე იმართება დიდებული შექცევა, ჭამა-სმა, მხიარულება, ერთერთის მიწვევა-მოწვევა, დაღოცვა, დაგერა, მღერა. დალაგებულ მლოცავთა ჭკერტა სხამურია, დიდებული: ურშები წება-წებად, საღბი გროვა-გროვად, ჯგუყვად. იქ ზატარძლები, აქ გასათხოვარი ქალები, ახალგაზდა ჭაბუკნი, მოხუცნი, ხარ-კაშენ-ცხენები და სხ. ისმის საერთო გუგუნი, ზრიალი. ბოლოს იმართება ცხენთა ჭენება, თქრალი და ხაღბიცი იფანტება, შიდი-შოდის ააგ-თავიანთს. ამას ჰქვიან დიდ საყდარზე გასწვლა.

3. ალდგომა. ამ დღესწაულისათვის ინგილოები ვნების ზარასკვიდამვე ეშხადებიან. ამ დღეს წითელ კვერცხებით და სამარხო სსჭმელ-სასმელით (მხოლოდ მამაკაცები) გადიან სსსაფლასზე, ასწორებენ ახლად განსვენებულთა საფლავებს; ერთად, მშრად იხსენიებენ მკვდრების სუფს, მერე ბურთაობენ და საღამოს ჟამს შინ ბრუნდებიან. შეღებულ კვერცხებს ინახვენ ადღგომისთვის. ადღგომის დღეს, მამლის ეიფილისს, შთელი სსსლობა იღვიძებს და ზირს იხსნილებს ღორის ხორციით. გაღვსვენ ერთს ნამცეცს ღორის ხორცს, გამოსტურთხებენ და თასაც იტყვიან უკვე ცნობილს: „ლეკო, დატეკ!“ ამ სიტყვებს ადღგომის შემდეგ იმეორებენ მაშინაც, როდესაც ზირველად ღაინახვენ ლეკსა ანუ მსჭმადიანს საზოგადოდ.

დილით უკვლა სსხლის-წუღნი იმოსებიან ახალ ტანისამოსით; თავს ერთად იყრიან და სსხლის აღმოსაფლეთ გუთხეში ანთებენ სსსთლებს. იქვე დგან დიდი ხონჩა, რომელზედაც აწვეია სსვა და სსვა სსსსნილო სსჭმელები. იქ შევედრებიან ღმერთსა და ქურმუხის საუდარს ამ სიტყვებით: „ღმერთო და ქურმუხის საუდარო, გახსნილებს (ადღგომის) მუდამ დოგასწარ“ (დაგვასწარიო).

შემდეგ ზირის გახსნილების, ჰკლავენ „სამხტოს“: ეჩხს, ბატყანს, ან მამალ-ვარის (წერილ-ოჯიხა მამლებსა და სადედე ჟა-

რიებს). მერე სხვა და სხვა საჭმელებს დააწყებენ ხონისზე და მი-  
დინ საგვარეულო საუბრებზე სალაოცადა. ეს საუბრები მალე სეგე-  
ბის ჯგუფია. ხშირად აქ სრულიად აღარც კი ეტყობა კვალი ძველის  
შენობისა. ხეების ქვეშ სადმე დევს ქვა (ფშავ-ხევსურების ნიშის  
მგზავსი); მასე დასაბუთებენ სანთლებს, აკმევენ საკმეველს და შეე-  
ვედრებიან ღმერთს მხურვალედ. შემდეგ ამ საუბრებს დაუკლავენ სამ-  
ხთაებს, ერთად ისამხრებენ ნათესავები (გვარეულობა) და თავიანთ-  
სახლებში წავლენ. სადილობის შემდეგ ნათესავები და ნაცნობები ერთ-  
მანეთს უფლოცავენ აღდგომას. „ქრისტი აღდგა! — ჭეშმარიტად!“ აქ  
არ იტან, მის მკვიერ ერთურთს ეგებებიან ამ სიტყვებით:

— მოგილოცავ გახსნილებს!

— მეც შენ მოგილოცავ. ღმერთმა მრავალ გახსნილებას დაგა-  
სწროს, ცოლ-შულ გიცოცხლას.

1849 წლიდან ქრისტიანობა რომ მიიღეს ინგილოებმა, მანტ-  
თავისი აღდგომის დღესასწაულობის წესები არ დაფიქვეს. ეხლაც  
მსჭამდინად დაშენილი ინგილოები შიგა-და-შიგ ასრულებენ ხსენე-  
ბულ წესებს. ქრისტიანი ინგილოები, თუმცა ეკლესიაში სალაოცადა  
მეჭიდად დაიარებიან, მაგრამ ძველ წესებსაც წმინდად ასრულებენ.

4. გაყრა. წინაღ, როგორც უკვე ვთქვით, დიდ-დიდი ოჯა-  
ხები იყოფნენ, ხოლო ბოლო დროს გაურა განშორდა, დიდი ოჯახე-  
ბი დაქუცმაცდა, დაწვრილდა. წინაღ როგორ შეიძლება, რომ შვი-  
ლი მამის სიტყვებზე იყვიროს, მაგრამ ეხლა ამის მკალითუ-  
ბი მრავალია.

გაურა-განწილების მსურველი იწვევს სოფელში ჰატონსებით-  
წარჩინებულ კაცებს, ერთს, ორს ან სამს. ეს კაცები ყოველივეს უწი-  
ლადებენ, რაც იმას ერგება. ზური და ღვინო სულზედ იყოფება. თუ  
რომელიმე დედაკაცი ორსულად არის, იმას ორი წილი ერგება. სა-  
ქონელი, ჭურჭელი, მამული მასზედ იყოფება. თუ სახლში ერთ მძინ-  
წულს ქალი შეადგენს, იმას ფულს გაულებენ, ფულით დაკმაყოფი-  
ლებენ. უძრავი კი წილი არ ერგება. აგრეთვე ქვრივსაც ფულს  
აძლევენ. დასაქორწინებულ ანუ უცოლო მამს, გარდა წილისა, 200—300  
მანათი „საქორწინო“ უნდა გაუღოს. დედ-მამას უძრავი წილი არ

გაუღებენ, ისინი რომელსაჲმე შვიდთჳს უნდა დასხადდნენ. დიდი სახელი უმცროსის ძმისა. სხვა ძმებისათვის კი საერთოდ უნდა ააძინონ სახელი, ან გაურის დროს ცაღვე თჳსი გაუღონ. საწოლი არ იყოფება. ყველა ძმის ცოლის შოტანილი ან გაკეთებული ფართალი (საწოლი) არის საკუთრება იმისი. თუ რომელისაჲმე ძმის ცოლს ჰქუვანდა საკუთარი ძროხა ან ფურ-კამეჩი, გასესხებული თუელი და სხ., ისიც მისაა. არ გაიყოფება. დედ-მამის წილი ჴურჴელი, მათი საწველი, ძარაღი და სხ. სიკვდილის დღეს რჩებენ იმ ძმას, რომელმაც დამარხა იგი.

VI

ინგილოური ზღაპრები და თქმულობანი

(ზღვი ინგილობრის კილოზე. ამ და წინა (მე-V-ე) თავის ჩაწერვაში გვშეულოდნენ განსუ. ვაცო ოთარა შეილოტ თოხანი ჯანა შეილისა).

I. კოსალა და შელადა

კოსალას მადალ ხეზე ერ<sup>1)</sup> ბუდეა გაუკეთები<sup>2)</sup> (=გოუკეთები), შიგ სამ კერცს დაუდები<sup>3)</sup>, სამ ბაკალაა გომოქუთი<sup>4)</sup>.

კოსალას ჰუთქერი (=ჰუთქერი): გაჭნდი, დავატრენ, გომხარებაჲ. ამაჲ (=მაგრამ) იმიბუეთ (=იმისთუნ) სისარულ არ დაქუთულ ეოფილ.

ერ შელას კოსალაა ბუდეა ხეზე დაუნახი (=დოუნახი) ხი ზირში მოსულ, კოსალაბუეთ დაუნახნი (=დოუნახნი).

— კოსალა, აჲ კოსალა?

— რაღსა!<sup>5)</sup>

— ერ ბაკალაა მაჲ?

— რაბუეთ (=რაღსთუნ) ჰუმ მოგცე, არ მოგცემ!

— მაჲ არ მაშცემ?

— არ!

— მაჲ კაღს<sup>6)</sup>, შენ არ იცი, შე ცულ მაქ, ეთო მაქ, ცუნცურიჲ მაქ, წაღდიც მაქ; ხის შიტოებსაც გადმოუკაფაჲ, ხესაც მოგ-

<sup>1)</sup> ერთი. <sup>2)</sup> გაუკეთებია. <sup>3)</sup> დაუდუია. <sup>4)</sup> გამოუყვანი. <sup>5)</sup> (=ხევს.: რაღსა (=რა არს?). <sup>6)</sup> =ხევს.: კაღს (=კაღ არს, კარგია).

ჭრი, სი ზუურკსაც მოფთხრი, უმუაგდებ, შენც შეგვამ, შენ შუ-  
ლებსაც!

იემ სიტყეზე კოსალაჲ დიად დაღონებულ, დანავლდინებულ,  
დიად ჭეწუნნი. რაჲღა ჭუმ<sup>1)</sup> ექნა. აჲდი, ერ ბაკალაჲ მელაჲბე (=მე-  
ლაჲსთუნ) ჩომოჲგლი.

მელაჲ მუცლი ტკივილიც ექს ეოფილ. დოუგლი (=დაუგლი)  
ბაკალიბეჲ ებაჲ, აჲუონი, წაჲუონი ბრულეიში, შეჲჭამი, მემდან კიდემ  
მოსულ, აჲმ სიტყეშითაჲ დოჲზახნი, მოჲტუჲები, მეორე (=მეჲრე).  
ბაკალაჲც გომოურთომ, წაჲუონი; ჭეჭამი, მემდან<sup>2)</sup> მესამე ბაკალი-  
ბეჲთან (ბაკლისთუნ) დაბრუნებულ, კიდემ კოსალაჲ მოტუჲებოჲ ნდო-  
ში. უჲკო კოსალაჲ ეხლა კი თაჲში ჩავარდნილ, ჭკოზე მოსულ,  
ზეჲთი მელაჲბე ჩომოჲზახნი.

— ტუჲესარ, მელა! შუელს კი არ, ქუვასაც არ მოგცემ. აჲსიც  
გეეოფ, რუმ მამატუჲე, ოორ შუელ წამართ, წაჲუონ ბრულეიში, გო-  
მოჭხარ, შემიჭამ (აღლუჲ იქნეს შენ ნაჭამ, ხაშკალამ იქნეს, ზმრად,  
შხამად გეჭხეს!) შენ არც ცულ გაქ, არც ეჩოჲ გაქ, არც წაღდ  
გაქ, არც სატეს გაქ, არც ჩორე გაქ, არაჲფერიც არ გაქ. ვერც ხეს  
მოშჭრი, ვერც დაჭკაჲფე. წაჲ, დაჲკარგ!

— შენ მინ<sup>3)</sup> გითხრა, მე არაჲფერ არ მაქაჲ? არც ცულ, არც  
ჩორე, არც წაღდ, ერ რაჲმიც არ მაქაჲ?

— ეოჲმა. მითხრა, ეოჲ წირინამ,

ხეგზი წირამ, წინგერენამ.

— მამ ეოჲმა გითხრა?

— ჭოჲ, ეოჲმა მითხრა.

— მამ კაჲს! მელაჲ წასულ, ერ ნაჲნაჲში დაწოღბრ, თაჲი  
თაჲ-კლარეი ჭეწუნებო. ზამტა ხან აჲმგარ ეოფილ.

ეოჲსაც აჲმ ნაჲნაჲში ტრიალ ჭეჲარეი. მოსულ, ჭუნახი—მე-  
ლაჲ მამკლარ; აქაჲთაჲნი დოჲთორიაღეი<sup>4)</sup>, იქაჲთაჲნი: ცოცხლ  
ჭუმ არაჲგ<sup>5)</sup>. ჭუნახი—კლარი. მელაჲ კუდთან გადამეტარ, ერ ჩაჲ-  
კენვი (=ჩაჲკენვი), მასკან კენვი-კენვი, კენვი-კენვი, ქმუზჲ-ქმუზჲ მე-

<sup>1)</sup> რალა ქვე ექმნა. <sup>2)</sup> მემრელა. <sup>3)</sup> =მეგრ.: მინ (=ვინ)ა. <sup>4)</sup> დაუ-  
თვალიერებო. <sup>5)</sup> =ცოცხალი ხო არაჲო.

ლამ ებმდინ გაჭყევი; ერთ ჭუმ ჩაქეჩნია, მელას ჭამიფე ჭეჭნი, ებამ გაუხომ, ეფე დაჭეჭერი, მემლან ჭეჭითხნი:

— ჭუმე ეროლ ეფეფ, შენ ეფეფ კოსლამბე თქმელი: — მელას ცუელ არ აქავ, ჩორკ არ აქავ, წაღდ არ აქავ? ეენლა დედექ, შენ რას გიეებ?

